

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

არქეოლოგია

მალხაზ დათუკიშვილი

არქეოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის (Ph.D.) მოსაპოვებლად  
წარმოდგენილი

დისერტაცია

ხელმძღვანელი:

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი,  
ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. გ. ლორთქიფანიძე



თბილისის  
უნივერსიტეტის  
გამომცემლობა

თბილისი 2009

## შესავალი

წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია 1989-2009 წწ, საქართველოს საისტორიო საზოგადოების, თსუ კულტურის ისტორიის კათედრისა და ქართულ კავკასიური კულტურის ისტორიისა და ეთნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპინძის ხევის ერთობლივი კომპლექსური ექსპედიციის მიერ მოპოვებულ მასალებზე დაყრდნობით.



შედგება შესავალისა და 7 თავისგან:

1. ასპინძის ხევის კვლევის ისტორიიდან

(საისტორიო წყაროები, საარქივო მასალა);

2. სადისერტაციო თემის მნიშვნელობა, ასპინძის ხევის კომპლექსური ექსპედიცია;

3. ასპინძის ხევის ისტორიულ-გეოგრაფიული დახასიათება და ცვლილებები;

4. ეთნოლოგიური პროცესები ასპინძისხევში;

5. ასპინძისხევის არქეოლოგიური ძეგლები და არქიტექტურული კულტურული მემკვიდრეობა;

6. შორეთის მონასტერი, სამონასტრო კომპლექსის არქეოლოგიური და არქეოლოგიური კვლევა;

7. შორეთის ლაპიდარული წარწერები.

ნაშრომს აგრეთვე თან ერთვის დამოწმებული ლიტერატურის, საისტორიო წყაროებისა და საარქივო მასალის ჩამონათვალი, ძეგლთა ანაზომები, ფოტოალბომი, მასალები ძეგლის სარესტავრაციო პროექტისთვის, არქეოლოგიური მასალის ჩანახატები.

ასპინძისხევის კომპლექსური ექსპედიციის მიერ სავსე პირობებში მოპოვებულ არქეოლოგიურ და ეთნოგრაფიულ, აგრეთვე საარქივო მასალასა და საისტორიო წყაროებზე დაყრდნობით, როგორც ექსპედიციის ხელმძღვანელი ნაშრომში წარმოგადგენ და კრიტიკულად განვიხილავ ასპინძისხევის კვლევის ისტორიას, სხვადასხვა ავტორთა სამეცნიერო თვალსაზრისს, 1987-2008 წწ კომპლექსური ექსპედიციის მიერ წარმოებული კვლევა ძიების შედეგებს, არქიტექტურულ და ტოპოგრაფიულ ანაზომებს, (მათ შორის უახლესი ლაზერული მეთოდოლოგიით), ნახაზებს. ხეობის ისტორია გადმოცემულია ისტორიული რეტროსპექტივით, განხილულია ეთნოლოგიური პროცესები, მოსახლეობის მიგრაცია, ლაპიდარული წარწერები.

ასპინძისხევის არქეოლოგიური ძეგლები საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილ, მაგრამ სამცხე-ჯავახეთის კულტურული მემკვიდრეობის უმნიშვნელოვანეს ძეგლთა რიგს განეკუთვნებიან. ასპინძისხევის კომპლექსურ ექსპედიციამდე უწინ არასდროს ქცეულან სპეციალური კვლევის საგნად, როგორც საისტორიო გეოგრაფიული ან ეთნოგრაფიული, ასევე არქეოლოგიური კვლევის, ფიქსაციისა და კონსერვაციის თვალსაზრისით, თუ არ ჩავთვლით საისტორიო წყაროების მწირ ცნობებს, ცნობილ მეცნიერთა თუ მოხალისეთა XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX სკ-ის პირველი ნახევრის დაზვერვით ექსპედიციებს რეგიონში.

1987 წლიდან ძეგლთა დაცვის მთავარ სამმართველოსთან შეთანხმებით, ასპინძისხევში წმედითი სამუშაოებისა და არქეოლოგიური კვლევის

ჩასატარებლად მივლინებულ იქნა საქართველოს საისტორიო საზოგადოების, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ქართული კულტურის ფონდის ერთობლივი კომპლექსური ექსპედიცია მ. დათუკიშვილის ხელმძღვანელობით. ექსპედიციაში აგრეთვე მიწვეულ იქნა არქიტექტორ-რესტავრატორთა ჯგუფი, თ. ნემსაძის ხელმძღვანელობით, რომელთაც 1986 წელს დაწყებული ჰქონდათ აზომვითი სამუშაოები. სამეცნიერო კოორდინაცია დაევალოთ მესხეთის არქეოლოგიურ ექსპედიციას და თსუ ქართული კულტურის ისტორიის კათედრას.

კომპლექსური ექსპედიცია 1987-2008 წლებში ასპინძისხევში სეზონურად მუშაობდა, მოპოვებულ ეთნოარქეოლოგიურ მასალას გეგმაზომიერად იკვლევდა ივ. ჯავახიშვილის ქართული კულტურის ისტორიის კათედრა, 1990 წლიდან ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს რეკომენდაციითა და თსუ რექტორის წარდგინების საფუძველზე, მინისტრთა საბჭოს მიერ გამოყოფილი დამატებით მიზნობრივი დაფინანსებით, მომეცა შესაძლებლობა გამეგრძელებინა საქართველოს საისტორიო საზოგადოების პრეზიდიუმში ჩემი კონსულტანტად მუშაობის პერიოდში შექმნილი ასპინძისხევის ერთობლივი ექსპედიციის მუშაობა თსუ მეცნიერ-თანამშრომლის რანგში და მივიღე უფლება მემუშავა სადისერტაციო თემაზე "ასპინძისხევის არქეოლოგიური ძეგლები, ხელმძღვანელები: პროფ. გ. ლორთქიფანიძე და აკად. ვ. ბერიძე.

ასპინძისხევის (მათ შორის შორეთის სამონასტრო კომპლექსის) რეაბილიტაციის მრავალწლიანი პროგრამა-კონცეფცია 2005 წელს განიხილეს და მოიწონეს საქართველოს საპატრიარქოს ხუროთმოძღვრებისა და რესტავრაციის ცენტრის სამეცნიერო-მეთოდურმა საბჭომ და საქართველოს კულტურის, ისტორიისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს სამეცნიერო საბჭომ, საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე №67, 14.07.2005, აგრეთვე 046, 13.08.07, გაიცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კომისიის ნებართვა № 49, 01.08.2005 და საქართველოს კულტურის, ისტორიისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ნებართვა № 43. 29.08.2005.

სადისერტაციო ნაშრომის სპეციალური კვლევის საგანია ასპინძისხევის, კოდიანის, ზვარეთისა და ზოგადად ე.წ. "ნახევარჯავახეთის" ანუ ჩრდილოეთ ჯავახეთის ("ჭობარეთ-ტობისყურის") ისტორიული გეოგრაფია, ადრეფეოდალური და ფეოდალური ხანის არქეოლოგიური და არქიტექტურული ძეგლები, ლაპიდარული წარწერები, 1987-2008 წწ., ისტორიულ-გეოგრაფიული,

ეთნოაქეოლოგიური რეგიონალური კვლევის, არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებულმა მასალის და საისტორიო წყაროთა შედარებით ანალიზის შედეგების გამოქვეყნება და განხილვა.

ნაშრომში განხილულია პალეოგრაფიული წარწერები, წარმოდგენილია ძველი და ახლადმოჩენილ ლაპიდარულ წარწერათა წაკითხვისა და დათარიღების ვერსია. ნაშრომის მიზანია ექსპედიციის მასალებისა და საისტორიო მონაცემების ურთიერთშეჯერებით დააზუსტოს რეგიონის ტოპონიმიკა, დაადგინოს ნასოფლარების, ნაციხარებისა და ნაეკლესიარების ძველი სახელწოდებები, დასახლებულ პუნქტთა და ისტორიულ რეგიონთა საზღვრები, ხეობის ისტორია რეგიონალური ისტორიის პრიზმაში. ეთნოლოგიური ცვლილებები ხეობაში, დემოგრაფიული ვითარება სხვადასხვა ეპოქაში, მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის ცვლის პროცესი ქრონოლოგიური თანამიმდევრობით, განსაკუთრებით XIII-XIV, XV და XIX საუკუნეებში.

ცალკე განხილვის საგანს წარმოადგენს XX საუკუნის პირველი ნახევარი. განსაკუთრებული შესწავლის საგანია რეგიონის ისლამიზაციის, რუსიფიკაციისა და არმენიზაციის მცდელობა. ეროვნული შუღლის პროვოცირებისა და ეთნოკონპლიქტური მუდმივი და მართვადი კერების შექმნის კოლონიალისტური პოლიტიკა.

ნაშრომის ძირითად თემას ასპინძისხევის ფეოდალური ხანის ისტორიული ძეგლები და ფეოდალური სახლები, პატრიარქალური საგვარეულოები წარმოადგენს. ძეგლები განხილულია ქრონოლოგიური თანამიმდევრობით ცალ-ცალკე, როგორც არქეოლოგიური, ისე არქიტექტურული თვალსაზრისით. განხილულია სახევისუფლო ადრეფეოდალურ ხანაში, შორეთის სამონასტრო სენიორია, მისი ურთიერთმიმართება საუფლისწულოსთან, საერისთაოებთან და "პროვინციის მეფეთა" სამფლობელოსთან, ვერსიის სახით წარმოდგენილია თავისუფალ მეხვეეთა თემის საციხისუფლოთი შეცვლის სავარაუდო დრო.


ქრონოლოგიური თანამიმდევრობით, საისტორიო წყაროებსა და არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მოპოვებულ მასალაზე დაყრდნობით განხილულია, თუ როდის, რომელ სიუზერენს ეკუთვნოდა ასპინძისხევი. ერთიანობაში იქნება განხილული ასპინძისხევის, კოდიანისა და ჩრდ. ჯავახეთის ძეგლები, მათი მიახლოებითი დათარიღება არქეოლოგიური დაზვერვის, მშენებლობის ტექნიკის, დეკორის, არქიტექტურულ თავისებურებათა და

ტოპონიმისა საფუძველზე. განვითარებული ფეოდალიზმის ხანის ძეგლები ცალ-ცალკეა განხილული და ნაშრომს ერთვის თითოეული ძეგლის ანაზომი გეგმა, ჭრილები და დეტალების ჩანახატები.

ძირითადი განხილვის საგანია შორეთის სამონასტრო კომპლექსი. იგი ნაშრომის ცენტრალურ ნაწილს წარმოადგენს, რადგან სწორედ ამ კომპლექსზე მიმდინარეობს შეზღუდული მასშტაბის, მაგრამ პერმანენტული არქეოლოგიური კვლევა. განხილულია 1987-2008 წლებში სხვადასხვა შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების მქონე ექსპედიციების მიერ ფრაგმენტულად მოპოვებული მასალა. საისტორიო წყაროებისა და ლინგვისტურ-ფოლკლორული მონაცემების საფუძველზე განხილულია ტოპონიმთა ეტიმოლოგია. რეტროსპექტულად არის წარმოდგენილი შუა საუკუნეების ეთნიკური ხასიათის ცვლილებები სამცხე ჯავახეთში, მიგრაციები, ლტოლვილთა ნაკადების შემოსვლა, მაჰმადიანი მესხების საკითხი და გამოტანილია შესაბამისი დასკვნები.

შესწავლილია ნასოფლარები, სამოსახლოთა ეთნოგრაფიული თავისებურებანი, სადაზვერვო სამუშაოების შედეგები ადრეფეოდალურ საკულტო ნაგებობათა სავარაუდო ადგილმდებარეობის დასადგენად. განხილულია შორეთისა და ბეთლემის მონასტრების მოზაიკისა და ფრესკების გადარჩენილი ფრაგმენტები. წარმოდგენილია მონასტერთა და ნაციხართა არქიტექტურული პირველსახის აღდგენის ცდა ქრონოლოგიური თანამიმდევრობით. ნაშრომს თან ერთვის რუკები, წარწერათა ასლები, ანაზომები, ნახაზები. ექსპედიციის მუშაობაში ინტენსიურად არის გამოყენებული მაღალი გარჩევადობის სამგაზომილებიანი ლაზერული სკანირება, არქიტექტურულ-ტოპოგრაფიული ფიქსაცია და მოდელირება.

შესაბამისად, ნაშრომი ამ უახლესი სამეცნიერო მეთოდოლოგიის პოპულარიზაციისა და პრაქტიკული დანერგვის პირველ ცდასაც წარმოადგენს.



## 1. ასპინძისხევის კვლევის ისტორიიდან, საისტორიო წყაროები, საარქივო მასალა

ასპინძისხევი სამ ისტორიულ პროვინციას – სამცხეს, ჯავახეთსა და თორს ესაზღვრება. გადაჭიმულია დაბა ასპინძიდან ანუ მდ. ასპინძისხევისა და მტკვრის შესართავიდან, ალპიურ ზონაში აღმართულ კოდიანის მთამდე, რომელიც თავის მხრივ შარვაშეთის ქედის მიღმა მდებარე ციხისჯვარს



გადაჰყურებს. სამცხე-ჯავახეთის

ბუნებრივ და ტრადიციულ გამყოფს მდინარე მტკვარი, მაგრამ ფაქტიურად სანისლოს (ოთისწყლის) მარცხენა სანაპიროს ციცაბო, კლდოვანი მთები წარმოადგენენ, თრიალეთის

მიმართულებით ბილიკები სანისლოს სათავიდან შავ კლდესა და თეთრობზე გადადის, კლდეკარის (კლდეში გაჭრილი საურმე გზის) გავლით ციხისჯვარისკენ (თორი) ღართის ველს მიყვავართ,

საუდელტეხილო ისტორიული გზა კოდიანზე გადადის (ცხრაწყაროს უდელტეხილი გვიანდელია),

ჯავახეთიდან თორში უმეტესად ასპინძისხევი-კოდიანის გზით

დადიოდნენ, რომელიც გაცილებით დაბალია და ადვილად გადასალახი. გზის სიძველეს ადრეფეოდალური ქვაჯვარები და მენძილები მოწმობენ, რომლის არსებობაც ჯავახეთში მიმავალ ისტორიულ საურმე გზაზე მდებარე შორეთის სამონასტრო კომპლექსის არქეოლოგიური კვლევის დროს დადასტურდა მეორადი გამოყენების არაუგვიანეს VI-VII სკ-ის სტელის ორი ფრაგმენტის სახით.

ასპინძისხევი, როგორც უაღრესად სტრატეგიული რეგიონი, ციხესიმაგრეთა მძლავრი სისტემით იყო დაცული, ვარაზას, ზემო ინთორის, შორეთის, კოხტას,

ოთისა და აგარის ციხეებით. ციხე სიმაგრეთა ამ სისტემას მეორე ხაზზე უერთდებოდა ასპინძის ციხე, ჩიტიკიბეები და ციხისჯვრის ციხე. ციხე-სიმაგრეთა ჯაჭვი უშუალოდ (ვიზუალურად) და სათვალთვალ კოშკებით უკავშირდებოდნენ ერთმანეთს.

ოთის ციხე XII-XIII საუკუნის კლასიკურ ფეოდალურ რეზიდენციას წარმოადგენდა "კარის ეკლესიითა, სასაფლაოთი და მონასტრითა". ასპინძისხევი მდიდარია ნამონასტრალეებით: ბეთლემი (ჯაბიეთი) და შორეთი; ნაეკლესიარებით: აგარა (ყიზილ-დერესა, ამჟამად ძეგლი აღდგენილია დედათა მონასტრად), ღართა, მამაწმინდა, სანისლო, ოთის მარიამწმიდა.



ჯავახეთის ზეგანი და კოდიანის მთა მდინარეებით დასერილ კლდოვან ტერასებად ეშვება ათასწლოვანი ტყით დაფარულ ასპინძისხევიში, ყვავილოვან მდელოებად იშლება, ერწყმის მტკვრის ხეობას და სამცხის ქვაბულის უზარმაზარ სივრცეს უერთდება, რაც თვალუწვდენელ კლდეებზე გადმომდგარ შორეთისა და განსაკუთრებით ვარაზას ციხის ქონგურებიდან უსასრულო, დაუვიწყარი მშვენების თვალსაწიერს ქმნის.

ბატონიშვილი ვახუშტი სამცხე-საათაბაგოს "საჩინო ადგილების" აღწერისას ასპინძისხევის მდებარეობას ასე განსაზღვრავს: "... მტკვარს აღმოსავლეთიდან ერთვის ასპინძისხევი, გამოსდის კოდიანის, ანუ ჯავახეთის



მთას...” ”... ამავე ხეზედ ოთას, არს კლდეთა შინა გამოკვეთილნი ქვაბნი დიდ-დიდნი სახიზრად, ოთას ამ ხევს ერთვის ჯაბოეთის ხევი, გამოსდის ჯავახეთის მთას...” ”ასპინძისხევის სათავეზედ, მთის ძირში, არს შორაპანს მონასტერი უგუნბათო, შუენიერს ადგილს, დიდშენი, სრულიად სოფიის კენჭით და აწ ცარიელი.” (82. 667)

1595 წელს შედგენილ ”გურჯისტანის ვილაიეთის დიდ (”ჯაბა”) დავთარში მოხსენებულია ასპინძის ნაჰიეს შემადგენლობაში ასპინძისხევის სოფლები, აღწერილია მაცხოვრებლებია და მათი შემოსავლები, საყურადღებოა სერგი ჯიქიას გამოკვლევა ასპინძისხევის ტოპონიმების შესახებ საარქივო მონაცემებზე დაყრდნობით, (6, 62, 202-206)



1847 წელს ფრანგმა ქართველოლოგმა მარი ბროსემ ნოემბრის დიდთოვლობაში იმოგზაურა ასპინძისხევში. მეგზურად ახლდა გამაჰმადიანებული ქართველი თავადი ქამილ-ბეგი. საინტერესოა მისი ბროსესეული დახასიათება: ”ჯერ ახალგაზრდა, მაგრამ სამშობლოს დაცემისაგან მორალურად განადგურებული...” (45. 177-178, აგრეთვე იხ. 44.) (საოცარი გამოძახილია აჰმედ აჭარის ”ხიმშიოდლების ისტორიაში” მოყვანილ ”ჩვენებურთა” XX საუკუნის ნოსტალგიურ მაგალითებთან (იხ. 79. და 4).

შორეთის სანახავად სანადირო ბილიკებით მუხლამდე თოვლში ასულმა მკვლევარმა საყურადღებო ცნობები, მათ შორის რელიეფებისა და ორი ლაპიდარული წარწერის აღწერილობა დაგვიტოვა. აღნიშნული წარწერები დაკარგულად ითვლებოდა საუკუნეზე მეტხანს, ბოლოს 1987-91 წწ ასპინძისხევის ექსპედიციის მიერ იქნა ხელახლა აღმოჩენილი. ბროსეს მოგზაურობის შემდეგ ძეგლი ძლიერ დაზიანებულია.

ივანე გვარამაძე "ვინმე მესხის" ფსევდონიმით წერდა XIX საუკუნის 70-იან წლებში: "ქვეშ ეკლესიისა არის ორი სართული სენაკები ქვითკირით ამოტანილი, 8 თუ 9, და ზედა სართულად ერთ გვერდზედ ეკლესია, იატაკი მინანქრის მწვანე ჩინურით ნაგები, აღსაცლის კარს შუა სრული ლიბრი მარმარილოს ძვლები და ოთხი ყურე კედელი მუზაიტის კენჭით ჩაწყობილი ხატები. ამ ათი წლის წინ ეს ნაშთი ჩვენ წინაპართა დიდებისა კიდევ დამხვდა, ახლა სრულ გატიალებულა..." (28)

იმავე პერიოდში ასპინძისხევში იმოგზაურა დ. ბაქრაძემ. (15)

1902 წელს ასპინძისხევში იმოგზაურა ექვთიმე თაყაიშვილმა, დაგვიტოვა შესანიშნავი აღწერილობა, ფოტოები, ანაზომები, ნახაზები, მოსაზრებები. აღფრთოვანებას ასე გამოხატავს მკვლევარი: "...в высшей степени привлекательный и живописный ». (41.12).

ივ. გვარამაძის მიხედვით (28) შორეთი (იგივე ჭაიტა, როგორც მას უწოდებს მკვლევარი ხიზაბავრელთა ტრადიციისამებრ), "ადრე მონასტრად ყოფილა კოდიანისა და ნახევარჯავახეთის მცხოვრებთათვის" ივ. გვარამაძისეული "ნახევარჯავახეთი" უნდა მოიცავდეს ჩრდილოეთ ჯავახეთის იმ ნაწილს, სადაც XI-XV სს მანძილზე სამეფო და საკათალიკოსო მიწებზე ჩამოყალიბდა ჯერ საუფლისწულო – საჯავახთუფლო ცენტრით ალასტანში, შემდეგ კი განსაკუთრებული სტატუსისა და მდებარეობის მქონე ე.წ. "პროვინციული სამეფო".

დ. ბერძენიშვილის აზრით ტყე-ჯავახეთის სწორედ ამ ნაწილს, როგორც ცალკე მხარეს "მიკრორეგიონს" უნდა რქმეოდა "ზვარეთი" (17), მოხსენებული 1392 წლის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში. (80. 178).

დ. ნინიძის აზრით, აღნიშნული რეგიონი წარმოადგენდა ე.წ. "პროვინციის მეფეთა" დომენის ძირითად ნაწილს XIV-XV სს. (19. 52).

აქვე გავიხსენებთ ცნობილი ეთნოგრაფის სერგი მაკალათიას მიერ ჩაწერილ მესხურ თქმულებას: ”ვარძიაში, კლდეში ნაკვეთ ქალაქ-მონასტერში თავშეფარებული პოეტი და ტაძრელი რაინდი შოთა რუსთველი, მეტად რომანტიულ სასიყვარულო თავგადასავალში გახვეულა ე.წ. ”ორმოცის” ციხისუფლის ასულთან, მაგრამ თამარ მეფის უშუალო ჩარევით, რუსთველს მისი არისტოკრატიული მდგომარეობისათვის შესაფერისი სხვა ქალი შეურთავს ცოლად, კერძოდ ქალიშვილი კოდიანის მებატონისა, რომლის მამულებიც თურმე წალკამდე წვდებოდა...” (68. 132).

თორის, კოდიანის და ჯავახეთ-თრიალეთის სიუზერენობა XII-XIII საუკუნეებში თორელთ ეპყრათ, მაგრამ ასპინძისხევის (კოდიანის) მებატონე უშუალოდ ვარაზ-ბაკურ ოთარი და მისი ძე საბა-ნიკოლოზია. (15. გვ. 39-44).

მოსხენებულნი აგრეთვე იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტრის აღაპებში. (24. 93)

საუფლისწულოსა და შემდგომ პროვინციის მეფეთა დომენის მონასტრის სტატუსი ცხადია ზრდიდა ხეობისა და მონასტრის მნიშვნელობას, რაც აისახა იქ არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოჩენილი სკრიპტორიუმის არსებობასა და თვით თამარ მეფის ნაქონი ოთხთავის (ე.წ. ვანის ოთხთავი) შორეთისადმი შეწირვის ფაქტში. (20. 657).

1932-33 წლებში ასპინძისხევის ძეგლები მოინახულა გიორგი ბოჭორიძემ, მას ეკუთვნის შორეთის, ბეთლემისა და ოშორის ეკლესიის წარწერების (ცხადია რომელთაც მიაგნო ხანმოკლე ექსკურსიისას) პირველი ზუსტი წაკითხვა. (5. 21-27), მანვე პირველმა შეამჩნია აგარის ციხის ნაშთები ყიზილ-დერესაში.

აკადემიკოსი ვახტანგ ბერიძე განიხილავს შორეთის სამონასტრო კომპლექსს, ძირითადი განხილვის საგანია გვიანდელი სამრეკლო, საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ”ეკლესია არ განგვიხილავს, რადგან ... შრეების გასარჩევად ძეგლის საფუძვლიანი გაწმენდა და თვით გათხრაც იქნება საჭირო, მით უმეტეს, რომ შენობა თავისი ტიპით მეტად თავისებურია”. (25. 211-214). პროფ. გურამ ლორთქიფანიძის ინიციატივით, გასული საუკუნის მიწურულს, პატივი მქონდა ჩემი სადისერტაციო თემის ხელმძღვანელი ყოფილიყო აკად. ვახტანგ ბერიძე, უშუალოდ ბ-ნი ვახტანგისგან ვიღებდი კონსულტაციებსა და რეკომენდაციებს, და ვისმენდი მკვლევარის მოსაზრებებს აღნიშნულ საკითხზე.

1988 წელს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დავიცავე სადიპლომო ნაშრომი ”ასპინძისხევის არქეოლოგიური

ბეგლები”, რომლის რეცენზიაშიც ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ი. თოდუა საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ”ასპინძისხევის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები სპეციალური კვლევის საგნად ჯერ არავის გაუხდია და ამ მხრივ სარეცენზიო ნაშრომი პირველ ცდად შეიძლება ჩაითვალოს”. (46.3)

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 1992 წელს, სერიით მესხეთის ბეგლები, ახალციხეში, თსუ ფილიალის მიერ გამოიცა გ. კუტლაძისა და ო. მაისურაძის ავტორობით ბროშურა ”შორთა”, რომელიც ძირითადად ჩემი 1988 წლის გამოუქვეყნებელი, დაუსრულებელი ნაშრომის მოკლე, კოსმეტიკურად სახეცვლილ შინაარსს წარმოადგენს.

მათ, როგორც ჩემი ექსპედიციის წევრებს, წასაკითხად გავატანე ჩემი სადიპლომო ნაშრომი, რომელიც 1988 წელს დავიცავი, ნაშრომს სადისერტაციოდ გამზადებდი, ეს თემა ოფიციალურად მქონდა 1990 წლიდან დამტკიცებული, ცხადია სამი წლის განმავლობაში ვაგრძელებდი თემაზე მუშაობას და ნაშრომს გამზადებდი გამოსაქვეყნებლად, ბევრი რამის შესახებ კი უკვე განსხვავებული ხედვა მქონდა ჩამოყალიბებული, რის შესახებაც ექსპედიციაში ბევრჯერ გვისაუბრია. აღნიშნული სადიპლომო ნაშრომიდან იმ ბროშურაში ჩემს მიერ მრავალი წლის განმავლობაში მოპოვებული უამრავი საარქივო და სადისერტაციო მასალაა უნებართვოდ გადაწერილი, ჩემივე შესაბამისი კომენტარებით და დასკვნებით, უნებართვოდ არის გამოქვეყნებული ჩემს მიერ მოწყობილი არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ აღმოჩენილი და ჩემს მიერ გამოკვლეული ლაპიდარული წარწერები, მიკვლეული ხეობის დღემდე უცნობი ბეგლების აღწერილობა და ა.შ. ამასთანავე, არსად არ არის მითითებული პირველწყარო, არც მისი ავტორი, არც ასპინძისხევის ექსპედიცია და არც უნივერსიტეტი, კათედრა. როდესაც ყველაფერი გამოაშკარავდა ბროშურის ავტორებმა წერილობით მოიხადეს ბოდიში თავისი რბილად რომ ვთქვათ საკვირველი ქმედების გამო, (ეს ე.წ. ბოდიში პრესაშიც გამოქვეყნდა და ქართულ-კავკასიური ინსტიტუტის არქივშიც ინახება).

ყოველივე ზემოთქმულის გამო აღნიშნულ ბროშურას ნაშრომში არ განვიხილავ და გამოყენებულ ლიტერატურაშიც არ ვუთითებ როგორც სამეცნიერო ღირებულების არმქონე გამოცემას.

ასპინძისხევის არქეოლოგიურ ბეგლებს და მათ შორის უწინარეს ყოვლისა შორეთის სამონასტრო კომპლექსს 1987-2008 წ.წ. დაფინანსებიდან გამომდინარე მეტნაკლები ინტენსიურობით იკვლევდა საქართველოს საისტორიო

საზოგადოების, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ქართულ-კავკასიური ინსტიტუტის ერთობლივი კომპლექსური ექსპედიცია.

ექსპედიციის ინიციატორი და ხელმძღვანელი მ. დათუკიშვილი, ექსპედიციის კონსულტანტი და სადისერტაციო თემის ხელმძღვანელი პროფ. გურამ ლორთქიფანიძე, აკად. ვ. ბერიძე. ექსპედიციის მუშაობაში მუდმივ მონაწილეობას იღებდნენ ძეგლის სარესტავრაციო პროექტის ავტორები თ. ნემსაძე და რ. გურამიშვილი (არქიტექტორ-რესტავრატორები), აგრეთვე თსუ-ს ისტორიის ფაკულტეტის პრაქტიკანტები და სამხატვრო აკადემიის სტუდენტები. ექსპედიციას სამეცნიერო კოორდინაციასა და დახმარებას უწევდნენ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი აკად. ანდრია აფაქიძე და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ რექტორი აკად. როინ მეტრეველი, აკად. ვახტანგ ბერიძე, მესხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელ-ი ოთარ დამბაშიძე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის სპელეოლოგიის განყოფილების გამგე გივი გაფრინდაშვილი, ასპინძის რუსთაველის მუზეუმის დირექტორი ნუგზარ ზაზაძე.



## 2. სადისერტაციო თემის მნიშვნელობა, ასპინძისხევის კომპლექსური ექსპედიცია.

1986 წელს საქართველოს საისტორიო საზოგადოებასთან, საზოგადოების პრეზიდიუმთან, როგორც პრეზიდიუმის თანამშრომელმა (კონსულტანტმა) და ამავე დროს სტუდენტმა, პეტერბურგის სტუდენტური წრის მაგალითზე თანამოაზრეთა თანადგომით ჩამოვყალიბებ საზოგადოების სტუდენტურ-ახალგაზრდული განყოფილება, ქართველოლოგიური სექციებით, არქეოლოგიითა და ეთნოგრაფიით დაწყებული მედიცინის ისტორიით, მუსიკალური ფოლკლორითა და ცხენბურთის კლუბით დამთავრებული, თითოეული სექციის კურატორ მეცნიერად, საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი მივიწვიეთ. იმავე წელს



მოეწყო კომპლექსური ეთნოარქეოლოგიური ექსპედიციები ხორნაბუჯში, ჭერემში, მცხეთაში, დაღესტანში, რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია გელათის ყოფილ სასულიერო აკადემიაში და ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მონაწილეობით.

აღნიშნული განყოფილების წევრთაგან,

რომელნიც საქართველოს ყველა უმაღლეს სასწავლებელს აერთიანებდნენ, 1987 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საქართველოს საისტორიო საზოგადოების, ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოებისა და სპეციალურ სამეცნიერო-სარესტავრაციო საწარმოო გაერთიანების ერთობლივი ძალისხმევით შეიქმნა ასპინძისხევის კომპლექსური ექსპედიცია შორეთის სამონასტრო კომპლექსისა (აგრეთვე ასპინძისხევისა და მის მიმდებარე მცირე ხეობებში განლაგებულ ღართის ეკლესიის, ოთის კარის ეკლესიის, სანისლოს, მამაწმიდისა და ბეთლემის მონასტრის) არქეოლოგიურ-

წმენდითი სამუშაოების ჩასატარებლად და საკონსერვაციო-სარესტავრაციო პროექტის მოსამზადებლად. (იხ. დანართი № 1 საქართველოს საისტორიო საზოგადოების პრეზიდიუმის ბრძანება აპინძისხევის კომპლექსური ექსპედიციის მივლინების შესახებ 17 ივლისი, 1987 წ. ხელს აწერს აკად. ა. აფაქიძე.

აგრეთვე, საყურადღებოა დანართი №2. ხელშეკრულება 29 აპრილი 1988 წ. საქართველოს საისტორიო საზოგადოებასა და ძეგლთა დაცვის რესპუბლიკურ



საზოგადოებას შორის, და დანართი №3. 1988 წლის 13 ივნისი, ძეგლთა დაცვის სპეციალურ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებიდან, რომ შორეთის სამონასტრო კომპლექსსა და ოთის კარის ეკლესიაზე წარმოებული წმენდითი სამუშაოების პარალელურად დაიწყებოდა კონსერვაცია, ხელს აწერს რ. საყვეარაშვილი.

1987-1989 წწ ექსპედიცია ფინანსდებოდა საქართველოს საისტორიო საზოგადოების, ქართული კულტურისა და დავით აღმაშენებლის სახელობის ფონდების მიერ, 1990 წლიდან ექსპედიცია მუშაობას აგრძელებს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაფინანსებით, 1990 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა განაცხადით მიმართა (იხ. დანართი №4), საქართველოს მინისტრთა საბჭოს სამცხე-ჯავახეთში წარმოებული კომპლექსური კვლევითი სამუშაოების

გასაფართოვებლად დამატებითი სახსრები გამოეყო სამეცნიერო თემისთვის „ასპინძისხევის არქეოლოგიური ძეგლები“. რასაც მხარი დაუჭირა სახელმწიფოს მიერ და კვლევა გაგრძელდა.



როგორც საარქივო დოკუმენტი, საყურადღებოა უნივერსიტეტის რექტორის აკად. ნ. ამაღლობელის მიერ წარდგენილი №71.01/26, 23/01/90 განაცხადის დანართი დასაბუთება, რომელსაც მთლიანად მოვიყვან, რადგან სრულად ასახავს,

ერთის მხრივ ჩემი როგორც ასპინძისხევის კომპლექსური ექსპედიციის დამფუძნებლისა და ხელმძღვანელის მიერ წარმოებული კვლევის მეთოდოლოგიას, რაც საფუძვლად დაედო წარმოდგენილ სადისერტაციო ნაშრომს, მეორეს მხრივ კი უნივერსიტეტის რექტორატის შესანიშნავ ხედვას და აქტიური, ქმედითი გადაწყვეტილების მიღების უნარს:

თსუ განაცხადი დამატებით დაფინანსებაზე, დანართი რექტორის წერილზე 4 გვ. (სტილი დაცულია):

თემის „ასპინძისხევის არქეოლოგიური ძეგლები“

(1987-89 წ.წ. კომპლექსური ექსპედიციის შედეგები)“

დასაბუთება

„თ ე მ ი ს მ ი ზ ა ნ ი : ასპინძისხევის კომპლექსური ექსპედიცია, რომელსაც წილობრივად აფინანსებენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს საისტორიო საზოგადოება, საქართველოს კულტურის ფონდი და დავით აღმაშენებლის საქველმოქმედო საზოგადოება, თსუ ქართული კულტურის ისტორიის კათედრის სამეცნიერო ხელმძღვანელობით 1987 წლიდან სავსე პირობებში კომპლექსურად იკვლევს ასპინძისხევს, კოდიანსა და ნახევარჯავახეთს. არქეოლოგიურ-წმენდით სამუშაოებს აწარმოებს შორეთის სამონასტრო კომპლექსზე, ოთის კარის ეკლესიაზე, ღართის ეკლესიაზე და ჯაბიეთის (ბეთლემის) მონასტერზე, სოფ. ოთასა და ჯავახეთის სოფლებში მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე შეისწავლის რეგიონის



რეგიონის ეთნოგრაფიულ თავისებურებებს, ეწევა ფოლკლორულ ძიებებს, ხდება ძეგლთა შესწავლა არქიტექტურული და მხატვრული თვალსაზრისით, ამ მხრივ აღსანიშნავია შორეთის მონასტრის მოზაიკური ხატწერის ფრაგმენტები, ქვის პერანგის დეკორი. ექსპედიცია ახდენს ქართულ და უცხოურ წყაროებში მოხსენებულ ნასოფლართა ლოკალიზაციას და შესწავლას ეთნოარქეოლოგიური თვალსაზრისით. ექსპედიცია მოპოვებული მასალის საფუძველზე ქმნის კინო-ფოტო-ვიდეო ფონდს.

ასპინძისხეზე გადიოდა უმნიშვნელოვანესი საულელტეხილო გზა, რომელიც ერთის მხრივ თორს უკავშირებდა სამცხეს, ხოლო მეორეს მხრივ საუფლისწულო დომენს – ჯავახეთს. სოფ. ციხისჯვარი, სადაც გადადის აღნიშნული გზა აგრეთვე ექსპედიციის კვლევის ობიექტია, ამას გარდა ექსპედიცია დაქირავებული ცხენების საშუალებით ქმნის ისტორიულ-გეოგრაფიულ კვლევისთვის სპეციალურ ჯგუფს, რომელიც გამუდმებით მოგზაურობს სამხრეთ საქართველოში, სწავლობს უძველეს გზებს, ნამოსახლარებს, ეცნობა იმ სავარაუდო მარშრუტებს, სადაც მოძრაობდნენ სავაჭრო ქარავნები თუ საიდანაც გვესხმოდა მტრის ლაშქარი, იკვლევენ არა უშუალოდ ციხე-სიმაგრეებს, არამედ რეგიონის თავდაცვით ნაგებობათა მთლიან სისტემებს.

**მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა :** ექსპედიციის მიერ მოპოვებული უამრავი მასალის დამუშავებას ახდენს თსუ ქართული კულტურის ისტორიის კათედრა. ექსპედიციის მნიშვნელობა უფრო მეტად გაცხადდება, თუ ხაზი გაესმება მის კიდევ ერთ სპეციფიურობას, კერძოდ იგი აერთიანებს თბილისის თითქმის ყველა უმაღლეს სასწავლებელს: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის, ფილოლოგიისა და ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტებს, პოლიტექნიკურ ინსტიტუტს (საინჟინრო-სამშენებლო ფაკ.), სამხატვრო აკადემიას (არქიტექტორები, მოქანდაკეები, კერამიკოსები), კონსერვატორიას (მუსიკალური ფოლკლორი), თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტს, სამედიცინო ინსტიტუტს (ხალხური მედიცინა). ხდება სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა შორის საქმიანობის რეალური კოორდინაცია და ინტეგრაცია., რაც საბოლოო ჯამში ურთიერთგამდიდრების შედეგად თითქმის ამომწურავ ინფორმაციას იძლევა.

ამგვარი ექსპედიციის რეგულარული მუშაობა კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს სამცხე-ჯავახეთის ...ახალგაზრდობაზე, მოზარდ თაობაზე, რომელნიც

ხშირად ნებაყოფლობით მონაწილეობენ ექსპედიციის მიერ წარმოებულ სამუშაოებში, ინაწილებენ ახალი აღმოჩენებით თუ ნაყოფიერი კვლევით მონიჭებულ სიხარულს. ხდება ხალხურ ტრადიციათა უძველესი წეს-ჩვეულებების დაცვა და აღდგენა, ხელი ეშვება სალოცავ ადგილებში თეისტურად განწყობილ, მაგრამ უწინამძღვრო-უმწყემსელი მოსახლეობის თავაშვებული ღრეობების გამართვას, რაშიც ექსპედიციას ხელს უწყობენ რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი.

მიმდინარე წელს სოფელ ოთის ყოფილი ჯამეს შენობაში, ექსპედიციას განზრახული აქვს მხარეთმცოდნეობითი მუზეუმის გახსნა.

ექსპედიციის ძირითად ღირსებას კი სწორედ მისი კომპლექსურობა და მრავალმხრივობა წარმოადგენს და აძლევს მას საყურადღებო ექსპერიმენტის, ერთობლივი კვლევის ცდის ხასიათს.

ექსპედიციის საანგარიშო მოხსენებები სხვადასხვა დროს მოხმენილ იქნა თსუ ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს, საქართველოს საისტორიო საზოგადოების პრეზიდიუმისა და თსუ დიდი სამეცნიერო საბჭოს სხდომებზე, სადაც დადებითად იქნა შეფასებული მისი მუშაობა.

ექსპედიციის მიერ მოპოვებული მასალის საფუძველზე დამუშავებულია რამდენიმე საკურსო და სადიპლომო ნაშრომი, ამჟამად მუშავდება სადისერტაციო შრომა – „ასპინძისხევის არქეოლოგიური ძეგლები“.

აღნიშნული სამუშაოები სამი წლის განმავლობაში სრულდებოდა საზოგადოებრივ საწყისებზე და ატარებდა უპირატესად სეზონურ ხასიათს მუდმივი დაფინანსების უქონლობის გამო. ექსპედიციის მიერ მოპოვებული მასალა ამჟამად უკვე მოითხოვს რეგულარულ კამერალურ დამუშავებს და კვლევას, რისთვისაც თსუ ქართული კულტურის კათედრას აუცილებლად უნდა მიეცეს მიზნობრივი წლიური დაფინანსება ექსპედიციის მუშაობის შეწმდგომი წარმართვისათვის. თემის შესრულების ვადაა 1990-1994 წწ.

წლიური დაფინანსება: ... ორი საშტატო ერთეული“.


(ხელს აწერენ პრორექტორის მოადგილე სამეცნიერო დადგში დ. ტულუში, კათედრის გამგე და თემის ხელ-ი პროფ. გ. ლორთქიფანიძე, ფაკულტეტის დეკანი კ. მეშველიანი.)“

პროექტის სახელმწიფო მხარდაჭერა დიდხანს აღარ გაგრძელებულა 1991-92 წწ ტრაგიკულ მოვლენათა და შემდეგ 1992-94 წწ რუსეთ-საქართველოს გამოუცხადებელი ომის გამო აფხაზეთში.

1992 წელს ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაციების დაწყებამდე, თსუ ქართული კულტურის ისტორიის კათედრამ მიშუამდგომლა ფრაიბურგის ალბერტ-ლუდვიგის უნივერსიტეტის რომის პროვინციული არქეოლოგიის ინსტიტუტთან, პროფ. დოქტორ ჰ. ნუბერის საერთაშორისო ექსპედიციაში მონაწილეობის მისაღებას, სადაც საერთაშორისო ექსპედიციის მსვლელობისას, რომელშიც კვალიფიკაციის მისარებად ამერიკელი და ბრიტანელი არქეოლოგებიც მონაწილეობდნენ, პრაქტიკულად შევისწავლე არქეოლოგიური გათხრების თანამედროვე მეთოდოლოგია, ვმუშაობდი შეარცვალდსა და ჰაიდელსჰაიმში, ვხელმძღვანელობდი ჯგუფს, ჩამაბარეს სექტორი, სტუდენტებთან საინფორმაციო მოხსენებაც წავიკითხე ზოგადად საქართველოში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების, კერძოდ კი ბიჭვინთისა და შორეთის ექსპედიციების შესახებ.

1992 წელს აფხაზეთის ომში მოხალისედ დავბრუნდი, მაგრამ გენერალ ჯონ მალხაზ შალიკაშვილთან შეხვედრისა და მისი პირადი რჩევის გათვალისწინებით, შევეცადე მეცნიერებას და ხელოვნებას დავბრუნებოდი.

1993 წლის იანვარში გერმანული უნივერსიტეტის რომაული არქეოლოგიის ინსტიტუტის მოდელისა და მაგალითის მიხედვით, საზოგადოებრივ საწყისებზე დავაარსე ქართულ-კავკასიური კულტურის, ისტორიისა და ეთნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ასოცირებული თსუ ქართული კულტურის ისტორიის კათედრასთან და შევეუდექი საქართველოს შესახებ დოკუმენტური ფილმის გადაღებას.



ამჟამად ჩვენს კერძო ინსტიტუტს აქვს კავკასიაში საუკეთესო მატერიალურ ტექნიკური ბაზა და ინტელექტუალური შესაძლებლობა არქეოლოგიურ და

არქიტექტურულ ძეგლთა ფიქსაციისა და შესწავლისათვის, უაღრესად თანამედროვე მეთოდოლოგიური მიდგომა და საერთაშორისო მხარდაჭერა კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად.

1993-2005 წლიდან ასპინძისხევის კომპლექსური ექსპედიციის მუშაობას საკუთარი და სხვადასხვა ფონდებიდან მოზიდული თანხებით აფინანსებდა ქართულ-კავკასიური კულტურის, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი.

2005 წლიდან 2008 წლის ჩათვლით ექსპედიციას აფინანსებენ ქართულ-კავკასიური სამეცნიერო-კვლევითი ფონდი, ქართულ-კავკასიური კულტურის, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სპეციალიზირებული „3D სკანსტუდიო“ და ეროვნული მემკვიდრეობის კლუბი „ტაძარი“.



### 3. ასპინძისხევის ისტორიულ-გეოგრაფიული დახასიათება.

ასპინძისხევე გადიოდა თორისა და ჯავახეთის დამაკავშირებელი უძველესი და ამავე დროს უმოკლესი გზა, რომელიც თორს სამცხესთანაც აკავშირებდა, სწორედ ეს გზა განაპირობებდა ხეობის სტრატეგიულ მნიშვნელობას. ვახუშტი ბაგრატიონი სამცხე-საათაბაგოს “საჩინო ადგილების” აღწერისას ხეობას ასე ახასიათებს: “... ერთვის მტკვარს ასპინძისხევი აღმოსავლეთიდან, გამოსდის კოდიანისას ანუ ჯავახეთის მთას. ამის შესართავთან არს ხიდი მტკვარსა ზედა. ასპინძის თავს და აგარის ბოლოს არს ციხე კლდესა ზედა შენი, მაგარი. ასპინძის ზეთ, ჩრდილოთ კერძოდ, არს მგელ-ციხე, მაგარი, დიდშენი. ამავე ხევედ, ოთას, არს კლდეთა შინა გამოკვეთილნი ქვაბნი დიდ-დიდნი სახიზრად. ოთას ამ ხევს ერთვის ჯაბოეთის ხევი. გამოსდის ჯავახეთის მთას. და ასპინძის ხევის სათავეზედ, მთის ძირსა არს შორაპანს მონასტერი უგუზნათო, შვენიერს ადგილს, დიდშენი, სრულიად



სოფის კენჭით და აწ ცარიელი.”(82, 666, 26. 127)

მცირე კავკასიონი ცენტრალურ ანუ ამიერკავკასიას სამხრეთიდან საზღვრავს და კავკასიონის მთავარ ქედს სურამის (ლიხის) ქედით ებმის. ისტორიული საქართველოს ფარგლებში არსიანის, შავშეთ-

ერუშეთის, აჭარა-იმერეთისა და თრიალეთ-ჯავახეთის მთაგრეხილებით, აგრეთვე წალკის ზეგანითა და ჯავახეთის ვულკანური პლატოთი აღწევს.

საქართველოს რელიეფი სიმაღლის მიხედვით ოთხ დონედ იყოფა:

პირველი: 500 მ-ზე დაბალი, მოიცავს ტერიტორიის 23,6%-ს;

მეორე: 500 - 1000 მ-ს შორის, 22,6%-ს;

მესამე: 1000 – 2000 მ-ზე მდებარე –34,0%-ს;

მეოთხე: 2000 მ-ზე უფრო მაღალი -19,8%-ს [22; 19]

სამხრეთ საქართველოს მთიანეთი, მცირე კავკასიონის ნაწილს შეადგენს, ძირითადად ჯავახეთის ზეგანსა და ზემო მტკვრის აუზში მდებარე ახალციხის ქვაბულს მოიცავს. ჯავახეთის ზეგანი, შედარებით ახალგაზრდა ვულკანური წარმოშობისაა, ხასიათდება დაახლოებით 2000 მეტრი სიმაღლის ლავური პლატოებით, ქვიანი რელიეფითა და ტბების წყალუხვი სისტემით [39, 311].

ზამთარი უფრო მკაცრია, ვიდრე კავკასიონის კალთების ამავე სიმაღლის სხვა ადგილებში [39, 312] დასავლეთ ჯავახეთში უფრო ზომიერი ჰავაა, ვიდრე აღმოსავლეთში, ზამთარი ზოგადად ცივი და ხანგრძლივია. თოვლი დიდხანს არ დნება – “ზამთარი დიდ თოვლიანი და ყინვიანი” [82, 672]

ჯავახეთი სამხრეთიდან ნიალის ყურით, აღმოსავლეთიდან სამსარისა და გულთოვლას, ჩრდილოეთიდან კი კოდიანისა და შარვაშეთის მთებით არის შემოსაზღვრული, დასავლეთით ჯავახეთი მტკვრის მარცხენა ნაპირზედაც ვრცელდებოდა. აქ საზღვარი სამცხესა და ჯავახეთს შორის გადის წყალგამყოფ მთებზე რომლის განშტოება დადგენსა და ბნელასთან ჩამოდის მტკვრამდე [17; 70]

ისტორიული ჯავახეთი გეოგრაფიულად რამდენიმე ქვერეგიონის ანუ მხარისაგან შედგება: ჩრდილოეთით ჭობარეთ - ტაბისყური, ცენტრში ახალქალაქის ვაკე, სამხრეთით კარწახ - ფარავნის და სამხრეთ დასავლეთით ნიალის მხარე.

უძველესი წერილობითი წყარო სადაც ჯავახეთი მოხსენებულია “ზაბახას” სახით – ჩვ.წ. აღ-მდე. VIII ს. 785 წლითაა დათარიღებული [70; 376]

დღეს ჯავახეთის ზეგანის დიდი ნაწილი უტყეოა, როგორც “აღწერიდან” ჩანს, არც ვახუშტის დროს ყოფილა ტყით დაფარული: “ჯავახეთი არს, ვითარცა თრიალეთი, უვენახო, უხილო, უტყეო” [82; 672] მაგრამ, წარსულში ეს მხარე მდიდარი ყოფილა მცენარეული საფარით. ამ მხრივ საყურადღებო ცნობას გვაწვდის სამსარის წარწერა, საიდანაც ვგებულობთ, რომ ჯავახეთის პლატო ტყით ყოფილა დაფარული. ...მცენარეული საფარის განადგურებაში მნიშვნელოვანი წილი მიუძღვის ადამიანს. ეს პროცესი საფიქრებელია, რომ ჯერ კიდევ მტკვარ-არაქსის კულტურის ხანაში ჩაისახა, როდესაც დაიწყო ჯავახეთის პლატოს ინტენსიური დასახლება [49; 10-11]

საყურადღებოა გიორგი ქავთარაძის თვალსაზრისი, კერძოდ ამიერკავკასიის განხილვა ჩრდილო, ცენტრალურ და შესაბამისად სამხრეთ კავკასიად და სამხრეთის ისტორიულ საზღვრად მიჩნევა. სამხრეთ დასავლეთ საზღვარს მკვლევარი შემდეგითანამიმდევრობით აღწერს: ”მდინარე არეზის ზემო წელის დინება და მისგან დასავლეთით მიმდინარე ხაზი პალანდიოკენის მთაგრეხილიდან ჩრდილოეთისკენ კოპას ქედის გადაკვეთით მდ. ჭოროხის შუა



და ქვემო დინებების გაყოლებით შავ ზღვამდე გამავალი. (7; 4.) აღნიშნული საზღვარი ძირითადად ემთხვევა მესხეთის ისტორიულ საზღვრებს არზრუმის გამოკლებით.

მეცხრამეტე საუკუნის გეგრაფიულ კრებულებსა და არქივებში დაცული აღწერილობების თანახმად ასპინძის ხევის მდინარეს სანისლო ეწოდება. (ეს სახელი დღემდე შემორჩენილია, თუმცა სხვა სახელწოდება – ოთისწყალიც იხმარება) კოლიანის მთის მეზობელ მთასაც სანისლო მთა ჰქვია.

“Ота , деревня при реч. Санисло”(12, 736) ,

“Ота, деревня помещичья, при речке Санисло.”(13, 413)

დმიტრი ბაქრაძე და ექვთიმე თაყაიშვილი ზემოხსენებულ მდინარეს ასპინძის წყალს უწოდებენ: “ (находится) ... по замечанию Вахушта у истока рьки Аспиндзис цкали...”(15; 151).

“На берегу Аспиндзис-цкали расположено селенье Ота ”(41; 9).

შესაძლოა აგრეთვე ვივარაუდოთ, რომ მტკვრიდან ასპინძისციხის გავლით აგარისწყალამდე ასპინძისწყალი ერქვა, შემდეგ ღართისწყლის ხერთვისმდე ოთისწყალი, მას ზევით კი ინთორის ნასოფლარიდან სანისლო.

შესაძლოა, მთა «სანისლოს» ზევით სოფლის მოსახლეობის მიერ «შავ კლდედ» წოდებულ ადგილს უკავშირებოდეს მდინარე სანისლოს სათავის ადგილსამყოფელი. მდინარის სათავიდან ვარაზას ციხემდე, რომელიც ათიოდე კილომეტრის დაშორებით მდებარეობს სოფელ ოთადან, მდინარეს სანისლო ჰქვია, ვარაზის ციხიდან ოთის ციხემდე სანისლოს უერთდებიან: ზემო ინთორის წყალი, ღართის წყალი, შემდეგ შოლორთის (ანუ შორეთის) და ჯაბიეთის (ან ჭაბიეთის) წყლები. ამ ბოლო შესართავიდან მდინარე იწოდება ოთისწყალად. (სოფელ ოთის თავს გასული საუკუნეში აგებული წყალსაცავია და სწორედ ამ მდინარის წყლით ხდება დაბა ასპინძის წყალმომარაგება).

როგორც ავლნიშნეთ, ასპინძისხეზე გადიოდა თორში გადასასვლელი უძველესი გზა რომელსაც პირველ რიგში თორის ციხისჯვარში გადაყავართ. ამ გზის შესახებ დევი ბერძენიშვილი მოგვითხრობს: «ცხადია, სადგერის ზეგანზე მიმავალი გზა ყველაზე მოსახერხებელია. ამ გზით სარგებლობდნენ აქ არსებული დასახლებები. ამ გზაზე ციხისჯვარია ის უმნიშვნელოვანესი პუნქტი, საიდანაც გადადიოდნენ მეზობელ პროვინციებში: სამცხესა და ჯავახეთში.» (17; 8)

ისტორიულ-გეოგრაფიულ სურათს კომენტარის სახით შესაძლოა დაეუმატოთ ზემოხსენებული მკვლევარისთვის უცნობი, მაგრამ ჯავახეთისკენ გადასასვლელი კიდევ ერთი, უფრო მოკლე და მოხერხებული გზის არსებობა, კერძოდ ასპინძისხევიდან შორეთისწყლის მომდევნო შენაკადის - პირობითად ზემო ინთორისწყლის გასწვრივ, ზვარეთის აზავრეთისკენ ზედაველას გავლით აღმა მიემართებოდა საურმე გზა, რომელიც სანისლოს ხერთვისიდან ერთნახევარ კილომეტრში მარცხნივ ვარაზას ციხისკენ უხვევდა, მარჯვნივ კი შორეთის სამონასტრო კომპლექსისკენ, მონასტრის გავლით სათრითავისკენ, საიდანაც ერთი გზა კოხტას ციხისა და დამალისაკენ, ხოლო მეორე ოთა-ოშორა-რუსთავი-აწყურის ან ოთა-აგარა-ასპინძის მიმართულებით მიდიოდა. ეს



ისტორიული საურმე გზები 1987-91 წწ საცხენოსნო ექსპედიციების დროს იქნა დადგენილი და აღწერილი.

სამცხე და ჯავახეთი გეოგრაფიული მდებარეობითა და კლიმატით მცირე გამონაკლისის გარდა ძირითადად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. სამცხე ხეობებში მდებარეობს, ჯავახეთი კი მთლიანად ზეგანზეა მოქცეული. სამცხეში თუ სახნავ-სათესი ნაწილი ირწყვება, ჯავახეთში სახნავ-სათესი მიწები მთლიანად ურწყავია. ასპინძა გეოგრაფიულად სამცხეა, პოლიტიკურადაც სამცხეს ეკუთვნოდა ქცხ-ის თანახმად (რაც დასტურდება დევნილი ნასრას მკვლევარების ეპიზოდით, თუმცა “ხევსა სამცხისასა, სოფელსა ასპინძას” სულაც არ ნიშნავს, რომ ასპინძისხევი კოდინამდე სამცხეა, “სამცხის ხევში” შესაძლოა მტკვრის ხეობის სოფელ ასპინძის მონაკვეთიც იგულისხმებოდეს), ვფიქრობ, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ოთა-ოშორის ჩრდილო-აღმოსავლეთი კოდინითურთ იმთავითვე მაინც ჯავახეთის შემადგენელ ან “შესავალ” ერთ ცალკე “ქუეყანად”, მოგვიანებით კი ერთ მთლიან, ცალკე სენიორიად, შესაძლოა საერისთაოდაც განიხილებოდა, სხვადასხვა დროს შესაძლოა პიტიახშთა, ბაღუაშთა, თორელთა, ჯაყელთა ფეოდალური სახლების გავლენის ქვეშ, მაგრამ არა ისტორიული სამცხის შემადგენლობაში.

ჯავახეთის პლატო დასავლეთიდან ესაზღვრება ზემო მტკვრის ხეობას, საიდანაც ისტორიული სამცხე იწყება, რომელიც თითქმის მთლიანად მოიცავს ახალციხის ქვაბულს და თავისი რელიეფით საგრძნობლად განსხვავდება ჯავახეთის ზეგანისაგან. სამცხის დიდი ნაწილი მთიანია, ზედაპირი დანაწევრებულია მდინარეთა ხეობებითა და ხეევებით, წყალგამყოფი სერებით. იშვიათად, მაღალ მთიან ზოლში მოიძებნება სწორი რელიეფი. ახალციხის ქვაბულის ფსკერი მოიცავს ზემო მტკვრის და მისი შენაკადების დაბლობებს. ლანდშაფტი ვერტიკალური სარტყლებლით საკმაოდ მრავალგვარია – ტყისპირა, ტყიანი, ალპური და სხვა.

ზამთარი მკაცრია, ზაფხული კი ცხელი. რელიეფის თავისებურების გამო, ღრმა ხეობებში მიკროკლიმატი იქმნება, “ზამთარი ადგილ-ადგილ ცივი და დიდთოვლიანი და ალაგ-ალაგ ფრიად თბილი, ზაფხულს შეზავებული... ხოლო ადგილს ფრიად ცხელი და გაუძლისი” [82; 659] მტკვრის ხეობა მდიდარია უძველესი ნამოსახლარებით, ნამონასტრალეობითა და ნაქალაქარებით: ძველი წუნდა, ვარძია და ვანის ქვაბები, თმოგვისა და ხერთვისის ციხეები... ხეობის

მაღალმთიანი პლატო, რომელიც სიმაღლით ჯავახეთს არ ჩამოუვარდება, უფრო რბილი კლიმატით ხასიათდება, ნიადას ფართო მაღალმთიანი ველი, რომელიც აღმოსავლეთის მხრიდან მტკვრის ხეობისაკენაა გახსნილი, გარშემორტყმულია საკმაოდ მაღალი მთებით და ამიტომ აქ შედარებით ზომიერი ჰავაა [49; 18]

დაახლოებით ანალოგიური ვითარებაა ოთა-ოშორის ხეობებში, განსაკუთრებით ასპინძისხევში.

მცენარეული საფარი სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე არათანაბრადაა განაწილებული. ადიგენის რაიონში ტერიტორიის 32,8% ტყეს უჭირავს, ახალქალაქში - 3,4%, წალკაში - 2%, [39; 70] სამცხესთან შედარებით ჯავახეთი თითქმის უტყეოდ გამოიყურება, მაშინ როდესაც XVI საუკუნის “გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში” ის “ტყე – ჯავახეთად” მოიხსენიება [50; 306] დროთა განმავლობაში მცენარეული საფარი ძალზე შეთხელებულა და ჯავახეთი უტყეო გამხდარა.

“სამცხე” ზედ ეკვრის საკუთრივ ქართლს. ამ “ქუეყნის” საზღვრების გამორკვევა შეიძლება ლეონტი მროველის ცნობების მიხედვით, სადაც მას აღნუსხული აქვს ოძრხის ერისთავის სამფლობელოთა რაოდენობა. სამცხეს ზოგჯერ “ქუეყანასა ოძრხევისასა... ეწოდებოდა. ქართველი ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ ფარნავაზმა “ერთი გაგზავნა ოძრხის ერისთავად და მისცა ტასის კარიტგან ვიდრე არსიანთამდე, ნოსტის თავითგან ზღუამდის, რომელ არს სამცხე და აჭარა”-ო [28; 56] ოძრხის ერისთავს ჰბარებია ორი ქვეყანა სამცხე და აჭარა, ორივე საერისთავოს აღმოსავლეთ-დასავლეთის საზღვრები ნაჩვენებია; სამცხე იწყებოდა ტასის კართან და თავდებოდა არსიანის მთასთან. ჩრდილოეთით მას ესაზღვრებოდა “დადოს” მთა, რომელიც ქართლის სამეფოსა და დასავლეთ საქართველოს საზოგადო საზღვრად ითვლებოდა. სამხრეთი საზღვარი სამცხესა და ჯავახეთს შორის გადის წყალგამყოფ მთებზე, რომლის განშტოება დადემსა და ბნელასთან ჩამოდის მტკვრამდე. [17; 70] ვახუშტის ზედმიწევნით მხოლოდ სამცხის აღმოსავლეთი საზღვარი აქვს გამორკვეული: “აღმოსავლით – საზღვარი ქართლისა და მთიანი კოდინისა, შარვაშეთისა და საზღვარი ჯავახეთისა”.

მთაგორიანი საქართველო ხეობებისა და ხევებისგან შესდგება. ეს ხევები ერთმანეთისაგან წყალგამყოფი ქედებით არის ბუნებრივად გამოყოფილი და მათ ერთმანეთთან ხელოვნურად გაყვანილი გზები აკავშირებთ. ხევების ერთობლიობა ქმნის ე.წ. "ქვეყანას", რომელიც მეორე ქვეყნისაგან ასეთივე



ბუნებრივი საზღვრებით არის გამოყოფილი. მთლიანი საქართველო ასეთ "ქვეყანათა" კომპლექსურ ერთობლიობას წარმოადგენს. საქართველოში "გზანი უდაბურნი და უგზონი" იშვიათობა იყო. ბუნებრივი პირობები ამის საშუალებას არ იძლეოდა. ხეების და ქვეყნების

მთლიან საქართველოდ გაერთიანება რეგიონთა, სოფელთა და ქალაქთა შორის სამიმოსვლო გზების სათანადო განვითარებას გულისხმობს, მას ემყარება.

ამავე დროს იგივე ბუნებრივი პირობები ზღვარს უდებს გზათა მიმართულებებს. საუკუნეთა მანძილზე ეს გზები ერთხელ გატანილ მიმართულებებს ინარჩუნებენ. (51; 9)

საქართველოს ყველა მხრიდან კვეთდნენ მაგისტრალური გზები, ჩრდილოეთისკენ "ორნივე ესე გზანი, რომელ არს ზღუის კარი – დარუბანდი და არაგუის კარი, რომელ არს დარიალნი". დარიალანს, რომელსაც "არაგუის კარი" ეწოდება (37; 69 ), მას სხვა სახელიც ჰქონდა: არაგვისა და თერგის ხეობებზე მიმავალ გზას ეწოდებოდა "გზა დარიელისა" ანუ უფრო სწორად "გზა დარიალანისა". არაგვის გზას დასაწყისში ეწოდება "გზა წილკნისა", რომელშიაც მგზავრი შედიოდა. მას შემდგომ როდესაც გასცილდებოდა "იწროსა დართისასა", არსებობდა " წილკნის კარიც". არაგვის გზით მიმავალს შეეძლო "ნარდუევთა გზით" ერწოში გადასულიყო. გაქცეულმა ფადლონმა "წარვლო გზა წილკნისა და მიეხვია პირსა არაგვისასა და გაჰდა ნარდუევთა გზით ერწოდ." (37;69)

არაგვის, ანუ ოსეთის კარს გარდა არსებობდა კიდევ სხვა "გზანი მიმყვანებელნი" საქართველოთგან იმიერკავკასიაში. სახელდობრ, კარნი "ორნი დვალეთს და ერთი პარჭუანს დორძოკეთისასა".

გზებს ტრადიციულად ციხე სიმაგრეთა მძლავრი სისტემა იცავდა, ჯერ კიდევ სტრაბონი აღნიშნავდა, რომ არაგვის კარს ციხე უდარაჯებდა. ჩვენი მატთანე მოგვითხრობს, რომ სპარსელებმა აღმოსავლეთ საქართველოში მეფობა მოსპეს თუ არა, მაშინვე ჩრდილოეთისაკენ მიმავალი გზების გამაგრებას შეუდგნენ. "კარნი ოსეთისანი აიგნეს და სხვაგანაც დვალეთს და დურძუკეთშიო",

ხოლო "იგი მთიულნი გომარდად დაადგინეს". გომარდი – დადგენილ მოხელეს, ნდობით აღჭურვილს ნიშნავს სპარსულ-დაჰლავურ ენაზე. ისინი სპარსეთის საზღვართა ერთგული მცველები იყვნენ. მოგვიანებით არაბებმა სცადეს დარიალანის ხელში ჩაგდება და იქ თავისი მეციხოვნის დაყენება; რამდენჯერმე დაიპყრეს კიდევ, მაგრამ ფეხი ვერ მოიკიდეს. დარიალანს გარდა არსებობდა ორი უღელტეხილი, დვალეთისკენ მიმავალ გზას "გზა დუალეთისა" ეწოდებოდა. "გარდამოვიდეს ოვსნი დიდნი სპანი გზასა დუალეთისასა" – ლეონტი მროველი [37; 70]. ოსებს საქართველოში ჩრდილო – დასავლეთიდანაც შეეძლოთ შემოსვლა. ამისათვის საჭირო იყო მხოლოდ "გზათაკუეთის" გადმოლახვა. ლეონტი მროველს მოხსენიებული აქვს ასევე "ხაზარეთის კარნი".

"გზა ქართლისა"-დან მაგისტრალი გრძელდებოდა და უერთდებოდა "გზასა კლარჯეთისასა". კლარჯეთის აკროპოლისი - არტანუჯი ოდითგან განთქმული იყო, როგორც კარგად დაცული, უალტერნატივო პოლიტიკური და სავაჭრო ცენტრი. შავშეთ – კლარჯეთითგან აღმოსავლეთისაკენ ჯავახეთში გადასვლა არსიანის კარით ხდებოდა. ეს ერთადერთი გზა იყო, როდესაც "გარდავლეს მთა იგი არსიან წოდებული" მაშინვე "მივიდეს ხევსა ყოვლისასა". [25; 71] ეს ხევი არსიანის კარის პირდაპირი გაგრძელება იყო. ჯავახეთითგან ადამიანს შეეძლო წასულიყო აღმოსავლეთისაკენ და ქართლს მიაღებოდა, შეეძლო ჩრდილოეთისაკენაც გამგზავრებულიყო სამცხეში, ხოლო იქითგან ლიხთიმერეთში მისულიყო.

საქართველოს ჩრდილოეთ ნაწილში, ლიხთიმერეთსა და აფხაზეთში სამხრეთითგან გადასვლა თითქმის მხოლოდ სამცხის გზით შეიძლებოდა, ის იყო ერთადერთი ძნელი, მაგრამ მოხერხებული გზა. ძველად ყველანი ამ გზით გადადიოდნენ.

ლიხთიმერეთისა და მესხეთის შემაერთებელ გზას ეწოდებოდა "გზა რკინისჯვარისა", საიდანაც განდევნილი გიორგი რუსი შემოიჭრა საქართველოში, "გარდაიარეს რკინის – ჯუარი და ჩავიდეს ციხის – ჯუარს, დაწვეს ქალაქი ოძრხე"[37; 70].

ტაოთგან შიდა ქართლისკენ მოკლე გზა, კოლა-არტაანზე იდო, სწორედ ასეც მოიქცა ბასილი კეისარი, რომელიც ოლთისითგან ჯერ "მოვიდა არტაანს" მერე ჯავახეთით თრიალეთს გადავიდა.

არტაანითგან სამცხეშიც შეიძლებოდა მისვლა ნიალით, მგზავრს ხინგრის წყალი უნდა გაეგლო. სომხითიდან თბილისისკენ გზა სამშვილდეზე გადიოდა, აღმოსავლეთ კავკასიასთან საქართველოს აერთიანებდა "გზა ჰრანისა".

საბერძნეთიდან საქართველოში მოსვლა შეიძლებოდა ან ზღვით ან ხმელეთით; ხმელეთის გზა ბასიანზე ან ტაოსაკენ მოდიოდა.

გიორგი მთაწმინდელის მოწაფე მოგვითხრობს: "გამოვედით ანტიოქიით და მოვიწიეთ ვიდრე დიდად მდინარედ ეგვრატად". იქიდან უნდა მოსულიყვნენ საქართველოს საზღვრამდე.

გრიგოლ ხანძთელიც საბერძნეთიდან კლარჯეთში ზღვით კი არა, ხმელეთით მოსულა და ტაოზე გამოუვლია" [51; 72].

ციხისჯვრის სამხრეთ-აღმოსავლეთ, ანუ შარვაშეთის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდობზე გადმოედინებიან ბუნებრივი ცხელი და ცივი წყლის წყაროები. ამჟამად დამსვენებელთათვის დახურული აუზიც ფუნქციონირებს და შესაძლოა სწორედ ეს წყარო იხსენიებოდეს "მესხურ მატთანში" როგორც "შერანშაიანთ წყარო".

სწორედ ამ წყაროსთან იყრის თავს ერთის მხრივ, ციხისჯვარში ღართის ველის, მამაწმიდისა და კოდიანის გადავლით ასპინძისხევიდან მომავალი საურმე გზა და მეორეს მხრივ თორის მხრიდან უმოკლესი ასასვლელი იყო ჯავახეთის ზეგანზე ტაბაწყურის ტბის გავლით თრიალეთისკენ. ტაბაწყურიდან ფაქტიურად ორი გზა ჩამოდის: ერთი აზავრეთის გავლით ასპინძისხევში, მეორე კი ახალგაჭრილი ცხრაწყაროს უღელტეხილი, თუმცა არ არის გამორიცხული თორის მხრიდან პირდაპირი გზის არსებობაც ტაბაწყურისკენ. ეს მიდამოები უძველესი დროიდან ზაფხულის საუკეთესო ალპურ საძოვრებს წარმოადგენენ და ქიზიყის ცხვარი დღემდე ამ ე.წ. "ცხვრის გზით" მომთაბარეობს. ამ გზების (გზა რამდენიმეა, ერთმანეთის პარალელური) შესასწავლად 1989-91 წწ სამი საცხენოსნო ექსპედიცია მოეწყო ჩვენს მიერ თბილისი-ასპინძისხევი-თბილისის მიმართულებით.\*

ასპინძისხევის კომპლექსურ ექსპედიციას მატერიალურ ბაზას 1989-91 წ. უქმნიდა ჩვენს მიერვე დაარსებული ტრადიციონალისტური მიმართულების ფირმა "ლაშარი" და მასთან არსებული "ქართველ მხედრთა კლუბი" 15 ცხენით, ქართულ-კავკასიური ინსტიტუტის დაარსების შემდეგ 1992 წლიდან ეს

მოვალეობა, რომელსაც 1986-89 წ. საქართველოს საისტორიო საზოგადოება და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ასრულებდნენ, ინსტიტუტმა იკისრა.

კოდიანიდან ცხვარი წიწვოვანი ტყიათ დაფარული თორის მიმართულებით ცხადია აღარ გადადიოდა, კოდიანი როგორც ჩანს ცალკე სენიორიას წარმოადგენდა (რუსთველის სიმამრის - “კოდიანის მეპატონის” მამულები ს. მაკალათიას მიერ გამოქვეყნებული თქმულების თანახმად “წალკამდე სწვდებოდა” (იხ. ქვემოთ), სამხრეთის საძოვრები ანუ ძირითადად არტაანის მიმართულება როგორც ჩანს უფრო შესაფერისი იყო მეცხოველეობისათვის, შედარებით ნაკლები ტყის მასივებითა და თვალუწვდენელი მინდვრებითა და ალპური მდელოებით. ქიზიყელი (არბოშიკელი) მეცხვარეების გადმოცემით, მეორე მსოფლიო ომამდე საქართველოდან ცხვარი არტაანში გადაჰყავდათ, ე.წ. ცხვრის გზით. სსრკ-თურქეთის საზღვრის სრული გადაკეცივის შემდეგ კი ხევიდან დარიალის გავლით, ზოგჯერ კი ბაქოს გავლით დაღესტანში, კერძოდ ყიზლარში გადაჰყავდათ რკინიგზით, რამაც ტრადიციული დარგი სრულიად მოშალა, არარენტაბელური გახადა და დღეს პრაქტიკულად ორივე სტრატეგიული მიმართულებაა ბლოკირებული დარგის განსავითარებლად.



ასპინძისხევის უმეტესი ნაწილი შერეული ტყით არის დაფარული. მცენარეული საფარი მეტად წააგავს ბორჯომის ხეობისას. ხშირია ნაძენარი. როგორც ჩანს მოსახლეობა იძულებული იყო სასოფლო-სამეურნეო ახორციელებული ტყეში, რადგან სახნავ სათესი ფართობი მცირეა. ნასოფლართა რაოდენობით თუ ვიმსჯელებთ, მოსახლეობა მრავალრიცხოვანი ყოფილა. ჯერ კიდევ ინტენსიური მეურნეობის არსებობა ჩანს XVI-XVII სს. გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთრის მიხედვითაც.



მოჰყავდათ ხორბალი, ქერი, ჭვავი, ფეტვი... გამოსაღები იყო დაწესებული იონჯა-თივაზეც, ფუტკარზე, ცხვარზე, ღორზე, ბოსტანზე, იალაღზე, ხილზე ვენახზე. (9, 146) ოთა იხდიდა თითქმის იმდენივე ახჩას (გადასახადს), რამდენსაც დაბა ასპინძა, თუმცა შვიდჯერ ნაკლები მოსახლეობა იყო ოთაში. (6, 146). სოფლის მახლობლად, ნამონასტრალის გარშემო და მის გადაღმა, ზემო ინთორისა და ვარაზასციხის მიდამოებში ახლაც არის მშვენიერი ტყე, უწინ ხატის ტყე ყოფილა და ალბათ ამგვარმა სარწმუნოებრივმა აკრძალვამ გადაარჩინა დღემდე, თუმცა ამჟამად უმოწყალოდ იჩეხება, როგორც ჩანს ტყეს ისევ ოდინდელი პატრონის, მართლმადიდებელი ეკლესიისათვის დაბრუნება თუ გადაარჩენს.

ასპინძისხევიში სამი ნამონასტრალი იყო, რომელთაგან აგარის დედათა მონასტერი უკვე რესტავრირებულია და მოქმედი, შორეთის კომპლექსზე მიმდინარეობს საპროექტო სამუშაოები და კონსერვაცია, მეუფე იმედოვნებს, რომ მამათა მონასტერიც მალე აღდგება, წმედითი სამუშაო დაწყებულია ბეთლემის კომპლექსზე, ხეობაში აგრეთვე არის ოთის მარიამწმიდის, ოთისა და ვარაზასციხის კარის, ღართის, მამაწმიდისა და სანისლოს ეკლესიები, ასპინძისხევი საკათალიკოსო დაქვემდებარებაში იყო და სამართლიანობა მოითხოვს, რომ ეკლესიას არა მარტო მიმდებარე ტყეები, არამედ სახნავ-სათესი საგარეულებისა და საძოვრების ნაწილიც დაუბრუნდეს სამონასტრო მეურნეობების მოსაწყობად.



ეს შესანიშნავი მოდელი ეკლესიისა ბეთლემის ნამონასტრალში აღმოჩნდა, 1990-91 წწ ასპინძისხევის ექსპედიციის მიერ, გამოვლინდა მე-13 საუკუნის დიდებული სამრეკლო. ბეთლემის კომპლექსი არქეოლოგიურ შესწავლას, HDS ფიქსაციასა და სასწრაფო კონსერვაციას საჭიროებს.



## 5. ეთნოლოგიური პროცესები და ცვლილებები ასპინძისხევში

სოფელი ოთა 11 კმ-ით არის დაშორებული დაბა ასპინძას, საკმაოდ მოზრდილ სოფელს წარმოადგენს. აქედან 1944 წელს აჭყარეს და ჩრდილო ყაზახეთში გაასახლეს რუსეთის მიერ განხორციელებული ოკუპაციის შედეგად გაუკაცრიელებულ ქართულ სოფლებსა და საძოვრებზე, თურქეთიდან სავარაუდოდ მე-19 საუკუნეში მომთაბარეობით გარდმოსხვეწილნი “თარაქამა” ქურთები (“ელი”). მათი ხეობაში ჩამოსახლება განსაკუთრებით ე.წ. “მუჰაჯირობის” პერიოდშია მოსალოდნელი, როცა ფაქტიურად ეთნიკური წმენდა მოხდა ოკუპირებული ტერიტორიისა.

ამგვარი ფაქტები სწორედ რომ ეთნიკურ წმენდას ადასტურებენ, რადგან მაჰმადიანი ქართველების გასახლების შემდეგ არა მარტო ქრისტიანი სომხების ჩასახლებას შეეწყო ხელი, არამედ მაჰმადიანი, მაგრამ არაქართველი ქართული და თურქული მომთაბარეების ქართველთა სოფლებში დამკვიდრებასაც.

ჯერ კიდევ სრული ქართული ცნობიერების მქონე და ქართულად მოლაპარაკე (ისევე როგორც აჭარელი) გამაჰმადიანებული მესხები- იერლი (სამცხელი, ჯავახნი, თრიალეთელი), რუსული ადმინისტრაციის მიერ, მათი თურქებად გამოცხადებით, განზრახ იზოლირებულნი დანარჩენი ქართული მოსახლეობისაგან, განზრახ დამცირებულნი და შეურაცხყოფილნი ე.წ. მუჰაჯირობით იძულებულნი გახდნენ აყრილიყვნენ და თურქეთში გადასახლებულიყვნენ. ეს პროცესი უადრესად გაამძაფრა და დააჩქარა პარალელურად თურქეთიდან სომეხ ლტოლვილთა აგრესიული ნაკადების შემოსახლებამ რუსეთისა და მისი მოკავშირის, თბილისში დამკვიდრებული წვრილბურჟუაზიული სომეხი ნაციონალისტების, ვაჭართა სომხური ლობისა და მდიდარი სომხურ-გრიგორიანული ეკლესიის შემწეობით. ერმრავალი, მდიდარი მესხეთი იმდენად დაცარიელდა და გაუკაცრიელდა, რომ ზემოხსენებული, აგრეთვე მაჰმადიანი, მაგრამ რაც უკვე რუსული პოლიტიკისთვის იყო მთავარი, ეთნიკურად არაქართველი “თარაქამა ელი” დაუბრკოლებლად შემოდირდა და სახლდებოდა ქართულ ნასოფლარებში.

ყველაზე საშიშ, არასანდო, ანარქისტულ ანუ აშკარად ანტირუსულ ელემენტად სამხრეთ კავკასიაში რუსეთი მეომრული სულის მქონე ტრადიციული სახელმწიფოებრიობის მქონე ქართველობას, განსაკუთრებით გამაჰმადიანებულ

ქართველობას მიიჩნევდა, რომელსაც ისევე აღარაფერი აკავშირებდა აგრესორ რუსეთთან, როგორც თარაქამა “ელ”-ს არისტოკრატიულ ქართველობასთან.

მაჰმადიანი ქართველები ქრისტიან ქართველებზე უფრო საშიშნი იყვნენ რუსეთისთვის გასაგები მიზეზის გამოც, კერძოდ, მათ ადვილად შეეძლოთ თურქეთიდან ქმედითი დახმარების მიღება რუსეთთან დაპირისპირების შემთხვევაში.

აქვე უნდა ითქვას, რომ 1983 წელს ნაბეჭდი დედანის სახით არალეგალურად გავრცელებულ ხალილ-ბეგ უმაროფ-გოზალიშვილის ნაშრომში “მესხური ტრაგედია” (88, 32), შემდეგი სურათია წარმოდგენილი, რაც აქ უცვლელად მოგვყავს:

сведения о грузинах-мусульманах (месхах), проживающих в Ахалцихском уезде.

№	Название населенных мест	Число дворов	Число жителей	Народность жителей	Вероисповедование
1	Ацқური	129	773	грузины	сунниты
2	Агара	8	15	—	—
3	Зикидия	47	15	—	—
4	Цниси	26	178	—	—
5	Цриохи	32	220	—	—
6	Цинубани	50	369	—	—
7	Цохтеви	12	106	—	—
8	Цугарети	27	222	—	—
9	გიორგიცმინდა	30	220	—	—
10	Чохта	4	49	—	—
11	Ткемлана	27	213	—	—
12	Сақунети	47	320	—	—
13	Колтахеви	20	124	—	—
14	Копадзе	4	22	—	—
15	Бродза	9	56	—	—
16	Орпола	13	112	—	—

17	<b>Перисцихе</b>	7	39	-<<-	-<<-
18	<b>Индуца</b>	17	128	-<<-	-<<-
19	<b>Тоба</b>	8	40	-<<-	-<<-
20	<b>Лашихеви</b>	15	113	-<<-	-<<-
21	<b>Идумала</b>	13	95	-<<-	-<<-
22	<b>Аспиндза</b>	43	300	-<<-	-<<-
23	<b>Хертвиси</b>	157	1157	-<<-	-<<-
24	<b>Маргастани</b>	12	89	-<<-	-<<-
25	<b>Гобиети</b>	14	100	-<<-	-<<-
26	<b>Зурзели</b>	18	123	-<<-	-<<-
27	<b>Ахашени</b>	27	192	-<<-	-<<-
28	<b>ОНгора</b>	18	101	-<<-	-<<-
29	<b>Сахудабели</b>	14	117	-<<-	-<<-
30	<b>Варнети</b>	24	298	-<<-	-<<-
31	<b>Эркота</b>	3	24	-<<-	-<<-
32	<b>Ацквите</b>	19	95	-<<-	-<<-
33	<b>Рокети</b>	13	111	-<<-	-<<-
34	<b>Толоши</b>	20	115	-<<-	-<<-
35	<b>Гелсунда</b>	15	1107	-<<-	-<<-
36	<b>Энтели</b>	5	50	-<<-	-<<-
37	<b>Орцети</b>	2	23	-<<-	-<<-
38	<b>Хеоти</b>	24	184	-<<-	-<<-
39	<b>Агара</b>	6	47	-<<-	-<<-
40	<b>Чорчани</b>	2	6	-<<-	-<<-
41	<b>Горома</b>	8	73	-<<-	-<<-
42	<b>Цкорза</b>	9	57	-<<-	-<<-
43	<b>Кисатиби</b>	16	116	-<<-	-<<-
44	<b>Георгицминда</b>	7	41	-<<-	-<<-
45	<b>Одунда</b>	4	32	-<<-	-<<-
46	<b>Грели</b>	1	13	-<<-	-<<-
47	<b>Андриацминда</b>	24	157	-<<-	-<<-
48	<b>Клдэ</b>	78	606	-<<-	-<<-
49	<b>Варнети</b>	14	100	-<<-	-<<-

50	<b>Панакети</b>	13	105	←←	←←
51	<b>Шалошети</b>	17	107	←←	←←
52	<b>Толерта</b>	8	94	←←	←←
53	<b>Большая Агара</b>	19	163	←←	←←
54	<b>Кардзамети</b>	4	50	←←	←←
55	<b>Эникеви</b>	19	121	←←	←←
56	<b>Уравели</b>	15	113	←←	←←
57	<b>Тхилтаубани</b>	2	9	←←	←←
58	<b>Хевашени</b>	20	174	←←	←←
59	<b>Унца</b>	8	89	←←	←←
60	<b>Бенара</b>	9	40	←←	←←
61	<b>Пхеро</b>	26	200	←←	←←
62	<b>Накурдеви</b>	12	109	←←	←←
63	<b>Эмо Энтели</b>	18	146	←←	←←
64	<b>Квемо Энтели</b>	22	182	←←	←←
65	<b>Шулавери</b>	16	121	←←	←←
66	<b>Шока</b>	8	107	←←	←←
67	<b>Боладжури</b>	32	243	←←	←←
68	<b>Гоморо</b>	6	90	←←	←←
69	<b>Патара Смада</b>	16	156	←←	←←
70	<b>Диди Смада</b>	11	142	←←	←←
71	<b>Чорчани</b>	14	113	←←	←←
72	<b>Диди Занави</b>	18	185	←←	←←
73	<b>Цре</b>	14	124	←←	←←
74	<b>Адигени</b>	58	326	←←	←←
75	<b>Платэ</b>	27	208	←←	←←
76	<b>Заубани</b>	8	66	←←	←←
77	<b>Бога</b>	16	124	←←	←←
78	<b>Шудро</b>	14	101	←←	←←
79	<b>Свири</b>	47	395	←←	←←
80	<b>Чвинта</b>	9	70	←←	←←
81	<b>Татаниса</b>	12	93	←←	←←
82	<b>Элиацминда</b>	4	29	←←	←←

83	Куратубани	10	68	←←	←←
84	Двири	6	40	←←	←←
85	Микелцминда	1	11	←←	←←
86	Цкруტი	3	30	←←	←←
87	Ани	27	124	←←	←←
88	Кикиნети	26	162	←←	←←
89	Цахნისცარო	6	49	←←	←←
90	Цахანი	75	403	←←	←←
91	Харджами	24	108	←←	←←
92	Абастумани	46	250	←←	←←
93	Вархანი	52	339	←←	←←
94	Млаше	16	151	←←	←←
95	Арзнэ	13	113	←←	←←
96	Зэдубани	16	147	←←	←←
97	Апиэტი	9	103	←←	←←
98	Саирмэ	8	95	←←	←←
99	Чечле	29	189	←←	←←
100	Горгубани	16	147	←←	←←
101	Гугунаური	5	68	←←	←←
102	Намნиаური	5	63	←←	←←
103	Цихისუბანი	8	75	←←	←←
104	Мохе	18	152	←←	←←
105	Гагვი	6	45	←←	←←
106	Дерцели	10	80	←←	←←
107	Кеховანი	9	82	←←	←←
108	Уткვისუბანი	4	23	←←	←←
109	Годердзи	14	122	←←	←←
110	Зарзма	3	20	←←	←←
111	Горгули	5	46	←←	←←
112	Каратубани	14	80	←←	←←
113	Леловანი	31	200	←←	←←
114	Амхერი	2	36	←←	←←
115	Гордзе	5	24	←←	←←

116	Кахарети	22	113	←←	←←
117	Самкуре	13	100	←←	←←
118	Цкисэ	10	7	←←	←←
119	Зазало	26	161	←←	←←
120	Хуро	6	38	←←	←←
121	Удэ	35	206	←←	←←
122	Царбастубани	10	68	←←	←←
123	Марели	7	43	←←	←←
124	Хона	7	51	←←	←←
125	Орчошани	10	68	←←	←←
126	Сабузара	5	29	←←	←←
127	Чихели	8	26	←←	←←
128	Чурчუто	11	116	←←	←←
129	Валэ	44	345	←←	←←
130	Схვილისი	16	115	←←	←←
131	Чала	5	23	←←	←←
132	Чарали	9	69	←←	←←
133	Джакисмани	13	142	←←	←←
134	Арджана	9	73	←←	←←
135	Аби	11	65	←←	←←
136	Арали	4	32	←←	←←
137	Хаки	5	39	←←	←←
138	Анда	9	68	←←	←←
139	Камза	16	145	←←	←←
140	Ошора Зэмо	44	357	←←	←←
141	Ошора Квемо	41	333	←←	←←
142	Ота	20	171	←←	←←
143	Хизабавра	7	55	←←	←←
144	Алджуа	6	33	←←	←←
145	Мурджахети	11	72	←←	←←
146	баралети	2	18	←←	←←
147	Котелиа	3	35	←←	←←
148	Оками	47	332	←←	←←

149	Апниа	5	49	««	««
150	Гогашени	1	14	««	««
151	Килда	3	39	««	««
152	Квашра	11	89	««	««
153	Варевани	8	88	««	««

По данным вышеуказанного «Сборник материалов для описания Тифлисской губернии» на территории Месхети проживали, кроме грузин-мусульман (месхов) православные грузины, грузины-католики, армяне, русские, а также курды и таракама, которые иногда в сборнике именуется татарами. По данным сборника курды в следующих селах: Минадзе, Рустави, Цкалтбила, Накалакеви, Цунда, Бертакана, Анакети, Верташи, Мирашхан, Охера, Аланза, Чолда, Тмогви, Тораси, Пиа, Ахчия, Контиети, Требони, Хриали, Зэдавардзиа, Гавети, Пареха, Арджули, тисели, Таракама же проживали в селах Мраквали, Оскория, Вани, Гурбага оглы, Леписи, Бузмарети, Ниала, Гокиа, Кулалиси, Эринджа, Давниа, Азмана, Гарта, Карцепи, Аблахи, Дангали.

В 1944 г. вместе с грузинами-мусульманами были высланы курды и таракама.

По офицальным данным 1916 года национальный состав Месхети, состоящей из Ахалцихского и Ахалкалакского уездов, выглядел следующим образом: «Ахалкалакский уезд: всего жителей 72000. Грузин-мусульман 52000; Грузин-православных – 8000; Грузин-католиков – 6000; Всего грузин 66000; Армян – 76000; Курдов – 2000.

Ахалкалакский уезд: всего жителей 100000. Грузин-мусульман – 7000; Грузин-православных – 8000; Грузин-католиков – 7000; Всего – 22000; Армян – 76000; Курдов – 1000. Таракама – 1000». (60, 12)

ამ აღწერის მიხედვით სოფელში 171 პირი, ანუ 20 ოჯახი ქართველი სუნიტი ჩანს, მაგრამ არა თარაქამა ელი ანუ “თათარი” როგორც აღნიშნავდა მარი ბროსე (“Sans nous arreter la, nous poussames vers Ota, petit hameau thathar” (45; 177).

სოფელი ოთა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ წლებში სწრაფად განახლდა იმერლებისა და მთიულების ჩამოსახლებით ისტორიული სოფლის ნაფუძვარზე. მეოცე საუკუნის ოთხმოციან წლებში მოემატა “ქვემო ოთად” წოდებული აჭარელთა ახალშენი.

ასპინძა ისტორიული სამცხის შემადგენლობაში შედიოდა, რასაც იუწყება სუმბატ დავითის ძე: “სძლიეს ნასრას, მეოტ ქმნეს, შეიპყრეს და მოკლეს ნასრა ხევისა სამცხისასა, სოფელსა ასპინძას, ქორონიკონსა რე (ანუ 888 წელს)(76)”. “მაშასადამე, ასპინძა სამცხეში ყოფილა”, ასკენის ივანე ჯავახიშვილი (37; 56). მაგრამ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ასპინძისხევიც მექანიკურად სამცხეს უნდა მივაკუთვნოთ. ასპინძისხევი არა ასპინძასთან, არამედ სათავიდან, “კოდიანის, ანუ ჯავახეთის” მთიდან იწყება, მიედინება კოდიანის “საბატონოში” და მტკვრის შესართავთან უკვე მტკვრის ხეობაში მთავრდება ასპინძასთან. აქვე საინტერესოა ივ. გვარამაძის მოსაზრების განხილვა შორეთის (ჭაიტის) და ნახევარჯავახეთის შესახებ (გაზ. “დროება”, №98, 1881 წ. “მესხური ფელტონი”), რომ “... აგრეთვე რომელთამე კერძო პირთა მითხრეს, რომ ხიზაბავრის ტყეში ყოფილი ჭაიტის ეკლესია (იგულისხმება შორეთის მონასტერი, მარი ბროსეს ჩაწერილი აქვს “Taiji ou Sholothan” “Taiji” იგივე “ტაიჯია, ხიზაბავრელთა ჭაიტა, არასწორად ჩაწერილი, ხოლო “SoloTan”, იგივე ოთა-ოშორის მცხოვრებთა კილოზე “შოლორთაა” (45;177), “ადრე მონასტრად ყოფილა კოდიანის და ნახევარჯავახეთის მცხოვრებთა.” ივანე გვარამაძე ადგილობრივი, მესხური წარმოშობის იყო და როგორც ჩანს, შორეთის ტყეს ხეობის მაცხოვრებლები ტრადიციულად ხიზაბავრის ტყედ მიიჩნევდნენ, იგი ჯავახეთის შემადგენლობაში იგულისხმებოდა (გეოგრაფიულად ასპინძისხევის (სანისლოს) მარჯვენა ფერდობზე მდებარეობს). გარდა ამისა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვიდრე ასპინძისხევის ექსპედიციისა და ასპინძის სატყეო მეურნეობის ერთობლივი ძალისხმევით სამანქანო გზა ასპინძისხევის ქართულ სოფელ ოთადან არ ავიდა შორეთში, იგი ადმინისტრაციულად ჯავახეთის ზეგანზე მდებარე აზავრეთის (ყოფილი ქართული, ამჟამად კი სომხური სოფლის) სატყეო მეურნეობის შემადგენლობაში იყო და პირადად ჩვენი ჩარევისა და თხოვნის შედეგად გადაეცა სატყეო დეპარტამენტის მიერ ოთას.

საყურადღებოა ადგილობრივი (მესხური) წარმოშობის მკვლევარის - ივ. გვარამაძის მიერ ტერმინ “ნახევარჯავახეთის” ხმარება, თანამედროვე ჯავახები



ამ ტერმინს აღარ ხმარობენ, ძნელი სათქმელია თუ რა იგულისხმებოდა “ნახევარჯავახეთში”: ტყიანი ჯავახეთი? ზვარეთი? საჯავახთუფლო თავდაპირველ საზღვრებში? ჩრდილოეთ ჯავახეთი ასპინძისხევიდან ტაბაწყურამდე ზვარეთით?

ისტორიულად სად გადიოდა სამცხე-ჯავახეთის გამყოფი, სადემარკაციო ხაზი? ეს იყო დასავლეთ ნაწილი საზღვრისა “ფანავრითგან ვიდრე მტკვარამდე” (ქ.ც.), თუ ჯერ ქართლის საპიტიახშოს, შემდეგ საბაღუაშოსა და ბოლოს დიდი საორბელოს დასავლეთ საზღვარი, რომელიც საუფლისწულო დომენისა და ე.წ. “პროვინციის მეფეთა” ხანაშიც ჩრდილო, ე.წ. ტყე-ჯავახეთთან ერთად გამუდმებით ერთ მსხვილ, კონკრეტულ ადმინისტრაციულ ერთეულში იყო გაერთიანებული. ტრადიციულადაც, როგორც მტკვრის მარჯვენა სანაპირო, ჯავახეთად მოიაზრებოდა შარვაშეთ-კოდინის მთის სამხრეთით, ჩიტიკიბეებისა და ზემო ოშორას აღმოსავლეთით, ყიზილ-დერესას ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორია.

აქვე უნდა ითქვას, რომ შესაძლოა სწორედ ასპინძისხევზე გადიოდა საზღვარი ისტორიულ საერისთავოებს შორის, ასპინძისციხე სამცხის მხარეს, მტკვრის ხეობაზე გამავალ სამცხის სტრატეგიულ სავაჭრო გზას აკონტროლებდა, ხოლო ოთის ციხე საფორთიფიკაციო ნაგებობათა მძლავრი სისტემით: კოხტა-შორეთი-ზემო ინთორა-ვარაზას ციხეებით ჯავახეთის მხარეს, კერძოდ საჯავახთუფლოს, ჭაბიეთის, სანისლოს, ვარაზას, ზემო ინთორისა და შორეთის ხევებს, კოდინი-ციხისჯვრის საუღელტეხილო გზას. ჯერ გაურკვეველია ასპინძა-ოთას შორის მდებარე ნასოფლარ აგარისა და ყიზილ-დერესას (“წითელი ეკლესიის”) კუთვნილება, თუმცა მტკვრის მარჯვენა მხარეა და გარკვეულწილად მთებით არის იზოლირებული სამცხის ქვაბულისგან.

ამ დროისათვის ასპინძიდან ახალციხეში მიმავალი პირდაპირი გზა არ არსებობდა. სოფ. რუსთავიდან სოფ. მინაძემდე მდ. მტკვრის ხეობის გაყოლებით, დიდი და ქარაფოვანი კლდეების არსებობის გამო, აქ გზა ძალიან მოგვიანებით – XIX საუკუნეში რუსეთის მიერ იქნა გაყვანილი.

რუსთავიდან გზა გადიოდა ჩრდილოეთით სოფ. ორფოლამდე, ორფოლას მახლობლად (სამხრეთით) გზა მკვეთრად უხვევდა დასავლეთისაკენ და სოფ. კოპაძეზე გავლით მინაძეში ჩადიოდა, ქვის კამაროვანი ხიდით გადადიოდა მტკვრის მარცხენა ნაპირზე, გაივლიდა

სოფელ ჭაჭარაქს და ახალციხეში ჩადიოდა. აბრეშუმის დიდი გზის არსებობას სამცხე – ჯავახეთში ადასტურებს შემდეგი ფაქტები:

- 1) გზის გასწვრივ აგებული ციხე-სიმაგრეები,
- 2) გზის გაყოლებით ქარვასლების არსებობა,
- 3) მრავალი ეკლესია-მონასტრის არსებობა,
- 4) ქვაფენილი გზა ფარავნიდან ხოსპიომდე აბულზე გავლით.

სამცხე – ჯავახეთში გამავალ აბრეშუმის დიდ გზას უერთდებოდნენ აქ გამავალი სხვა, დიდი თუ მცირე საქარავნო გზებიც.

ესენია:

1) წუნდა, თმოგვი, ნიალა, ჰავეთი, გუმბათი, სამწუბი, ახალკაცი, ჩორჩო, ტბეთი, შაბანიბელი – ბიზანტიის მიმართულებით,

2) წუნდა, თმოგვი, ზედა თმოგვი, გრძელი ჭალა, სხალნარა, ჭურა, მეფის წყარო, დადემის გზები, ჭობარეთი, ფულა, წყორძა, შუაკარავი, შაბანიბელი – აგრეთვე ბიზანტიის მიმართულებით,

3) სოფ. ხოსპიო, სოფ. ოლდანი, კოლა – არტაანი, შავშეთ – კლარჯეთი. - შავი ზღვის სანაპიროთი აგრეთვე ბიზანტიისაკენ.

სამცხე – ჯავახეთის ტერიტორიაზე გამავალი აბრეშუმის დიდი გზის გასწვრივ არსებობდა შემდეგი ციხე-სიმაგრეები:

ტბა ფარავანთან სოფ. მახაროვანის ციხე – ციტადელი, შაორის ციხე, სოფ. განძასთან ციხე – სიმაგრე, სოფ. ყაურმის ციხე – ციტადელი, კარტიკამის ციხე – სიმაგრე, აბულის ციხე – სიმაგრე, ახალქალაქის ციხე – ციტადელი, ვაჩიანის ციხე – სიმაგრე, თმოგვის ციხე – ციტადელი, ხერთვისის ციხე – ციტადელი, ასპინძის ციხე – ციტადელი, რუსთავის ციხე (ამჟამად ნაციხარი სამკურნალო წყალთან), მინაძის და ჭაჭარაქის ციხეები, ახალციხისა და ოძრხის ციხე – ციტადელები.

გარდა ზემოთაღნიშნული ციხე – სიმაგრეებისა და ციხე – ციტადელებისა ამ გზის გასწვრივ გაშენებული იყო ქარვასლები, რომელთა ნაშთები დღესაც კი არის შემორჩენილი მესხეთის ტერიტორიაზე. ესენია: სოფ. ფარავანის ქარვასლა, ქ. ახალქალაქში შემორჩენილი ქარვასლის ნაშთები, შემდგომ უკვე სამხრეთით, სოფელ ნიჯგორთან ახლოს, მდ. მტკვრის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროზე

შემორჩენილი ქარვასლები, რომლებიც დღესდღეობით უკვე დაზიანებული სახით არის წარმოდგენილი.

საყურადღებოა აგრეთვე თვითონ ტერმინი ასპინძა, მერაბ ბერიძის განმარტებით ტერმინი ასპინძა სპარსულიდან მომდინარეობს, რაც სადგურს, თავშესაფარს, სასტუმროს, ფუნდუკს ნიშნავს და აქედან სიტყვა მასპინძელს ასპინძასთან აკავშირებს. დღეისათვის ასპინძაში ქარვასლა-სასტუმროს მატერიალური ნაშთი შემორჩენილი არ არის. (9; 32, 33).



ეთნიკური თვალსაზრისით ოთის ხეობის (ასპინძის ხევის) მოსახლეობა არ იყო ჭრელი. აქ უძველესი დროიდან სახლობდნენ ქართველი ტომები. ძირითადად ქართული მოსახლეობის კვალი ჩანს საქართველოს ძლიერების ხანაში და შემდგომ პერიოდშიც. შორეთის სამონასტრო კომპლექსის ყველა ლაპიდარული წარწერა ქართული ასომთავრულითა და ნუსხა-ხუცურით არის შესრულებული. ხეობის ტოპონიმიკაზე ქვემოთ გვექნება საუბარი. ინტენსიური დასახლებები

უნდა ყოფილიყო ადრებრინჯაოს ხანაშიც, რასაც მოწმობენ სოფლის შარაგზისპირებში გზის გაყვანისას გამოვლენილი ქვასამარხები. ადრეფეოდალური ხანიდან აღსანიშნავია მოწითალო ფერის კვადრებით ნაშენი გამაგრებული პუნქტები და ნაგებობათა ნაშთები (შორეთის ციხის ფრაგმენტები, ზემო ინთორის ციხე, აგარის ნასოფლარის ნაშთები, ვარაზას ციხის ძველი გადოლი და ა.შ.)

გასათვალისწინებელია პროკოფი კესარიელის ცნობა ქართველ ტომთა განსახლების შესახებ: “ლაზების ქვეყნის გვერდით, სახელდობრ იბერიის გასწვრივ, ცხოვრობენ ძველთაგანვე იბერიის ქვეშევრდომი მესხები, რომელთაც მთებში აქვთ საბინადრო ადგილები”(10. 127). ასპინძისხევი ისეთ მთისწინეთს წარმოადგენს, საიდანაც ახლოა როგორც მტერთაგან მიუდგომელი კლდეები, ისე უადრესად მოსავლიანი მტკვრისპირეთი და საფიქრებელია, რომ ხეობაში მოსახლეობა უძველესი დროიდანვე უნდა ყოფილიყო.

ქართლის ჰეგემონიის გავრცელებას მესხეთზე, კერძოდ სამცხე-ჯავახეთზე, უნდა მოჰყოლოდა ქართლის მეფეთა მუდმივი დასაყრდენის შექმნა. “სწორედ ამგვარ რეზიდენციას, ანუ სამეფო სადგომს წარმოადგენდნენ სხვადასხვა დროს ზემო ჯავახეთის სოფლები: ღრტილა, ალასტანი და სხვ. სამეფო სადგომი დაკავშირებული იყო როგორც ტაბაწყურის გზასთან (17; 99), ისე ციხისჯვართორის გზასთან.” ცხრაწყაროს უღელტეხილი გვიან გატანილი გზაა, ამიტომ ჯავახეთიდან თორში გადასვლა უმეტესად ციხისჯვრის გზით ხდებოდა, რომელიც გაცილებით დაბალია და ადვილად გადასალახი; ეს გზა შარვაშეთის მთების გადავლით (ასე ჰქვია მას ქართლის ცხოვრებაში) უძველესი ჩანს, “რაზეც მეტყველებს ადრეფეოდალური ქვაჯვარები ციხისჯვარსა და სირგვასთან” (17; 100). აქვე უნდა დავუმატოთ შორეთის მონასტერში აღმოჩენილი VI-VII საუკუნეების ქვაჯვარა, მონასტერი საურმე (მაშინდელ მაგისტრალურ) გზაზე იქნა მოგვიანებით აგებული. ეს გზა საუფლისწულო დომენიდან ზემო ინთორის ციხისკენ მიდიოდა, მას ადგილობრივი მესხური ტრადიცია “ჩახრახის გზას” უწოდებს. (აქვე უნდა ითქვას, რომ ტოპონიმი “ჩახრახის გზა” საკმაოდ სიმპტომატურია, არ უნდა იყოს შემთხვევითი დამთხვევა ან გვიანდელი ტოპონიმი, განვიხილავთ მოგვიანებით რუსთველთან დაკავშირებული ფოლკლორთან ერთად). გზა ზემო ინთორასთან ორად იყოფა, ერთი ოთისციხის გავლით ასპინძა-ოშორისაკენ (სამცხე) მიდის, მეორე კი ვარაზასციხის გავლით კოდინ-ციხისჯვარისკენ (თორი). ძველთაგანვეა გაჭრილი ვარაზას ციხესთან

მდებარე ფართო კლდეკარი, რომელსაც თეთრობისა და ტაბაწყურის მიმართულებით მიყვავართ სანისლის სათავისაკენ. ხიზაბავრელები ამბობენ, რომ ზევით, ხეობის აღმა, კიდევ უნდა იყოს ერთი კლდეკარი.

XI საუკუნის დასაწყისში ჯავახეთი სამეფო დომენად იქცა. ამ პერიოდიდან უნდა დაწყებულიყო ციხეთა და ეკლესიათა შენება და აღდგენა ოთის ხეობაში (ასპინძისხევში). ჯავახეთის საუფლისწულოდ გამოცხადება არ იყო შემთხვევითი აქტი, აღნიშნული რეგიონი ფაქტიურად ყოველთვის წარმოადგენდა საქართველოს გეოგრაფიულ ცენტრს და სტრატეგიულად უაღრესად ხელსაყრელ არეალს. მისი გეოპოლიტიკური მნიშვნელობა განსაკუთრებით XI-XV საუკუნეებში, საქართველოს გაერთიანებისა და რღვევის დაწყების ხანაში გაიზარდა.

XII საუკუნის მეორე ნახევრიდან საუფლისწულო დომენის გამგებლებად ერისთავთ-ერისთავი გამრეკელი-თორელები ჩანან (17; 103). კახა თორელის შემდეგ კი ჯავახეთის ერისთავობა გადადის თორელთა საგვარეულოს ღობიართა შტოზე, რომლებიც შეავიწროვეს ჯაყელებმა და XIV საუკუნეში ღობიარი თორელნი კარგავენ ერისთავობას, მათი მამული დიასამიძეთა ხელში გადადის(17; 109). ამრიგად, ასპინძისხევი თუ თორთან დამაკავშირებელ ხეობას წარმოადგენდა, შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ოთის ციხეც თორელთა სიუზერენულ დაქვემდებარებაში უნდა აღმოჩენილიყო, მით უმეტეს რომ ღობიეთიც ჩრდ. აღმოსავლეთ სამცხეში მდებარეობს, ისევე როგორც ასპინძა, მაგრამ ჯავახეთის, თორისა და თმოგვის ქვეყნის დიდი ნაწილი ჯაყელთა ძლიერების ხანაშიც საუფლისწულოს სახით ეკუთვნოდათ ქართლის მეფეებს (18; 26), ხოლო შორეთის მონასტრის ახალაღმოჩენილ სამშენებლო წარწერაში მოხსენებული “საბა ნიკოლოზი ძე ვარაზ-ბაკურ ოთარისა”(40; 43) პირდაპირ გვამცნობს ხეობის სიუზერენის ვინაობას, რაც ქვემოთ დაწვრილებით იქნება განხილული. შემთხვევითი არც ის უნდა იყოს, რომ ლაშა გიორგი “ჯავახთუფალს” უწოდებს თავს (56; 145-147), საუფლისწულოს ტერიტორიაზე – კოხტას ციხისკენ, სწორედ შორეთის მონასტერზე გადიოდა გზა. სოფელ დამალასთან (დღევანდელი სომხური სოფელი ტამალა, ასპინძის რაიონი), კოხტას ციხეში, იკრიბებიან მონღოლთა წინააღმდეგ შეთქმულნი. აჯანყებული ულუ დაგითიც ჯავახეთში გადადის: “ვითარ მოიწია ქუეყანად ჯავახეთისად, დაამტკიცა განდგომა, და მოუწოდა თანაგამზრახთა მისთა”(80/1; უამთაადმწერელი).

შემთხვევითი არც ასპინძისხევის, კერძოდ ოთის (ციხითა, სასაფლაოთი, ეკლესიითა და მონასტრითა) საკათალიკოსო მამულებად ქცევა (იხ. ქვემოთ). აგრეთვე საგანგებოდ განვიხილავთ ე.წ. “პროვინციის მეფეთა” მმართველობის პერიოდს.

სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილებში, (მაგალითად დარიალი, ქურმუხი) საქართველოს მეფეები უშუალოდ ცენტრალურ ხელისუფლებას დაქვემდებარებულ არაადგილობრივი (ადგილობრივში ვგულისხმობ კუთხურ კუთვნილებას, ჯარი ქართული იყო) წარმოშობის ჯარს აყენებდნენ (38; ნაკვეთი საინგილოს შესახებ), აძლევდნენ სამოსახლოს და ყოველგვარი ბეგარის ნაცვლად ადგილის დაცვას ავალდებულებდნენ, რათა ადგილობრივ ფეოდალთა სეპარატისტული გავლენის ქვეშ არ მოქცეულიყვნენ. ეს ერთი მიზეზი იყო, რადგან მეორეს მხრივ დამპყრობელი ყოველთვის ცდილობდა ამგვარ ადგილებში ბრძოლისუნარიანი მოსახლეობის განადგურებას, რასაც ხშირად წარმატებით ანხორციელებდა და შესაძლოა ისე გაუკაცრიელებულიყო ესა თუ ის მხარე, რომ სამეფო იძულებული იყო კონტრზომა მიეღო, რესურსი გამოეძებნა და რეგიონი დაეცვა. ქურმუხელთა და მოხევეთა წარმოშობა სწორედ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან შენაკრებს ჰგავს, რაც გაერთიანებული ქვეყნის რეგულარული ჯარისთვის (მონა სპისთვის) ჩვეულებრივი ამბავი უნდა ყოფილიყო. ამ ფაქტზე მეტყველებს დასახელებულ ხეობათა ტოპონიმოკა, მოსახლეობის გვარები და დიალექტური თავისებურებანიც.

ასპინძისხევში გამავალ გზებს რამდენიმე დიდი ციხე აკონტროლებდა, მათ კი დამცველები ესაჭიროებოდათ, სწორედ ამიტომ არ დაუშვებდა სამეფო ხელისუფლება სტრატეგიული ხეობის ბრძოლისუნარიანი მოსახლეობის შემცირებას. მეორე მხრივ კი ეს გარემოება შესაძლოა რელიგიური ასპექტითაც ყოფილიყო განპირობებული. ეკლესია საქართველოს ძლიერების ხანაში განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდა ნახევრად წარმართული მთის მოქცევას, სამწყსოს გამრავლებას. მეფე და მისი ფეოდალური ინსტიტუტი კი ცხადია მთის თავისუფალი მოსახლეობის დამორჩილებას და დაბეგვრას ესწრაფვოდა.

ეკლესია და მეფე ერთად მოქმედებდნენ, სწორედ ამ მიზნით აიგო ხევში გერგეტის სიონი, ალბათ იგივე მიზანი ჰქონდა შორეთის სამონასტრო კომპლექსის მშენებლობასაც. ეკლესია ეტყობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ამ ადგილებში მონასტრის არსებობას, თავად კათალიკოსი აკონტროლებდა მის მშენებლობას. ამკობდა მოზაიკით, მოჭიქული ფილებით, “სპილოს ძეგლის

ლიბრით”... შესაძლოა ასპინძის ხევი ოდესღაც წარმართულ ცენტრსაც წარმოადგენდა ამ მხარეში. საინტერესოა ასპინძისხევის უძველესი ნასოფლარების შემორჩენილი სახელწოდებები: ბოქთა (Boxta), ღართა, ინთორა, მამაწმინდა, სანისლო. შეგვიძლია გავატაროთ პარალელები. სოფ. ბოქთაში მე-19 საუკუნეში დასტურდება ე.წ. პონტოური წარმოშობის ბერძნულენოვანი (საფიქრებელია ლაზური წარმოშობის) მოსახლეობა (დღევანდელი ციხისჯვარედლები), წყაროებში ბოქთა იხსენება აგრეთვე როგორც “ბოხთა”, შესაძლოა უძველეს დროში ამ სოფელს ერქვა მოგვთა (ან სხვა მსგავსი ძველქართული სახელი), ბერძნების (ანუ ბერძნულენოვანი ლაზების) მიერ კი დაკარგა ძველი უღერადობა და აღნუსხულ იქნა რუსულ გეოგრაფიულ აღწერილობებში “ბოხტა”-დ.

ტოპონიმის გარშემო რამდენიმე მოსაზრება არსებობს, მაგრამ მხოლოდ ორ პარალელს გავავლებთ საკითხის დასასამეღად. გავიხსენოთ ქართლის ცხოვრებისეული ერთი ცნობა, რომელიც მცხეთის მოგვთას ეხება: “ფარნაჯომ შექმნა კერპი სახელით ზადენ, შეიყუარა სჯული სპარსთა, ცეცხლის მსახურება; მოიყუანეს სპარსეთით ცეცხლის-მსახურნი და მოგუნი, და დასხა იგინი ადგილსა მას რომელსა აწ ჰქვიან მოგუთა” (42; 21).

ან მეორე ვერსიით: ბოქთა–ბოჩი-ბოდი-ბოდა (აქედან სა-ბოქთა-რი, “საბოთარი” – “საბოტარი”). აქვე გავიხსენოთ ივ. ჯავახიშვილისეული აზრი ძველი ქართული ღვთაების ბოჩის შესახებ, რომ “ეფთვიმე მთაწმინდელის ცნობა “სახელის დებანი იგი საწარმრთოთა კერპთანი სრულიად მოისპენ – დიოს, ანუ აპოლოს, ანუ არტემის, ანუ ბოჩი და გაცი და ბადაგონ და არმაზ ესე ყოველივე საეშმაკოი არს და მოისპნენ ქრისტეანეთაგან” (91. 113.) სრულ ჭეშმარიტებას უნდა შეიცავდეს. ამ ღვთაების სახელს თავდაპირველად მაინც . . . ვაცის, ან ბოტის მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს”.(32; 86-87)

დავებნეთ ფუძე “ბოთი” ძველ საისტორიო წყაროებში და აღმოჩნდა, რომ ვანის სახარების XIII-XIV საუკუნის ანდერძში მოხსენებულია სიტყვა “საბოთარი”. “წ. შემოსწირა: წმინდა: ესე ოთხთავი: პატრონმან ნათამან ჩუენ: საბოთარსა: და შორეთელთა ...” (20; 657; 23; 90; №1335) ოთხთავი შეუწირავთ შორეთის მონასტრისათვის, მაგრამ რას უნდა ნიშნავდეს “ჩუენ: საბოთარსა...”? “-არ” ბოლოსართი ცნობილია, (ოთა-ოთარი, ხერთვისი-ხერთვისარი, ღობიეთი-ღობიარი). მაგრამ თუ ოთის მფლობელი იგულისხმება (“ოთარი”) თავსართი “საბ” რას ნიშნავს, ხოლო თუ ფუძედ “ბოთ”-ს მივიჩნევთ, იგი უფრო

უახლოვდება “ბოქტ”-ას. ქართლის ცხოვრებაში არის დავით კუროპალატის მეფობის დროინდელი საყურადღებო ცნობა: “ვითარ წარხდეს ამას შინა ჟამნი რაოდენნიმე, იწყეს კუალად მედგრობად ზაკულებით, ვითარცა არს ჩვეულება ქართლისა აზნაურთა: შეეუბნეს ნაქურდეველთა და საბოტარელთა, და მოიყვანეს ლაშქარი კახეთით, და გასცეს უფლისციხე, და შეიპყრეს გურგენ და ძე მისი ბაგრატ და დედოფალი გურანდუხტ, წარიყვანეს კახეთად.” (77; 274)

ე. ი. ოთხთავის მინაწერის “საბოტარს” გამოუჩნდა შესაბამისი, ტოპონიმიდან წამომდგარი: “საბოტარელნი”, რაც ასპინძისხეველთა იმდროინდელ კრებით, სადაურობის აღმნიშვნელ სახელწოდებას უნდა წარმოადგენდეს, როგორც “ცხოტელნი”, “ჟამურელნი”, “არაგველნი”, “გუდამაყრელნი” და ა.შ. ტოპონიმი “ნაქურდევი” ადიგენის რაიონში დღესაც შემორჩენილია როგორც სოფლის სახელწოდება, წყაროში შესაძლოა საუბარი იყოს სწორედ ადიგენის ნაქურდევზე. (69) ცხადია აჯანყებული ქართლის აზნაურები სამცხე-ჯავახეთის სტრატეგიული ადგილების გაკონტროლებას შეეცდებოდნენ, რადგან ტაოკლარჯეთიდან ელოდნენ ბაგრატის მამობილისა და რეალური ხელმწიფობის მქონე დავით მეფის ლაშქრის შემოჭრასა და შურისძიებას.

წყაროებში გვხვდება ტოპონიმი ბოტორნა, ბოდი და სხვა, მაგრამ “საბოტარელნი” მეტ სიახლოვეს იჩენს ასპინძის ხევის ტოპონიმებთან და მის მცხოვრებთ უნდა ნიშნავდეს, რასაც უდავოდ მიუთითებს აგრეთვე ოთხთავის მინაწერი, სადაც “საბოტართან” ერთად “შორეთელნი”-ც არიან განსაკუთრებულად მოხსენებულნი.

წარმართული ღვთაების სახელის შორეულ ანარეკლს შეიძლება წარმოადგენდა სამცხეში სახელწოდება სა-ბოტა-რი, ისევე როგორც სახელწოდებანი უფრო ცნობილი უძველესი დაბისა “ბოდი” ან “ბოდა კლდე”. “ვარსკვლავი აქათ მომავალი დაადგრა დაბასა ბოდესა (ბოდისასა)” (82; 77), წმ. ნინოს დაბა ბოდში გარდაცვალება-დაკრძალვა და საერთოდ “ბოდის” ყურადღების ეპიცენტრში მოქცევა მეტყველებს ძლიერი წარმართული კულტის არსებობაზე. ივ. ჯავახიშვილის მიხედვით ღვთაება ბოჩი (მეგრ. “ოჩი”, ჩაჩნური “ბოჯ”, “ბუოჟ” (32; 87), (შესაძლოა სლავურ-რუსულ მეტყველებაში ჩერქეზულ-ჩეჩნურიდან შემდგომში გადასული “ბოგ”, “ბოჟე”) მიუთითებს ამ სახელის მატარებელი ღვთაების გავრცელებასა და პოპულარობაზე.

ბორჯღალი “ბორჯ” ფუძით დიდ სიახლოვეს იჩენს “ბოჩი”-“ბოდი”-სთან.



ასპინძისხევიში არის კიდევ ორი ნასოფლარი: ზემო და ქვემო ინთორა. სერგი ჯიქიას მიხედვით (“დიდი დავთარი”) შეიძლება ამოვიკითხოთ როგორც “ინტორა”. ამ ტოპონიმშიც შეიძლება ვეძებოთ წარმართობის კვალი. ამორიცხული არ არის რაიმე კავშირის არსებობა “ანატორს” (32; 82), რომელიც ხევსურულ ფოლკლორში შემორჩა, იგივე “უინი ანთარს” (მეგრ.) ანუ ზენა ანთარს და აფხაზურ “აითარ ეტლარს” (32; 83) შორის.. ე.ი. ინთორა, აითარი, ანთარი და ანატორი საერთო წარმომავლობის მქონე სახელების შთაბეჭდილებას ახდენს.

ამრიგად, ზემო ბოქთა (ბოგთა) და ზემო ინთორა უძველეს სამოსახლოებს უნდა წარმოადგენდნენ ასპინძისხევიში და ალბათ გარკვეულ შედეგებს მოგვცემენ არქეოლოგიური დაზვერვები. (ზემო ინთორას ნასოფლარიდან სამხრეთის ტყით დაფარულ კლდეზე, მდ. სანისლოს მარცხენა ნაპირზე, შენაკადის ხერთვისთან, 1987 წელს, ჩემს მიერ აღმოჩენილი იქნა ზემო ინთორის ციხის ნაშთები, მისი პერანგი აგებულია ჭერემისა და უჯარმის ციხეების გალავნების მსგავსი წყობით, თუმცა საკუთრივ ციხის მასშტაბი გაცილებით მცირე ზომისაა (ზემო ინთორის ციხე ქვემოთ იქნება განხილული). ამ ნასოფლარებთან მისასვლელ სოფლის სამანქანო გზისპირებში მდ. სანისლოს შეიმჩნევა ბუღდოხერის მიერ (ალბათ გზის გაყვანისა თუ გაწმენდის შედეგად) დაზიანებული ადრექრისტიანული ან შესაძლოა უფრო ადრეული სამარხი-ქვაყუთები, რომელნიც გადაუდებელ შესწავლას მოითხოვენ.

არაბობის შემდგომ სამცხე-ჯავახეთი ისე იყო გავერანებული, რამდენიმე საუკუნის მანძილზე “ისე ირყეოდა” ქართველთა ქრისტიანული სარწმუნოება, რომ ადვილი შესაძლებელი იყო ზემოაღნიშნულ მთიან რეგიონში, წარმართობის ამა თუ იმ ფორმით აღდგენა, მით უმეტეს, თუ ოდესღაც ძლიერი ტრადიცია არსებობდა ქრისტიანობამდელი სალოცავისა. სამეფო კარს უეჭველია არასოდეს შეუნუღდებოდა ინტერესი საუღელტეხილო გზის მიმართ და შეეცდებოდა შიდა ქართლის ან სამცხის ერთგული მოსახლეობით შეევესო ხეობაში ჩამდგარი ციხიონი. ალბათ ასე დაარსდა ოთისციხე და განვითარდა სოფელი ოთა. “ღართა” გავრცელებული ტოპონიმია, არის შიდა ქართლში, ღართა სხვაგანაც გვხვდება ჯავახეთში, დადასტურებულია ისტორიულ სპერშიც.

სერგი ჯიქია ტოპონიმ “ღართა”-ს სწორ ფორმად მიიჩნევს “ყართა”-ს, ასეთი ტოპონიმიც არის დადასტურებული ასპინძის რაიონში, რა თქმა უნდა “ყართა”-ს აქვს თავისი ეტიმოლოგიური ახსნა, მაგრამ მისი განზოგადება და

გავრცელება სრულიად სხვა ტოპონიმზე, როგორცაა “ღართა” გადაჭარბებულია, კერძოდ ასპინძისხევის შენთხვევაშიც მკვლევარის მსჯელობა მოკლებულია დამაჯერებელ არგუმენტებს, მის სუბიექტურ მოსაზრებას წარმოადგენს, რასაც ვერ გავიზიარებთ.

ცხადია მცხეთის ეკლესიის ნამოღვაწარია სოფელ მამაწმიდის დაარსება ვარაზისციხემდე გაჭრილ კლდეკართან. (გამომდინარე ქართველ მეფეთა და ფეოდალთა ტრადიციიდან, როდესაც საზღვარგარეთ მდებარე მონასტრებს სწირავდნენ სოფლებს, შესაძლოა ამ ნასოფლარს რაიმე კავშირი ჰქონდეს კვიპროსის მამაწმიდის მონასტერთან, კერძოდ მის მეტოქეს წარმოადგენდეს ასპინძისხევში).

სოფელი ოთა XI-XII საუკუნეებში ფეოდალურ რეზიდენციად ჩანს ჩამოყალიბებული. ოთისციხის ციტადელი და გალავანი განვითარებულ შუასაუკუნეებშია აგებული ადგილობრივი ქვის კარგად გათლილი კვადრებით. ჩიხე ამჟამად სრულიად განძარცულია ქვის პერანგისაგან, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე სანიმუშო ქვას ძველი წყობიდან. ციხის ქვით არის აშენებული ნაგებობათა უმეტესობა თანამედროვე სოფელ ოთაში. სოფლის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა ქართულია.

ჯავახეთის ზოგიერთ სოფელში, როგორც წყაროებიდან ჩანს, შესაძლოა ძველთაგანვე იყო მცირე რაოდენობით სომხურენოვანი (გრიგორიანული) მოსახლეობა, რაც სრულიად ბუნებრივი მოვლენაა, ვგულისხმობ მეზობელი ქრისტიანული სახელმწიფოდან ერთეული პიროვნებების ან სრული კომლების არარეგულარულ მიგრაციას, განსაკუთრებით სახელმწიფოებრიობა დაკარგული ყოფილი სომხური პროვინციების ტერიტორიაზე მიმდინარე პერმანენტული ომების შემდეგ, თავშესაფრის ან საკვების მოპოვების მიზნით. მაგრამ, მეცამეტე საუკუნის დასაწყისისთვის, როდესაც ისტორიული სომხეთის დიდი ნაწილი უკვე პოლიტიკურად საქართველოს პროვინციას წარმოადგენდა, უძლიერესი ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის შემწევობით, არაადგილობრივი წარმოშობის მოსახლეობის ჯერ კიდევ შემორჩენილი მონოფიზიტური ჯგუფებიც ძირითადად გაქართველებულნი იქნებოდნენ როგორც ენობრივი, ასევე რელიგიური თვალსაზრისით. საკუთრივ სომხეთში კი, ჯერ მონღოლთა, შემდგომ ლანგ თემურის შემოსევებმა კი ჯერ სამხრეთისკენ გარდახვეწა სომეხ ლტოლვილთა ნაკადები, შემდეგ კი, როდესაც სამხრეთშიც დაიწყო მათი გენოციდი, ეს ნაკადი საქართველოსკენ შემობრუნდა.

ვინმე სიუნიუქელი მოძღვარი – ჯუღაენცი, 1411 წელს წერდა: “სიკეთე ოთხი სახისაა: შეწყალება, კაცთმოყვარეობა, სტუმართმოყვარეობა და გულუხეობა... ქართველთა ნათესავს აქვს ეს თვისებები სრულყოფილად, ამიტომაც გადარჩა მათი სამეფო”. მოგვიანებით, 1431 წელს – ლორეს დაბრუნების შემდეგ, როდესაც დემნას აჯანყების გამო საქართველოდან გაქცეულ ორბელიანთა შთამომავალმა - ბეშქენ ორბელიანმა სივნიეთის (ყარაბაღი) სომხური პროვინცია საქართველოს შემოუერთა, სომეხნი ისეთი რაოდენობით წამოსულან, “ლორეში ბეშქენ ორბელიანთან იმდენმა სომეხმა ლტოლვილმა მოიყარა თავი, რომ მეფე ალექსანდრეს და მის მთავრობას ამდენი სომხობის აქ შეკრება და დამკვიდრება საქართველოსთვის საზიანოდ და სახიფათოდ მიუჩნევია და როგორც ეტყობა ამ მოვლენისთვის წინააღმდეგობა გაუწევია კიდევ” (1; 36.), თომა მეწოფეცი ალექსანდრე დიდს აბრალებს სომეხთა ქართლში გადასახლების ორგანიზატორ იშხან პეგინის მკვლელობას, თუმცა იგი სომეხმა, მაგრამ “ქალკედონისტა მოყვარე” ამნადინმა მოჰკლა და წამებით სიკვდილით დასჯის დროსაც არაფერი უთქვამს საქართველოს მეფის თანამზრახველობის შესახებ, მაგრამ თომა მეწოფეცის აგრესიული განწყობილება საქართველოს მეფის მიმართ მართლაც უნდა იყოს დაკავშირებული გარკვეულ ადმინისტრაციულ ღონისძიებებთან.

მიუხედავად ზემოაღნიშნული ღონისძიებებისა, სომეხ ლტოლვილთა გარკვეული ნაწილი მაინც შემოსულა, დამკვიდრებულა (ან დროებით დარჩენილა) მესხეთში. ოთა იხსენიება 1418 წლის სომხურ ჰიშტაკარანში: “სახარება დაიწერა სომეხთა წელთაღრიცხვის “პკპ”-ს ქართველთა გაგარში, სოფელში რომელსაც ჰქვია ოთა, უფალ ნერსესისა და უფალ იაკობოსის მამამთავრობისას... მოიხსენეთ ჩემი მასწავლებელი უფალი ჰოვანესი, რომელსაც სახელად ოსკეფორი ჰქვია, მასთან ერთად საბრალო მჯღაბნელიც – მკრტიჩიც...” (1; 36) (რასაკვირველია გადამწერ მკრტიჩის ოთაში ყოფნა არ ნიშნავს აქ სომხური მოსახლეობის დამკვიდრებას, მით უმეტეს, რომ სხვა არავითარი კვალი არა სჩანს, გარდა ერთადერთი ე.წ. “ხაჩკარისა”, რომელიც ჩვეულებრივი ქვაჯვარაა, ოთაშია ნაპოვნი, არა აქვს წარწერა და მხოლოდ გარეგნული მეტად სათუო მსგავსება სომხურ ქვაჯვარებთან, არ გვაძლევს საფუძველს, რომ იგი სომხურად მივიჩნიოთ. ანალოგიური ქვაჯვარა აყვავებული ჯვრის გამოსახულებით ჩემს მიერ ნაპოვნი და ჩახატულია ექსპედიციის წევრ ზაზა ლეჟავას მიერ 1988 წ. ოლდანში.

ქვაჯვარების (ჭორტების – სულხან-საბა) აღმართვის ტრადიცია სამცხე-ჯავახეთში უძველესი დროიდან დასტურდება. ჩემი მოსაზრებით ეს არის ქართული წარმოშობის ქვაჯვარა, რომელზეც გამოხატულია აყვავებული ჯვარი. შესაძლოა შემორჩა ოთის სასაფლაოს ქართული ეკლესიიდან, რომელიც მცხეთის ეკლესიის ნუსხაში იხსენიება, როგორც შალიკაშიელთა ეკლესია (ყოფილი სასაფლაო და ეკლესია ლოკალიზირებულია ასპინძისხევის კომპლექსური ექსპედიციის მიერ, ფიქსირებულია და ნაწილობრივ გაწმენდილი აფსიდის მხარეს 1988 წელს, ეკლესიის ნანგრევებზე ადგილობრივი მოსახლის ბოსელი იყო განთავსებული, რაც სასწრაფოდ გადაიტანა, როცა დარწმუნდა, რომ ნანგრევები ეკლესიის იყო და მის გაწმენდაშიც ესმარებოდა სტუდენტურ რაზმს.)



აღსანიშნავია, რომ ოთა ამ დროისათვის კვლავ სამეფო დომენში უნდა შედიოდეს, 1415 წელს კოხტასთავის ბრძოლაში ალექსანდრე მეფის მიერ ივანე ათაბაგის დამარცხების შემდეგ სამეფო ხელისუფლება განმტკიცდა არა მარტო ჯავახეთში და მის მიმდებარე პუნქტებში, არამედ საკუთრივ სამცხეშიც. მეფის ერთგული ქვეშევრდომებით იქნენ შეცვლილნი ათაბაგის მომხრენი, რომელიც

თავად მეფისგან იქნა დატყვევებული და მხოლოდ “მონებრივი ფიცის” შედეგად შეწყალებული. სომხეთიდან ლტოლვილთა შემოსახლება (არსებობს აზრი, რომ სომხური პროვინციებიდან პირველ რიგში ქართველი მოსახლეობის დაბრუნება განხორციელდა), ამ რეგიონში სამეფო ხელისუფლების მკაცრი კონტროლის ქვეშ უნდა განხორციელებულიყო. იშხან პეგინის მკვლელობა 1438 წელს მოხდა და წყაროები სდუმან თუ რა შედეგები მოჰყვა ამას უკვე შემოსახლებულ თუ შემოუსახლებელ სომეხ ლტოლვილთათვის.

გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის შედგენისას 1595 წლისათვის ასპინძისხევში მთლიანად ქართული მოსახლეობა ჩანს. არაქართული გვარები არ გვხვდება: დავითას ძე, მანასე მღვდლის შვილი, ვარძელისძე, მაცხოვნასძე, რომანოზ მღვდელი, იმანასძე, კუპარასძე, ფირიჯანისძე, მამისასძე, სარგისისძე, ასმანასძე, და ა.შ. (6; 145,146) (მღვდლისა და მღვდლისშვილის ხსენება მართლმადიდებლურ ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მეტყველებს).

ვახუშტის დროს ასპინძისხევის მცხოვრებნი ჯერ კიდევ ქართულად ლაპარაკობენ, ჩვეულებანიც ქართული აქვთ შემორჩენილი, მაგრამ შორეთის მონასტერი (“არს შორაპანს მონასტერი უგუნბათო...”) “აწ ცარიელია...”. მესხნი “სამოსითა მოსილნი არიან წარჩინებულნი და მაჰმადიანნი ვითარცა ოსმალნი, და ქრისტეანენი ვითარცა ბერნი, ხოლო ჯავახეთისნი და ვიეთნიმე მესხნიცა ვითარცა თრიალეთელნი და გულისხმა ჰყავ ვერეთვე ქალისაცა მათთვის”. (26; 123).

თურქების მიერ მესხეთის დაპყრობამდე სამცხე-ჯავახეთის გამანადგურებელი შინაომები მიინგარებდნენ, ამას ზედ დაერთო ოსმალური გადასახადები, ისლამიზაციის საშინელი პროცესი. ოსმალეთის იმპერიაში შემავალი ქვეყნების მთელი მიწა სულთანს ეკუთვნოდა და მუსულმანებზე სამხედრო სამსახურისთვის საკარგავად გაიცემოდა. ფირმანების განახლება ხუთ წელიწადში ერთხელ ხდებოდა. ე. ი. რომ შეენარჩუნებინა მდგომარეობა, ქართველი დიდებული უნდა გამაჰმადიანებულიყო და სულთნის სამხედრო სამსახურში შესულიყო. ასეც მოხდა. სხვადასხვა წოდების სამხედრო მოსამსახურეებს სხვადასხვა სახის მამული ეძლეოდათ: ვაკუფები, ზიამეთები, თიმარები, ეზაბისა, და ჰისარის მამულები. (18; 46) მეურნეობის ყოველი დარგი, ქრისტიანისა დაბეგრული იყო უსასტიკესი წესით, გარკვეულ შეღავათებს იღებდა გამაჰმადიანებული, ხშირად თავისუფლდებოდა გადასახადებისგან.

სასტიკად იღვენებოდა ქართული მართლმადიდებლური ეკლესია – ბურჯი ეროვნებისა. ქრისტიანობის გადასარჩენად ქართველი პატრიოტი მღვდლები კათოლიციზმის ფარქვეშ განაგრძობდნენ მოღვაწეობას, მაგრამ აქაც სერიოზულ დაბრკოლებებს აწყდებოდნენ.

გარდა ისლამიზაციისა, მესხეთის საქმეებში ერეოდა სომხეთის გრიგორიანული (და მასთან ერთად სომხურ-კათოლიკური) ეკლესია, რომელიც თურქეთის პორტის ინტერესების შესაბამისად, ყოველნაირად ცდილობდა მესხეთში ქართველების შევიწროებას. 1769 წელს ფაშამ ახალციხის ეკლესიები ეჩმიაძინის პატრიარქს 12 ქისად მიჰყიდა, ხოლო, ქართველი კათოლიკე მღვდლები გაძარცვა და ისე დააპატიმრა”. (18; 44)

დაიწყო მესხების თანდათანობით გადაგვარება. ასპინძისხევის მცხოვრებნი, ანუ საბოთარელნი ნელი-ნელ გამაჰმადიანდნენ, მაგრამ ენა, ქართული სულისკვეთება, ისევე როგორც ოშორის ხევის მცხოვრებთ, შენარჩუნებული აქვთ. ოთელი კაცის დაწერილი (შეთხზული) უნდა იყოს თურქულად ნათქვამი ქართული გულისტკივილი:

“ყალხ იუხდინ იოან რუსთაველი შოთა,  
აღმაზდინ გეთტი ასპინძა, ოთა...”

“ადექ, გამოფხიზლდი რუსთაველო შოთა,  
ხელიდან მიგვდის ასპინძა, ოთა...” (68; 132)

მესხები გამაჰმადიანდნენ, მაგრამ ეთნიკურად არ არეულან თურქმანულ ტომებში, თავის თავს “იერლის” ანუ ადგილობრივს უწოდებდნენ. ზოგჯერ უჯანყდებოდნენ სულტანს, თვითმართველობას – “ოლქობას” კმინდნენ. მაგ. 1816 წლის აჯანყება ახალციხეში. (18; 45,46) მანამდე 1782 წელს “სულეიმან ფაშას იერლიმ (ქართველებმა) უდალატა, ციხე წაართვეს, ოლქობა შეიქმნა...” (71,282).

როგორც ვხედავთ მაჰმადიანი მესხები არც თუ ისე ერთგულებდნენ, მეტიც ებრძოდნენ თურქეთს, მაგრამ საქართველოსთან დაკავშირებას მაინც აბრკოლებდა ისლამი, უფრო მეტად კი ჯაყელთა - ახალციხის ფაშათა გონებაშეზღუდული ფეოდალური სეპარატიზმი. პარადოქსია, მაგრამ პოლიტიკურად სუსტი საქართველოს მეფისადმი დაქვემდებარებას ფეოდალი პიროვნული ღირსების შელახვად მიიჩნევდა და მტრის მხარეზე გადასვლას ირჩევდა. ეს პროცესი სამწუხაროდ დღემდე გრძელდება და სახეზეა ე.წ. “ეთნოკონფლიქტის ზონების” სახით, რაც ცხადია სადავო რეგიონის თვითიზოლაციას, განადგურებას და “ლიბანიზაციას” გულისხმობს. ფაქტია,

რომ რეგიონის ლიდერის ამბიციებს და მერკანტილურ ინტერესებს ეწირება რეგიონისა და მთელი მისი მოსახლეობის მომავალი.

ისლამიზაციას, ფეოდალურ განკერძოებულებას, ძალდატანებით ეთნიკურ ცვლილებებს (მომთაბარე თურქმანთა-თარაქამა ელის შემოსახლება) ზედ ემატებოდა ქართლის მეფეთა გაუწონასწორებელი, არასახელმწიფოებრივი პოლიტიკა მესხეთის მიმართ. ქართული სოფლების აყრა-გადასახლება, აწიოება და აოხრება. “ჯავახური სოფლების აყრა და გადმოყვანა ხდებოდა წინასწარი მორიგებითაც, ჯარის დაცემითაც და ძალით აყრის გზით. ამას ისლამური ხელისუფლება წინააღმდეგობას უწევდა, რასაც სამხედრო შეტაკებები ახლდა თან ადგილობრივი მასშტაბისა.” (83; 65). ერეკლე მეორე ყოველნაირად ხელს უწყობდა ფეოდალთა მიერ ქართლში ყმა-გლეხების გადმოყვანის ამ პროცესს მაგალითად, ციციშვილს სწერს 1769 წლის საბუთში: “ჯავახეთიდან რასაც კაცს გადმოიყვანთ, ვისიც ყმა უნდა იყოს, თქვენი იქნება... მაგრამ ყალმა-ყალით გადმოიყვანა კი არ იქნება, ფარულად ეცადენით.” (48.31)

ასპინძის ხევის მცხოვრებთა საშინელი მდგომარეობა ადვილი წარმოსადგენია, თუ გავიხსენებთ რომ, თურქული ადმინისტრაცია უზარმაზარ ხარკს კრეფს მათგან და სამხედრო ბეგარასაც მოითხოვს, ძალით ამაჰმადიანებს და საერთოდაც უკრძალავს ქართველობას, ქართველი ფეოდალები კი მეფის დასტურით მარბიელ ლეკთა რაზმივით დათარეშობენ და არბევენ მესხებს. ყველაზე მეტად თორელი თავადები ავალიშვილები აქტიურობენ.

მანამდე თუ ლეკები აოხრებდნენ: “ 1732 წ. ... შემოადგა ლეკი ქვიშხეთს, შეიარეს ხეობა, მიუხდნენ დვირს, წაახდინეს ასპინძა, ოშორა, სხვა ბევრი სოფლები, ნგრევით გადმოიარეს ციხისჯვარი და შამოადგნენ სადგერს...” (72; 42) უეჭველია ოთასაც მისწვდებოდა მათი მსახურალი ხელი, რადგან როგორც ჩანს, ასპინძიდან თორში ციხისჯვარის გზით გადასულან. მერე და მერე აღარც ქართველები აკლებდნენ: “1775 წ. ციხისჯვარს... მივედით პეტრე ავალიშვილი, გოგია ავალიშვილი და ჩუენ... რომელსაც სოფელს პეტრე ჰყრიდა ჯერ იქ მივედით... პეტრე იმ სოფელს უთხრა: თუ არ აიყრებით ეს ჯარი თქვენთვის მომიყვანიაო... სოფელი ავჰყარეთ, გამოვამგზავრეთ... ქარელები, ლეკები, გოგია ავალიშვილი და ბრეთელები ინდუსაზე წავიდნენ... ამ სოფლის აყრაზე და სოფლების დაკვრაზე ოშორიდან მდევარი წამოსულიყო. იმ მდევარს უკანიდან ჩვენ მოვადექით... ომი მოგვიხდა... სროლაც მოხდა, გამოვაქცივეთ და მოვეწივენით პეტრე ავალიშვილსა.” (55, 64)

“ჩვენი ჯარი ახალციხისა და ყარსის ქვეყანას სცემს და აოხრებს, არც ახალციხეს აქეთ და არც ყარსს აქეთ სოფლებში შენობა აღარ არის...” (83) – აი, რას სჩადიოდა თავად მეფე ერეკლე. ამიტომ გასაკვირი აღარ უნდა ყოფილიყო, რომ ხალხური გადმოცემით ასპინძის ომში ერეკლე II-ის მხოლოდ ხიზაბაგის, ნიჯგორისა და სარის მოსახლეობა მიშველებია, გამაჰმადიანებული მესხები კი ახალციხის ფაშის მხარეზე ყოფილან. (73; 101)

შოთა ლომსაძეს განხილული აქვს ასპინძის ომის დაპირისპირებულ ლაშქართა ეროვნული შემადგენლობა, აღმოჩნდა, რომ შესაძლოა პროცენტულად თურქეთის ლაშქარში ქართველთა (გამაჰმადიანებულთა) უმრავლესობა იყო. “ასპინძის ბრძოლის დროს ერეკლეს პირდაპირ იდგა ძირითადად გამაჰმადიანებული ქართველი მხედრობა, ჯერ კიდევ ქართულენოვანი, მაგრამ გულშეცვლილი.” (83; 78),

ასპინძის ომის დროს მესხეთში ქართველთა ჯარი ისე იქცეოდა როგორც მტრის ტერიტორიაზე: “ვიეთნიმე ქართველნი ჯარისკაცნი აყრილს სოფლებში საქონლის საშოვრად წავიდნენ...”, (58; 492) აგარებში (ანუ ასპინძისხევეში) ასპინძისციხის ჩრდილოეთით თვით მეფე ერეკლეს ლაშქარი განლაგდა. (73. 101).

ხეობაში მოსახლეობის რაოდენობა ამ ომებისა და აყრა-გადასახლებათა შედეგად საგრძნობლად უნდა შემცირებულიყო. მცირე ხნით ჩამოვარდნილი ზავის შემდეგ 1810 წელს რუსი გენერალი ტორმასოვი შეიჭრა ჯავახეთში, “მოარბია ასპინძა, კოთელია, ხიზაბაგრა, აჰყარა იქიდან 1500 კომლი ქრისტიანი მოსახლეობა და თან წაიყვანა, წაასხა აგრეთვე 50 ათასი სული პირუტყვი”, (18; 77-78) ამგვარი აყრა-გადასახლებით ქართული მესხეთის მომავალს საფუძველი ეცლებოდა”.(54; 422) რუსი გენერლისთვის უკვე მნიშვნელობა აღარ ჰქონდა ეს სოფლები ქართული და ქრისტიანული იყო თუ არა, მისთვის ეს მტრის (კერძოდ, თურქეთის ტერიტორია) იყო და ამ სამხედრო მარბიელი ექსპედიციით მტრისთვის ზიანის მიყენებას ცდილობდა.

სოფელი ოთა ეტყობა ამ დროისთვის ისეა გაპარტახებული და გახიზნული, რომ ნათარეშევე სოფლებშიც აღარ ახსენებენ. ამასობაში 1795 წელს აღა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის აოხრების შემდეგ ქვემო ქართლში მომთაბარე თარაქამა ელის ერთი ნაწილი ახალციხის საფაშოში გადავიდა(17; 127), ხალხური გადმოცემით სოფელ ოთაში მეოცე საუკუნის დასაწყისში მესხებთან ერთად “თარაქამაც” სახლობდა. ეტყობა ნახეს დაცარიელებული სოფელი და დასახლდნენ. რა თქმა უნდა ამ საქმეში მათ ხელს შეუწყობდა ჯერ როგორც



თურქული, ასევე შემდგომში რუსული ადმინისტრაცია, რომელნიც თანაბრად იყვნენ დაინტერესებულნი მესხეთში ქართული ელემენტის შესუსტებით. ამ დროისთვის უნდა დაცარიელებულიყო სოფელი დამალაც.

1828 წლიდან მოყოლებული უფრო ინტენსიურად წარიმართა ისლამიზაციის პროცესი, რადგან თუ მესხები ქართველობას თურქთა უღელქვეშ იმ იმედით ინარჩუნებდნენ, რომ ოდესმე საქართველოს შეუერთდებოდნენ და თავს დაიხსნიდნენ. ამჯერად რუსული მმართველობის ქვეშ მოქცეულებსა და ნებითა თუ უნებლიედ დანარჩენ საქართველოსთან გაერთიანებულებს პირში მიახალეს: “რის ქართველები, თურქები ხართო!”

მიუხედავად იმისა, რომ “ახალციხის მხარეში მარადის ქართული ენა ილაპარაკებოდა, თუმცა თათრები იყვნენ, სხვა ჩვეულება ქართული ჰქონდათ; ” ფაშებიც კი “წერა-კითხვით ქართულად განსწავლულნი იყვნენ ” – გვაუწყებს თეიმურაზ ბატონიშვილი. (18; 22) “მესხეთის მოსახლეობის სალაპარაკო ენა უმთავრესად ქართულია და მასზედ სწარმოებს მიმოწერა”, - XVIII სკ, გიულდენშტადტი. (11; 173-175) “მესხეთის მაჰმადიანები კარგად საუბრობენ ქართულად, ახალციხის თითქმის ყველა მოქალაქემ იცის ქართული წერა-კითხვა, ზნე-ჩვეულება და ოჯახური ყოფა-ცხოვრება ქართულია, ქართულ გვარებს ატარებენ, მღერიან ქართულ სიმღერებს, გამოირჩევიან სტუმართმოყვარეობით...” (18; 23) – დიუბუა დე მონპერე (XIX სკ. 30-იანი წწ.).

ამრიგად, მაჰმადიანი ქართველები თურქებად გამოცხადდნენ, ქართველი კათოლიკენი სომხებად, შესაბამისად მაჰმადიანებს თურქული ენის შესწავლას აძალებდნენ, კათოლიკეებს კი სომხურისას.

რუსული ადმინისტრაცია ხელს უწყობდა პანისლამისტურ პროპაგანდას (38; 25). ფართო გასაქანი მიეცა მუჰაჯირობას. შევიწროებული, დამცირებული და მორალურად დაცემული მესხეთის ქართველების შესახებ სწერდა ალექსანდრე ფრონელი: “ადგნენ გულმტკივნეული, სამშობლოს დარდისგან შეწუხებული-დაოსებულნი, გაემართნენ ოსმალეთისკენ. დაცარიელებით არ დაცარიელებულა მესხეთი, მაგრამ ბევრი სოფელი ვერანად გადაიქცა. წასულთა და გარდაცვლილთა ნასოფლარებში მთავრობამ ჩააყენა ანზრუმის საფაშოდან გადმოყვანილი სომხები”. (2; 125)

ისლამიზაციას სასწაულით, პიროვნული გმირობით და თავგანწირვით გადარჩენილი მესხები სასტიკ არმენიზაციას განიცდიან რუსული ადმინისტრაციის უხეში ჩარევით. სასტიკად აიკრძალა ქართული დამწერლობის

გამოყენება. “ვიდაცამ შეატყობინა მინისტრს ხიზაბაგრელები ქართველობას ჩემულობენ და საყდარზე ქართული წარწერა გაუკეთესო. ფიცხელი ბრძანება მოვიდა პეტერბურგიდან, წაშალეთ ქართული წარწერაო, მეტი რა ჩარა იყო, წარწერა გაგლისეს.” (18; 40).

ახალციხელი პატრიოტი ვასილ გამრეკელი ჩივის: “წმინდა მარინეს ეკლესიაში, სადაც მარტო ერთ ალაგას იყო შემონახული ლოცვა – ქართულ ენაზე ეს ენა გაუქმნდა, და ქართველი თავის წინაპართა სალოცავიდან განდევნილ იქნენ. ამ მოულოდნელმა გარემოებამ ზარი დასცა აქაურ ქართველებს; გაიბნენ როგორც უპატრონო ცხვრის ფარა, აქა-იქ ეძებენ დახმარებას, რომ აღადგინონ ქართული ენის უფლება, ძველთ უძველესს მამა-პაპების ეკლესიაში.” (18, 26-27; 27, 14-15)

სომეხ ლტოლვითა შემოხიზვნა ექსპანსიას დაემსგავსა. ამგვარი საშიშროება ერთხელ უკვე წარმოიშვა XV ს-ში, მაგრამ საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების მიერ როგორც ვნახეთ აღკვეთილ იქნა. XIX ს. საქართველოს კი სამწუხაროდ რუსეთის იმპერიის შოვინისტი, ანტიქართველი მოხელენი განაგებდნენ...

“Что касается того, что месхи-мусульмане говорят на турецко-грузинском диалекте, на этот вопрос Ф.А.Хаханашвили отвечает так: “Несмотря на различие в вероисповедании, месхи сохранили много общих национальных черт. Месхи христиане говорят по грузински, большинство месхов-мусульман тоже свободно изъясняются на этом языке. Всех месхов свзывает также единства их поверия, уцеливших от языческого периода” (63, № 3)

Е.А.Вейденбаум разъясняет более подробно: “Где турецкий язык понятен народу, официальным языком, по моему мнению должен быть грузинский. Этот грузинский язык начал забываться главным образом вследствие того, что при турецком правительстве вся власть говорила с народом по турецки и относились презрительно к грузинскому языку, как не мусульманскому, так что даже название грузии считалось постыдным” (85; 122)

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის დროს, 1918 წელს, საქართველო-სომხეთის შეარადებული კონფლიქტის უამს გენერალ მაღლაკელიძის მეთაურობით მაჰმადიანი ქართველობა იარაღით ხელში შეებრძოლა ავანტიურისტ დამპყრობს. საგულისხმოა ივ. ჯავახიშვილის აზრი მესხეთში გადმოსახლებულ სომეხთა მომავლის შესახებ: “ოსმალეთიდან... ამ მიწის წინანდელი პატრონები. მე-19 სკ-ის განმავლობაში არაერთხელ უცდიათ გულით თავიანთ სამშობლოში დაბრუნება და მესხეთ-ჯავახეთში მამა-პაპულ მიწაზე დასახლება, მაგრამ მათი ადგილი დაჭერილი იყო, თუ სომხები სასომხეთში წავლენ, მაშინ სამართლიანობა აღდგენილი იქნება და ორთავე ერს მამა-პაპური კერა დაუბრუნდება.” (34; 45)

მაგრამ, საქმე სრულიად სხვაგვარად შეტრიალდა. კოსმოპოლიტურად განწყობილმა ქართველმა ბოლშევიკებმა მეთერთმეტე არმიის დახმარებით მოახდინეს სისხლიანი გადატრიალება და რადგანაც ქემალისტებთან მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდა დამყარებული საბჭოთა რუსეთს, თურქოფილური პოლიტიკის გატარებას შეუდგნენ მაჰმადიან მესხთა მიმართ.

ცინიზმით იყო სავსე მოხელეთა პოლიტიკა, ასეთი მრავლისმეტყველი მაგალითი მოჰყავს ხალილ უმაროვ-გოზალიშვილს: მასწავლებელი ეკითხება მაჰმადიან ქართველს: “რა გვარი ხარ?”, “პაპალაძეო”, პასუხობს, პაპაშენს რა ჰქვიაო, “ტორომანი” და ჩაწერს სიაში ტორომანოვად. მოვუსმინოთ ისევ გასახლებულ მკვლევარს:

“Начиная с XVII века, после завоевания Месхетии турками, турецкий язык вытеснил местный грузинский, но тем не менее грузинский язык сохранился в употреблении в народе.

Сегодняшние месхи, говорящие на турецком языке, употребляют более 1000 грузинских слов, как например: арциви, аремаре, аурзаури, артахи, белти, билики, кенчи, беркети, долаби, доки, вай, запра, зеда, тавшали, татмани, билики, кера, кухе, кували, лечаки, матли, мури, мореви, нави, нишани, оджахи, панта, пепела, пинти, салахана, сацкали, сини, соко, соро, уйме, перпли, кохи, чиа, чишкари и много др.

Таким образом, с месхами случилось так, как со многими другими народами: язык местных заменился языком захватчиков.” (37; და 88)

თბილისის უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალის დოცენტის ზურაბ ქუჭიშვილის მიერ ახალციხის არქივში მოძიებულ (მის მიერვე გამოქვეყნებულ) მასალათა თანახმად, ამ დროისთვის უნდა გახსნილიყო სოფელ ოთაში დაწყებითი ორკლასიანი თურქული სკოლა.

1944 წლის შემოდგომაზე კი ხელისუფლების მიერ ძალდატანებით გათურქებული მესხეთის ქართველობა, იმავე ხელისუფლებამ ამერიკულ “სტუდენტებში” შეჰყარა შუაღამისას, საოჯახო ნივთების მოსაკრებად ორი საათი მისცა და საბარგო ვაგონებით გაასახლა შუა აზიის უნაყოფო უდაბნოში. მართალია ამ აქტს წინ უძღოდა 1918 წელს მესხეთის მაჰმადიან მესხთა სეპარატისტული გამოსტომა და სისხლიანი ტერორი ქრისტიანი მოსახლეობის მიმართ, მაგრამ ეს პირდაპირ შედეგს წარმოადგენდა თურქეთის სამსაუკუნოვანი ბატონობისა და ამავე დროს ქართველი ერის, საქართველოს სამეფოს (სამეფოების) გულგრილობისა ამ ურთულესი პრობლემის მიმართ. სწორედ ამიტომ არ შეიძლება 1918 წლის ტრაგედიისთვის პასუხისმგებლობის მხოლოდ მაჰმადიან მესხთათვის დაბრალება. აქვე უნდა ითქვას, რომ შეუსწავლელია ჩამოსახლებული სომხების ფაქტორი, აღნიშნული ინციდენტის დროს ქართულ-სომხური კონფლიქტის მიმდინარეობის განსაკუთრებული პირობებში, ინტერესთა მრავალჯერადი კონფლიქტი, არა ორი, არამედ კონფლიქტში უშუალოდ ჩართული რამდენიმე დაინტერესებული მხარის არსებობა.

20-21 სექტემბერს, ღვთისმშობლის - წმ. მარიამის დაბადების დღეს, შორეთის მონასტერში იკრიბება სრულიად მესხეთის, აჭარის, თორის, ქვემო ქართლის ქრისტიანი და ბერძნულენოვანი მოსახლეობა (ლაზური წარმოშობის ე.წ. პონტოელი ბერძნები), ათევენ ღამეს, ხოცავენ უამრავ საკლავს და მართავენ დღეობას. სასტიკად ნადგურდება შორეთის ხატის ტყე, იჭრება ასწლოვანი ფიჭვები. სანთლებს პირდაპირ კედლებზე ანთებენ, რითაც აზიანებენ ფრესკების ნაშთებს.

სოფ. ციხისჯვარი ამჟამად ბერძნული სოფელია, მლოცველთა დიდი რაოდენობა უძველესი გზით სარგებლობდა, შარვაშეთის ქედზე (კოდინის მთაზე) გადმოდიოდა და მონაწილეობდა ღრეობაში, რადგან არავითარი საეკლესიო რიტუალი არ ტარდებოდა (ზემოთქმული ეხება 1999 წლამდე პერიოდს).

2000 წლიდან ამ დღესასწაულს რეგულარულად ესწრება მღვდელი და პარაკლისს იხდის. სამართლიანობა მოითხოვს, რომ ქართველი, მართლმადიდებელი მღვდელი ბორჯომიდან პირველად თვითონ ბერძნებმა ჩამოიყვანეს, შემდეგ კი უფრო ახლომდებარე ხვილიშის (ასპინძა) ეკლესიიდან ვიწვევთ ხოლმე).

სერგი ჯიქია თვლის, რომ “ბოქთაში ჩვენი საუკუნის პირველ ათეულ წლებამდე ბერძნული მოსახლეობა ყოფილა, შემდეგ ბერძნებს მიუტოვებიათ ეს სოფელი, ხოლო სოფელი ბოქთა და მის გარშემო მდებარე ადგილები დასამუშავებლად გადასულია ზემო ოშორის მცხოვრებთა მფლობელობაში.” (62; 200)

ს. ჯიქია ეყრდნობოდა საარქივო ფონდში მოძიებულ ცნობას: “... Когда там возникло греческое селение Бокта, когда его бросили поселяне и откуда переселились, и, наконец на каком праве крестьяне села Верхняя Ошора пользуются всей площадью из дел канцелярии лесничества не видно.” (74; 7 და 62, 200)

ს. ჯიქია არ ეხება საკითხს, თუ როდის შეიძლება ვივარაუდოთ ბოქთაში ბერძნული მოსახლეობის გაჩენა. ვფიქრობთ, რომ არაუადრეს 1828 წლისა, რადგან ისეთი აუტანელი პირობები იყო შექმნილი მანამდე ასპინძის ხევში, რომ შეუძლებელი იქნებოდა ქრისტიანი ახალმოშენე ბერძნებისათვის იქ დასახლება, ჩვენი ვარაუდით ეს ჩამოსახლება არაუგვიანეს XIX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს უნდა მომხდარიყო, ხოლო 1918 წელს, როცა ასპინძა-ხერთვის-ნიალის მაჰმადიანთა ბრბოები უტევდნენ 4 ათასი ოსმალოს დახმარებით დამალა-ხიზაბაგრა-საროს გასწვრივ გამაგრებულ ქართველთა სახალხო ლაშქარს, ქრისტიან ბერძენთა ახალშენი ბოქთას ნასოფლარზე განადგურებას ვერ გადაურჩებოდა, მითუმეტეს, რომ მაჰმადიანებს ერთ-ერთ ხელმძღვანელად ოშორის მოლა მურთაზ მუსტაფაოღლი (14; 107-108) ჰყავდათ, ხოლო როგორც ზემომოყვანილი დოკუმენტიდან ირკვევა მოგვიანებით ზემო ოშორელები სარგებლობდნენ ბოქთას მიწებით და პრეტენზია მანამდეც ექნებოდათ. (ამ დროისათვის ოთაც საგსებით ისლამიზირებულია, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი). ამ დროს სწორედ შორეთის მონასტრის მხარეს იყვნენ ქრისტიანი ქართველები გამაგრებულნი და კითხვას, თუ რა როლი ითამაშა შორეთის ნამონასტრალმა ამ ძნელბედობის უამს ბოქთელ ბერძენთათვის, ვფიქრობთ

პასუხს გაცემს ციხისჯვრის ბერძნულ მოსახლეობაში შესაკრები ფოლკლორული მასალა.



ტაბაწყური – ნახევარკუნძულზე მდებარე ნასოფლართა და ნაეკლესიართა.

## 6. ასპინძისხევის არქეოლოგიური ძეგლები და არქიტექტურული კულტურული მემკვიდრეობა.

ვიდრე საკუთრივ ხეობის დახასიათების შევუდგებოდეთ, გავიხსენოთ, თუ რომელ ისტორიულ რეგიონს ეკუთვნოდა იგი. ქართლოსმა “ოძრხოსს მისცა ტასისკართგან ვიდრე ზღუამდე სპერის, ქუეყანა კლდოვანი. ოძრხოს ალაშენა ორნი ციხენი-ქალაქნი: ოძხე და თუხარისი.” (82; 6) შემდეგ ფარნავაზმა “ერთი გაგზავნა ოძხის ერისთავად, და მისცა ტასის-კარისთან ვიდრე არსიანთამდის, ნოსტისთავისთან ზღუამდის, რომელ არს სამცხე და აჭარა.” (82; 16)

წინა თავში გავარკვეეთ, რომ ნასრ გუარამის ძის მკვლელობის უამს, ანუ 888 წელს ივ. ჯავახიშვილის თანახმად ასპინძა სამცხეში ყოფილა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ კოდიანიდან მტკვარამდე ასპინძისხევის ვრცელი ტერიტორიაც მექანიკურად მივაკუთვნოთ სამცხეს. განსაკუთრებული მდებარეობის გამო ხეობაზე სამხედრო-პოლიტიკური კონტროლის პერობა სერიოზული დაპირისპირების საგანიც იქნებოდა ცენტრალურ ხელისუფლებასა და სამცხის დიდი ფეოდალების, ან მოქიშპე ადგილობრივ საგვარეულოებს შორის, მით უმეტეს ბაგრატიონთა მკვეთრად ექსპანსიონისტური, უფრო ზუსტად ქვეყნის გამაერთიანებელი პერმანენტული პოლიტიკის პირობებში. თორიდან სწორედ ასპინძისხევით გადადიოდა მეტად მოსახერხებელი გზა სამცხესა და ჯავახეთში და ცხადია პირიქითა მიმართულებით, ასპინძისხევიდან ძალზედ ადვილი იყო თორის ან ტაბაწყურის გავლით ცენტრალურ ქართლში შეჭრა. მიუხედავად ფეოდალური შინაბრძოლებისა მთავარ საშიშროებას მაინც სამხრეთიდან შემოსული მტერი წარმოადგენდა. ციხეები ხეობაში ისე არიან განლაგებულნი, რომ სწორედ სამხრეთიდან იყვნენ მაქსიმალურად მიუდგომელნი რათა როგორმე დაიცვან კოდიანის უღელტეხილი და საუფლისწულო ზვარეთში. თორსა და ჩრდილოეთ ჯავახეთს (ნახევარჯავახეთს) უმნიშვნელოვანესი მდებარეობა აქვს, ესაზღვრება თრიალეთს, შიდა ქართლს, იმერეთს, სამცხეს... ქართლის ჰეგემონიის გავრცელება თორსა და ჯავახეთის ამ ნაწილზე სასიცოცხლო მნიშვნელობის იყო ქართლის მეფისთვის. თორი არც გეოგრაფიულად იყო სამცხესთან გაერთიანებული, რადგან თუ ტასის-კარის ვიწრობებზე გადიოდა გზა შიდა ქართლისაგან, მთები და გამაგრებული კლდეკარები ჰყოფდა სამცხისგან.

ქართლის უპირატესობა აშკარაა ადრეფეოდალურ ხანაში და სავსებით ვეთანხმებით დ. ბერძენიშვილს ძველ წყაროთა შეჯერებით მიღებულ დასკვნას, “ლეონტი-ჯუანშერის აზრი თორის სამცხისადმი მიკუთვნების შესახებ, შესაძლოა სწორედ უძველესი ვითარების ანარეკლი იყოს”, “ადრეფეოდალურ ხანაში თორი ადმინისტრაციულად ქართლის შემადგენლობაში ჩავთვალოთ”. (17; 13-17)

ამრიგად, თუ ქართლი ადრეფეოდალურ ხანაში ფლობდა თორს, აქ მაშინვე უნდა შექმნილიყო დამოუკიდებელი საგამგეო ერთეული, რომელიც დაუპირისპირდებოდა სამცხის მფლობელებს და წონასწორობას ქართლის სასარგებლოდ შეინარჩუნებდა ამ რეგიონში. რეგიონის ცენტრი, ალბათ საერისთავო რეზიდენცია, დასახლებულ პუნქტ თორში უნდა ვიგულისხმოთ. თორს საკუთრივ ციხე არ ჰქონია, ციხისჯვრის შესავალს წარმოადგენს. ციხისჯვრის ძლიერი სამაგრე კი სწორედ სამცხე-ჯავახეთში გადასასვლელთან მდებარეობდა. (17, 37) ამიტომ დასჭირდათ ქართლის შეთქმულ აზნაურებს (რომელთა შორის თორის გამგებლებიც უნდა ვიგულისხმოთ) საბოტარელებთან ანუ ასპინძისხეველებთან “შეუბნება” ამით მათ ფაქტიურად ზურგი გაიმაგრეს.

ვფიქრობთ, რომ ადრეფეოდალურ ხანაში ასპინძის ხევი თავისუფალ თემს წარმოადგენდა, ისევე როგორც საერთო სათემო სახელეით მოიხსენიებოდნენ: “ცხაოტელნი”, “უამურელნი”, ვფიქრობთ ასპინძისხევის საერთო სათემო სახელს უნდა წარმოადგენდეს “საბოთარი” ან “საბოტარელი”. ხევის ადმინისტრაციული ფორმა სახევისუფლო უნდა ყოფილიყო – დემოკრატიული ელემენტების მატარებელი, თავისუფალ მიწათმოქმედთა და მესაქონლეთა სრული სახელმწიფო ადმინისტრაციული ერთეული, ცენტრალური ხელისუფლებისადმი დაქვემდებარებული, სტრუქტურული ხეობის გარეშე მტერთაგან დაცვის პრიორიტეტული ვალდებულებით. თავდაცვითი და საკულტო ნაგებობათა არსებობა ხეობაში ბუნებრივია უძველესი დროიდანვეა სავარაუდო.

ასპინძის სიძველეზე მეტყველებს თვით მისი სახელწოდება, რომელსაც თუ მართლაც სპარსეთიდან შემოსულად მივიჩნევთ, ეს უნდა მომხდარიყო რ. ბერიძის აზრით IV-VI საუკუნეებში, სპარსელთა საქართველოზე გავლენისა და მძლავრების პერიოდში. (61)

ჩვენის აზრით იგი უფრო ადრეულ პერიოდს განეკუთვნება, რადგან სპარსეთის გავლენა მეოთხე საუკუნემდეც საგრძნობი იყო. გავიხსენოთ



ქართლის ცხოვრებისეული ცნობები. (აქვე წინდაწინ უნდა ითქვას, რომ საქმე ეხება ქართველი ერის ისტორიის უძველეს პერიოდს, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ერთადერთი ქართული წყარო ლეონტი მროველის “ცხოვრება ქართუელთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთაა”- უმწეოდ მბუუტავი საუკუნეობრივ წყვლიადში. მროველი საკუთარი ინტერპრეტაციით მოგვითხრობს ისედაც ბუნდოვან გადმოცემებს, საბოლოოდ ვიღებთ გარკვეული ინფორმაციის შემცველ, მაგრამ სრულიად დამახინჯებულ სიმბოლოთა, გადმოცემათა და ისტორიულ ცნობათა ნაკრებს. განსაკუთრებით არადამაჯერებელია “მეფეთა ცხოვრების” ის ნაწილი, რომელიც შეეხება მაკედონელის ლაშქრობას ქართლში და აზონის დატოვებას დატოვებას ქართლის ერისთავად, თავისებურ ნარევსა და მცდარ გაიგივებას წარმოადგენს ერთის მხრივ მცირე აზიის ან შუამდინარეთის რომელიმე სახელმწიფოს ექსპანსიისას, მეორე მხრივ კი არგონავტების მითის შერეულ, სრულიად განსხვავებულ სამოსელში მოვლინებულ ინტერპრეტაციისას (აზონი-იასონი).

სიმბოლურია ფარნავაზის სიზმარი: “მოჰხოცა ცუარი პირსა (მზისა), და იცხო პირსა მისსა.” (82; 17) რატომ აგებს ფარნავაზ არმაზის კერპს, მზე ხომ აჰურა-მაზდას თვალია? რატომ არიან რომაელნი ესოდენ აგრესიულნი, რად არის აგრე მკაფიო ფერებით დახატული ქართველთა წინაპართა ვითომდა ზნედაცემულობა? რად არის ფარნავაზის დედა წარმოშობით სპარსი. რად არის ფარნავაზის დედული ასპანი? რა თქმა უნდა შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ გავაიგივოთ ასპანი და ასპინძა, მაგრამ შესაძლოა დაეუშვათ გარკვეული კავშირის არსებობა, თუ დაეუშვებთ, რომ ასპანი სპარსული საკულტო შინაარსის მქონე ტოპონიმია.

მესხეთში დღემდე არსებობს გვარი ასპანიძე. თამარის დროს “შავშეთისა დადოთა შინა გამოჩნდა ვინმე კაცი ასპანის-ძე, გუარითა არა უაზნო, და არცა, ღმერთო უბედო. ამას ზაქარია ერქვა სახელი. არცა სახელსა არცხვინა, არცა პატრონის წყალობა აუქმა თავსა ზედა, გარნა საქებელთა შერთო თავი. მარტოდ იქმოდა მრავალთა და დიდთა საქმეთა: აიღო ბანა, ხახული და სხვანი მრავალნი სახელოვანნი ციხენი და ადგილნი.” (80/1; 130) “... ერთიცა მსახურიც არ განპატიუებულა, თვინიერ გუზან ტაოსკარელისა კიდე: მას თუაღნი დასწუნეს. გაღმა გასული სპარსეთს ზაქარია ასპანის ძემ შეიპყრა და დარბაზს მოჰგუარა.” (76; 368)

დაბა ასპინძა სავაჭრო გზაჯვარედინზე მდებარეობს და მისი დაწინაურება ვაჭრობის განვითარებას უნდა დაუწყავშიროთ ადრეფეოდალურ ხანაშივე. “მტკვარს აღმოსავლეთიდან ერთვის ასპინძის ხევი... შესართავთან არს ხიდი მტკვარსა ზედა.” (82; 127) ასპინძასთან ხიდის არსებობა მნიშვნელოვანი სამაგისტრალო გზის არსებობაზე მეტყველებს, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, აქ ვერაზიის დამაკავშირებელი აბრეშუმის გზის მონაკვეთი გადიოდა. ასპინძის თავსა და აგარის ბოლოს არის ერთი ციხე კლდესა ზედა შენი, მაგარი. (82; 127) აქ ლაპარაკი უნდა იყოს ასპინძის ციხეზე.

საყურადღებოა “გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის ცნობები: ციხეს მეთექვსმეტე საუკუნეში ჰქონია რაბათი. “დავთრის” შედგენის დროს 50 კომლიანი დიდი სოფელი ყოფილა. დაუბეგრავთ 25 ათასი ახნით. საყურადღებოა ასპინძელთა გვარ-სახელები: გურაზა აბუღასძე, არსლანა, ლაშქარა, ვარძელ, ოქროპირ, ბაღურა, მირაიანისძე, მამუკა ყუზანასძე, პავლია, მაწყვერელისძე, ზურაბა ირემასძე, იორდანე, ია ძმა მისი, ლაშქარქა, მირველი, ყანდუ გრიგოლასძე და ა. შ.

თავად ასპინძის ციხე გარდა სავაჭრო მაგისტრალისა, გზაჯვარედინზე იყო აგებული და საუღელტეხილო გზის მცველი ხეობის შესავალსაც აკონტროლებდა. ხეობიდან ზემო ინთორის ხევის გავლით მოკლე, აგრეთვე მოკლე საურმე გზა გადადის შორეთის მონასტრის გავლით კოხტას ციხემდე, რომელიც უკვე ყოფილი “ალასტნის” საუფლისწულოს, კუთვნილება იყო, XVI საუკუნის ბოლოს კი საკათალიკოსო დაქვემდებარებაში შედის ზვარეთის “ქუეყნის” ფარგლებში. როდესაც ქართლი ჰეგემონიას ავრცელებდა თორში, ამავე დროს პარალელურად მკვიდრდებოდა ჯავახეთშიც. როგორც წინა თავში ავღნიშნეთ, შემთხვევითი არ იყო ზემო ჯავახეთში საუფლისწულოს დაარსება და შემდეგ “საჯავახთუფლოსი” ანუ სამეფო დომენის მთელ ჯავახეთზე განვრცობა. თორისა და ჯავახეთის შემომტკიცებით ქართლის მეფე მესხეთ-ქართლის დამაკავშირებელ რეგიონებს ეუფლება და უპირატესობას იხვეჭს სამცხის ფეოდალთა მიმართ.

ეს მოსაზრება ლოგიკურია, თუ ვიგულისხმებთ, რომ ქართლის მეფე ქართლიდან განაგებს ქვეყანას, მაგრამ კურაპალატობის პერიოდში, როცა ქვეყნის პოლიტიკურმა ცენტრმა ტაო-კლარჯეთში გადაინაცვლა, გამათავისუფლებელი მოძრაობა პირიქითა მიმართულებით ხდებოდა და ვფიქრობთ იმთავითვე სამცხის ბაგრატიონებს უნდა სჭეროდათ აღვნიშნული

რეგიონები. როდესაც ნასრა აფხაზთა მეფის შემწეობით შეიჭრა სამცხეში: “შეიპყრა ნასრა სამნი ციხენი სამცხეს: ოძრხე, და ჯუარის-ციხე და ლომსიანთა, გუარამისვე აშენებულნი.” (82; 165) ჯუარის-ციხე (ანუ ციხისჯვარი) ორია, ერთი იმერეთში გადასასვლელ გზას აკონტროლებს, მეორე თორში დგას. რადგანაც იმერეთიდან გადმოვიდა ნასრა და მემატიანეც ციხეს სამცხეს აკუთვნებს, შეიძლება დაუშვათ, რომ დასავლეთ ციხისჯვარია, მაგრამ ნიშანდობლივია ნასრას ლტოლვა ასპინძის ხევით. “და შეიპყრეს ნასრ, და მოკლეს ხევსა შინა სამცხისასა, სოფელსა, რომელსა ეწოდების ასპინძა.” (76; 379) ციხისჯვარი ხომ თორის მხრიდან აკონტროლებს საუღელტეხილო გზას, რომელიც ასპინძის ხეზე ძევს. საეჭვოა, რომ დამარცხებული ნასრა თავის გადასარჩენად მტრის ხელში მყოფ ციხისჯვრისაკენ გაქცეულიყო, მაგრამ შესაძლოა სხვა გზა ადარც ჰქონდა.

წინარეკრესტიანულ ასპინძის ხევის შესახებ ძნელია დამატებით რაიმეს თქმა იმის გარდა რაც წინა თავში ითქვა წარმართული კვალის არსებობის შესახებ უძველეს ნასოფლართა: ბოქთასა და ინთორას შესახებ. ოთისციხის ზემოთ, ინთორიწყლისა და სანისლოს შესართავთან არის ერთი ბორცვი, რომელიც ოდესღაც სამოსახლო ადგილის სიმაგრეს უნდა წარმოადგენდეს, კედელი ანალოგიურია დართის წყლის თავზე, ახლანდელ სამანქანო გზასთან (რომელიც კალოებზე გადადის და ვარაზას ციხემდე აღწევს) მდებარე ბორცვის დაქცეული ციხის ნაშთებს უნდა ფარავდეს. ინთორიწყლის ხერთვისის გადმოღმა ნაპირზე ქვის კედელი არის ამოშენებული, მისი დანიშნულება ჩვენთვის უცნობია, კბოლის თავზე ნასოფლარია, ჩანს ნაგებობათა ნაშთები, ნასოფლარის თავზე არის მაღალი ბორცვი, რომელიც უფრო ადრინდელი უნდა იყოს ვიდრე ინთორიწყლის ხერთვისში მდებარე ციხე.

“ამავ ხევზედ, ოთას, არს კლდეთა შინა გამოკვეთილნი ქვაბნი დიდ-დიდნი სახიზრად.” (82; 666-667) ბრძანებს ვახუშტი. გამოქვაბულების ადგილსამყოფელს თითქოს მივაგენით, მაგრამ შესასვლელი ჩახერგილი და მიწით დაფარულია, შესწავლას და გაწმენდას საჭიროებს. “ქვაბნი” ოთიდან ოდნავ ჩრდ. მიმართულებით გორაკზე მდებარეობდნენ მაგრამ რელიეფი უფრო მოკრძალებული ზომის, ტრადიციული ჯავახური დარანის არსებობაზე მიუთითებს, ვიდრე კლდეში ნაკვეთ “დიდ-დიდ ქვაბებზე”, დარანი ყოფილა ინთორის ნასოფლართანაც, იქ, სადაც ეხლა წყალსაწმენდი ნაგებობაა.

იქვე, აუზიდან აღმოსავლეთით გორაკის ფერდზე აღმოჩნდა ეკლესიის რამდენიმე კარგად გათლილი საპირე ქვა, დეკორის გარეშე, სრულიად შესაძლებელია იმ ადგილებში ნაეკლესიარის აღმოჩენა, ეკლესია ქვემო ინთორას უნდა ეკუთვნოდეს. მიდამოების ზედაპირულმა დაზვერვამ არქეოლოგიური ძეგლი არ გამოავლინა, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ რელიეფის ლაზერული სკანირება გამოავლენს ნაგებობის ნაშთებს.

ვფიქრობთ, რომ მიუხედავად ასპინძის სიახლოვისა, რომელიც როგორც ადმინისტრაციულ, ასევე სავაჭრო ცენტრსაც წარმოადგენდა ძველთაგანვე, “ოთა”, ისევე როგორც “კოხტა”, დამოუკიდებელ საციხისუფლოებად უნდა არსებულებოდნენ. გასარკვევია თუ როდის უნდა დაარსებულიყო საციხისუფლო.

ასპინძისხევი ფაქტიურად სამი ისტორიული რეგიონის საზღვარს წარმოადგენს: სამცხის, ჯავახეთის და თორის. შემთხვევითი არ არის რომ ოთა შეტანილია საკათალიკოსო მამულების სიაში, ეკლესია რასაკვირველია ქართლის მეფის მხარეზე გამოდიოდა საქართველოს გაერთიანება-გათავისუფლებისათვის ბრძოლაში. თუ ჯავახეთი სამეფო დომენს წარმოადგენდა, საკათალიკოსო მამულები დომენის გავლენის სფეროში აქცევდნენ უფრო დასავლეთით, ნაწილობრივ უკვე სამცხის შემადგენლობაში მყოფ მიწებს. ასე მაგ.: დადეში, ოთა, ხერთვისი, წუნდა, ვანის ქვაბები, ვარძია. (17; 118-125) ე. ი. უმნიშვნელოვანი პუნქტები მაქსიმალურად იყო დაქვემდებარებული ცენტრალური ხელისუფლებისადმი, როგორც საერო, ისე სასულიერო მხრივ. საკათალიკოსო მამულებისა და სტრატეგიულ სიმაგრეთა ეს ჯაჭვი, რომელიც ასპინძამდე მოდიოდა, საერისთავოთა შორის ცენტრალური ხელისუფლების კონტროლისადმი დაქვემდებარებულ ერთგვარ ნეიტრალურ ზონას ქმნიდა.

ადრეფეოდალურ ხანაში, წუნდის საერისთავოს ძლიერების დროსაც სწორედ ასეთ, სასაზღვრო, ნახევრად ნეიტრალურ ერთეულად სჩანს ასპინძის ხევი.

გორგასლის მეფობამდე ხეობაში დიდი ციხეები არა ჩანს, თუმცა არქეოლოგიური დაზვერვების ჩატარებამდე ნაადრევი უნდა იყოს ამაზე ლაპარაკი, განსაკუთრებით საინტერესოა ნასოფლარ ბოქთას მიდამოები, რადგან მდებარეობით დომინირებს და განსაკუთრებით სიმპტომატურია ხევის “ქვასაყრელი”, რაც შესაძლოა მშრალი წყობით ნაშენი ციხე-სიმაგრის (როგორიცაა შაორი, აბული, ოლდანი) ნაშალს, ხევი მშენებლობის

საწარმოებლად განზრახ ჩაგორებულ მასალას წარმოადგენდეს, რაც გასაკვირი არ არის, ოთხ კირის დუღაბით ნაშენები ციხის საპირე წყობაა დაშლილი და უდუღაბო წყობის დაშლა პრაქტიკულად სიძნელეს არ წარმოადგენდა. შესაძლოა ბოქთა ადრექრისტიანულ ან უფრო ძველ ხანაში გამაგრებულ პუნქტს წარმოადგენდა კოდიანის “ქუეყნის” შესავალში.

მაზდეანობა ანუ ცეცხლთაყვანისმცემლობა, მისგან დამოუკიდებლად მითრიაზმიც, არ იყო არაპოპულარული რელიგია, პირიქით, უაღრესად იყო გავრცელებული იმიერ და ამიერ საქართველოში, განსაკუთრებით კი იბერიაში. მეტიც, ჯუანშერის ცნობით მოგვთა მაზდეანური პროპაგანდა უკვე ორი საუკუნის მოქცეულ ქვეყანაში ახერხებს წარნატების მიღწევას: “წერილისა ერისაგანი მოაქცია მრავალი ცეცხლისა მსახურებისა”, (82. 93-94) ბევრგან ყოფილა “საგზებელი ცეცხლისა”, მთელი ხეობები მისდევდნენ ცეცხლთაყვანისმცემლობას. მაგრამ, რადგან, “ქართველების ეროვნულ სარწმუნოებად მნათობთა თაყვანისცემა იყო, საქართველოში შემდეგ შემოხიზნულ მაზდეანობას, სპარსულ მაზდეანობასთან შედარებით თავისებური ელფერი ექნება.” (35. 284)

მზე, ცეცხლი, მიწა და წყალი – ოთხი ელემენტი, რომელსაც თაყვანს სცემდა მაზდეანობა. მზის კულტი ოდითგან თაყვანისცემის ობიექტი იყო საქართველოში, თუმცა მეორე ადგილზე მთვარის შემდეგ. ჯუანშერი და ლეონტი მროველი დოგმატური მოსაზრებით განზრახ ჩქმალაგდნენ მზისადმი თაყვანისცემის ფაქტებს ქართლში, რადგან მაზდეანობის უპირველესი გამოვლინება სწორედ მზისადმი თაყვანისცემაში უნდა გამოხატულიყო იბერიაში, ძველ წარმართობასთან გარკვეული სინკრეტული სახით.

ძნელია ლინგვისტური ლაბირინთების უკუნეთში გზის გაგნება, მით უმეტეს როცა საქმე ეხება ათასწლოვან ქართულ სიტყვას, მაგრამ საკითხის დასმისთვის, რომ აპანი (იგივე აპნისი ანუ იანგარი) – ასპანი აქედან წარმომდგარი შორ-აპანი გარკვეულ კავშირში უნდა იყოს.

შემთხვევითი არ უნდა იყოს ვახუშტის ცნობაც: “ასპინძის ხევის სათავეზედ, მთის ძირში არს შორაპანს მონასტერი...” (82; 127) ე. ი. შორეთის მონასტერს უწოდებს “შორაპანს”. შესაძლოა ეს სახელწოდება ადგილობრივი ტრადიციის გამოძახილს წარმოადგენს. ოშორა და შორეთი “შორ” ძირის მქონე ორი იდენტური ტოპონიმია, ერთი ზანური წარმომავლობის: ო-შორ-ა, მეორე ქართიზებული ფორმაა: შორ-ეთი. გვხვდება შორეთის სხვადასხვა ფორმები,

XII-XIV სკ-ეთა ანდერძებში შორ-ოთა, შორათა, XIX საუკუნის შოლოთა, თანამედროვე შოლორთა. შორეთი ასპინძისხევში მდებარეობს, ოშორა მომდევნო ხეობაა და პრაქტიკულად ერთი რეგიონია, შორეთის გვიანდელი სახელწოდების ფორმირებას შესაძლოა საკულტო ადგილის გამონასტრებამაც შეუწყო ხელი და მოსახლეობა მას ოშორ-ოთის მონასტერსაც უწოდებდა (აქედან წარმოიშვა ტოპონიმი “შოროთა”).

უძველეს დროში ასპინძა ასპინძისხევით და მიმდებარე ოშორა-შორეთით შესაძლოა ერთ მთლიან მიკრო “ქუეყანად” ან ციხე-სიმაგრეთა გვიანფეოდალური ორიენტირებისაგან განსხვავებული სისტემით იყო გაერთიანებული. ასე მაგალითად ასპინძის ციხე - აგარის ციხე (საფორთიფიკაციო ნაგებობის ნაშთია ყიზილ-დერესას შესავალში), ზემო ინთორა, ჩიტკიბეები, ბოქთა. მომართული იყო ჩრდილო-აღმოსავლეთიდან შემოსული მტრისაგან თავდასაცავად. თემის - საბოთარი-საბოტარელნის წარმოშობა ადრეფეოდალურ ხანაში უმდა მომხდარიყო, ხოლო ადგილობრივი სენიორიის წარმოშობა შედარებით გვიანდელი მოვლენაა უნდა დაწყებულიყო VIII-IX საუკუნეებში, შესაძლოა ხოსროვანთა ტაძრეულთაგან, რეგიონში ბალუაშთა გაბატონებამდე, შემდეგ X-XI -ში ჩამოყალიბდა ცალკე საგამგებლო ერთეულად, ცენტრალური ხელისუფლების დაქვემდებარებაში საქართველოს ეკლესიის პროტერქტორატით, ინარჩუნებდა ავტონომიას ბალუაშთა, თორელთა, თმოგველთა, ღობიართა, მხარგრძელთა, ორბელთა, ჯაყელთა თუ ალასტნელ პროვინციის მეფეთა მძლავრობის ხანაშიც. 1987-2007 წლის კომპლექსური ექსპედიციების მიერ მიკვლეული საარქივო მასალებისა და ლაპიდარული წარწერების თანახმად გამოიკვეთა აღნიშნული ფეოდალური სახლის წევრთა სახელები: ვარაზა, ვარაზ ბაკური, ოთარი, საბა, იგივე საბა-ნიკოლოზი, ნიკოლოზ ცოდვილი, ჯვრის მონასტრის ალაპების ნიკოლოზ მაწყვერელი, ოთარი-ვარაზა. გვიანფეოდალურ ხანაში კი ხეობის სიუზერენობა შესაძლოა გენეტიკური მემკვიდრეობით მიიღო შალიკაშვილთა სახლმა, ასევე ტრადიციული საგვარეულო სახელებით: ოთარი, ვარაზა.

სწორედ ეს სახელები მიგვანიშნებენ ხოსროვან-ბაკურვანთა ერთ ერთი მძლავრი მაგრამ დამცრობილი შტოს კვალზე კოდინის მეგატონეთა ფეოდალურ სახლში, რომელთაც ლეგენდის თანახმად შოთა რუსთველი მიიღეს სიძედ, და შესაძლოა გარკვეული კავშირიც არსებობდეს აღნიშნულ ფეოდალურ სახლთან და გრიგოლ და აბაზ ბაკურიანის ძეებთან, რომელთა ბიძასაც ხოსროვანი ერქვა.

ტიპიკონი თავი 31, მუხლი 2 “ და მსგეფსა შინა სამსა დღესა სასეფოდ ჟამსა წირვიდეს: ერთსა დღესა – მამისა ჩემისა ბაკურეანისათვის და ერთსა დღესა – მამისა ძმისა ჩემისა ხუასროვანისათვის და ერთსა მამის ძმისწულისა ჩემისა ბაკურიანისათვის. მამას ბაკურიანს კი “ერისთავთა მთავრად” მოიხსენიებს . (3; 116).

ხოსროვანთ თანდათან უფრო აქტიური ბაგრატოვანნი ჩაენაცვლნენ, დამოყვრების, დაპყრობის და იმდროისთვის მისაღები და ჩვეული ყველა მეთოდის გამოყენებით. საყურადღებო და სიმპტომატურის გრიგოლოს სიტყვები: “რამეთუ ნეტარი მამაი ჩუენი აღრე მიიცვალა და ჩუენ მცირენი დაგვიტევნ და ჰასაკად ვერ მოწიფებულნი, ამისტვის ყოველნი მონაგები და სახმარი მამისა ჩუენისაი დედამან ჩუენმან დედობრივისა ჭირვეულობასა მიხედვითა სხუათა მათ შუილთა თუისთა დატა ჩუენტა ზითვად მისცა და ჩუენ შიშუელნი დაგვიტევნა ყოვლისაგან მამულისა და დედულისაგანცა სახმარისა. და დანი ჩუენნი ზითვითა მათითა წარვიდეს ქმარტა მათთა და განიბნინეს სხუათა და სხუათა შინა სოფელსა და მუნ წარაგეს ყოველი. (3. 102) ძნელი სათქმელია თუ სად მდებარეობდა ერისთავთა მთავარ ბაკურიანის რეზიდენცია, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ კოდიანის მახლობლად თორში მდებარე დაბა ბაკურიანიც ციხისჯვრის ციხით, ასპინძისხევით, ზვარეთით (საჯავახთუფლო), კოხტათი და აწყურის აღმოსავლეთით მტკვრის ხეობითა და ჯავახეთის ფლატეთი ბუნებრივად შემოსაზღვრული არეალი იყო მათი მტერთაგან კარგად დაცული მამული, საიდანაც განავრცობდნენ ძალაუფლებას.

დაბა ასპინძა ვაკე დაბლობში, ღია ადგილას, გზის პირში მდებარეობს, იგი ვაჭრობის განვითარებას, სამეფო სამონასტრო კომპლექსებს საკათალიკოსო მამულებში და აბრეშუმის გზას უნდა უმაღლოდეს აღმოცენებას, ციხე-რაბათითურთ კი ცალკე, განსხვავებული ფუნქციის მქონე ერთეულს უნდა წარმოადგენდეს, ვახუშტი მას არც კი უწოდებს ასპინძის ციხეს – “ასპინძის თავსა და აგარის ბოლოს არს ციხე კლდესა ზედა შენი, მაგარი.

ძნელი სათქმელია რა კავშირი უნდა ჰქონდეს “აპანს” (ძველ ქართულად იანვარ) ზოდიაქოს ნიშან “თხის რქასთან” (იანვრის ზოდიაქოა), ან მზესა და ცეცხლთან, მაგრამ ცნობისათვის აქვე მოვიყვანთ, რომ საბას განმარტებით აპნისი სომხურად არის – შამას, არაბულად შამს. მისივე განმარტებით მზე არაბულად აგრეთვე არის “შამს”. ნიკო მარი არაბულ “შამს”, ებრაულ “შამაშ” და და ქართულ მზეს შესატყვისებლად თვლის. (70; 3) მეტიც, მათი ნათესაობის

დასაბუთებასაც ცდილობს. თუ აქვე გაეხსენებთ მეგრულ-ჭანურ მზის შესატყვისებს – “ბჟა“- ს და “ბჯა“-ს, აგრეთვე წარმართულ ღვთაებას “ბოჩ“- “ბოჟ“-“ბუოჟ“, რაც მამალ თხას, ვაცს ანუ ბოტს უნდა ნიშნავდეს ქართულ-ჭანურ-ჩაჩნურ ენებში. აგრეთვე მზის სიმბოლო ბორჯღაღის ფუძით. იკვრება ერთმანეთთან დაკავშირებულ სიტყვათა რკალი და არ ავცდეთ ნაშრომის ძირითად თემას, შევწყვეტთ ეტიმოლოგიურ ძიებას, მხოლოდ საკითხის დასასმელად დავძენთ, რომ “აპანი” სპარსული წარმოშობის უნდა იყოს, გასარკვევია, თუ რას ნიშნავს “აპანი” სპარსულ შედგენილ სიტყვაში “მარზპანი“-“მარზაპანი” (მმართველის ნაცვალი), ან რას უნდა ნიშნავდეს “შურ“, “შორ“.

მზის კულტი თუ წინააზიიდან შემოვიდა ეს უძველეს ხანაშივე უნდა მომხდარიყო. მაზდეანობა კი მას შემდეგ უნდა შემოსულიყო ქართლში როგორც მწყობრი რელიგიური მსოფლმხედველობა, როცა სასანიდებმა ჩაიგდეს ხელში სპარსეთის მბრძანებლობა “დროშად” გაიხადეს ზარათუშთრას მოძღვრება, კერძოდ 226 წლის შემდეგ.

ლეონტი მროველი ფარნაჯომის მეფობას უკავშირებს ცეცხლთაყვანისმცემლობის გავრცელებას ქართლში. “მას მოუყვანია “მოგუნი” და აღეშენებია ზადენ ციხე, აღუმართავს ზადენის კერპი. (82; 21) სამცხეში, ოძრხის მახლობლადაც გვხვდება ტოპონიმი ზადენი. წარმართობის კვალია მესხურ ფოლკლორშიც:

“ჭორატს ჭანმგლებს გადვეყარე, ...

ზადენს ყელი გარდაუგდე, იცით, რომ სულ არ მაქვს ბრალი,

ხელი ვკარ ქვას, აქ გავქვავდი, მოგჰკვდი, გარდვიხადე ვალი,

ვინც ჩემი სისხლი იკითხოს, ჭორატს ქვას აჩნია მშრალი”. (14; 11)

ასე, რომ თუმცა ფარნაჯომს შეთქმულება მოუწყვეს ქართლის ერისთავებმა “მამათა სჯულისაგან გარდახდომისათვის ” და “დედული სჯულის” – ზოროასტრიზმის შემოღებისათვის და მოჰკლეს კიდევ, მაგრამ ქართლში, მასთან ერთად კი სამცხეშიც ფართოდ გავრცელებულა ცეცხლთაყვანისმცემლობა, ან მოხდა მისი სინთეზი მნათობთა თაყვანისცემასთან, კერძოდ მზის კულტთან სინკრეტიზაცია.

ერისთავნი და არისტოკრატია უმეტესწილად რომაული ორიენტაციისა იყვნენ და მეტ წინააღმდეგობას უწევდნენ სპარსული კულტურის შემოჭრას. ეს გამოიწვეული იყო ელინისტური კულტურის შესისხორცებით ქართლის



დიდებულთა ფენის მიერ (რაც მრავალგზის დადასტურდა არქეოლოგიური გათხრებით, განსაკუთრებით “დედოფლის მინდორში”), “წვრილ ერში”, მდაბიოთა და თავისუფალ მიწათმოქმედთა შორის კი რომელნიც შორს იდგნენ ელინური კულტურისაგან, ჩანს ფართო პოპულარობა მოუპოვებია მაზდეანობას. ელინოფილური ტრადიციის გავლენა ჩანს გაქრისტიანებულ ქართლში შინქარანის ქადაგებისას “არავინ ერჩდა წარჩინებულთაგანი, არამედ წურილი ერი მიიქცა მრავალი ცეცხლის-მსახურებასა”. (82; 93-94)

ივ. ჯავახიშვილი მაზდეანური დაკბალვის წესის ანარეკლს ხედავს ხევსურულ ანატორებში-ქვითკირის სახლებში, სადაც გვამს გასახრწნელად ტოვებდნენ. (35; 284) თუ გავაიგივებთ ანატორსა და ინთორას, (წინა თავში ვიძიებდით მათ საერთო წარმომავლობას), ნასოფლარების ინთორასა და ბოგთას სახელწოდებებში შესაძლოა ასპინძისხევში მაზდეანობის მკრთალი ანარეკლიც წარმოვიდგინოთ, სადაც ოდესმე შესაძლოა მზის საუფლო - საკურთხეველი ან სამლოცველო, “ცეცხლის საგზებელი” ყოფილიყო.

ასპინძისხევი ელინისტურ ხანაში ჩვეულებით სამართალზე დამყარებული, თემის მიერ მართული თავისუფალი ადმინისტრაციული ერთეული - ხევი უნდა ყოფილიყო. სომეხთა მეფე იარავანდის ექსპანსიამ ჯავახეთში, ხოლო შემდეგ სუმბატ ბიერიტიანის მიერ სამცხის ნაწილის მიტაცებამ ჩანს გაზარდა ასპინძის ხევის სტრატეგიული მნიშვნელობა. გზის დასაცავად უნდა აგებულიყო მძლავრ სიმაგრეთა ჯაჭვი, რადგან საროს ზევით მტერს ფაქტიურად გზა ეხსნებოდა არა მარტო სამცხისაკენ, არამედ თორისკენაც. ამგვარ ვითარებას უნდა ასახავდეს სტრაბონიც, როცა ამბობს, რომ “მოსხების ქვეყანა... სამ ნაწილს შეიცავს: ერთი მისი ნაწილი აქვთ მესხებს, მეორე იბერებს და მესამე არმენიელებს.” (30; 175)



ასპინძის ხევის  
ადრეფეოდალურ ძეგლებს  
უნდა მიეკუთვნებოდნენ  
შორეთის ციხე, ზემო ინთორის  
ციხე, ვარაზას ციხის ძველი  
გოდოლი, აგარის  
ნასოფლართან მდებარე  
ბორცვზე დარჩენილი  
ნაგებობის ნაშთი. ეს ციხეები  
ქვიშაქვის გათლილი  
კვადრებითაა ნაშენი და  
გამოყენებულია დულაბი. სამი  
მათგანი მიუვალ კლდეზეა  
აგებული და ხეობას  
აკონტროლებენ. მათგან  
უძველესი ჩანს ზემო ინთორა.  
ეს ძეგლები მშენებლობის  
ტექნიკით შეიძლება  
გორგასლის ეპოქას  
მივაკუთვნოთ. გათლილი  
კვადრები დაახლოვებით იმ

ზომისაა, როგორც ჭერემში, უჯარმაში. შორეთის ციხეს (იხ.დანართი) ეკლესიაც  
ახლავს, ციხე ნახევრად არის შემონახული, როგორც ეტყობა მიწისძვრისაგან  
უნდა იყოს დაზიანებული. საყდარი ორგანულად ერწყმის კლდეზე მერცხლის  
ბუდეხავით საოცარი ოსტატობით ჩადგმულ ციხეს. ეკლესია მცირე ზომისაა,  
წარმართულ ნაგებობას უფრო მოგვაგონებს. აფსიდის მხარე – აღმოსავლეთი  
მომრგვალებულია, შიგნიდან კირით ყოფილა გალესილი, ალბათ მოხატულიც,  
ახლაც აქვს შემორჩენილი რამდენიმე ქვის ღორფინი (ღორფინებით ყოფილა  
გადახურული), იქვე ხევში კარგად გათლილი სადა კარნიზის ქვები აღმოჩნდა  
სადა ლილვით.

სახურავი ამჟამად ჩაქცეულია, დარღვეულია გოდოლიც და მხოლოდ  
ნახევარია დარჩენილი. ციხის ახლოს გამონადენი აქვს კლდე, რაც აქ ადრე

წყაროს არსებობის შესაძლებლობის მანიშნებელია. ციხიდან დიდ მანძილზე იშლება თვალსაწიერი. განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში ციხე შორეთის მონასტერს იცავდა, მაგრამ მასზე გაცილებით ადრე უნდა იყოს აგებული. (ამის შესახებ იხ. მე-3 თავი).

ვარაზის ციხის ერთი გოდოლი შორეთის (შოლორთის, შოროთის) ციხის თანამედროვე უნდა იყოს, ახასიათებთ მშენებლობის ერთნაირი ტექნიკა. გოდოლი უხეშად გათლილი წითელი ქვიშაქვის კვადრებით არის აგებული, დანარჩენი ციხე კი იმავე მასალის ყორექვით (აქედან უნდა მომდინარეობდეს მისი მეორე სახელწოდება—“ყიზილ-ყალა” წითლი ციხე).

ვარაზას ციხესა და შორეთის ციხის შორის (ეს ციხეები მდ.სანისლოს მარცხენა ნაპირზე მდებარეობენ, ნასოფლარები კი მდინარის მარჯვენა ნაპირზე), იმ ადგილას, საიდანაც იწყება ტამალასა და კოხტას ციხეზე გადასასვლელი გზა, (საურმე გზა), რომელიც ხიზაბავრაშიც გადადის (ხიზაბავრელები აქედან ეზიდებიან შეშას), მიუვალ კლდეზე მდებარეობს ზემო ინთორის ციხე, ეს ციხე აღმოვაჩინე 1987 წლის ექსპედიციის დასრულების შემდეგ, ოქტომბერში, სოფ. ოთადან 15 კმ-ში, (მიმასწავლა მეტყევე ხმალაძემ), ფეხით მივედი და აღვწერე, უცნობ ძეგლს წარმოადგენდა როგორც ისტორიკოსებისათვის, ისე ძეგლთა დაცვის ორგანიზაციებისათვის.



მარი ბროსეს ასპინძაში ჩაწერილი აქვს სახელწოდება თაიჯი ანუ ტაიჯი , თაყაიშვილთან-თაუჯ, ს.ჯიქიას ჭაიტა , ივ. გვარამაძე აგრეთვე ხმარობს ჭაიტას, შორეთის მონასტერს უწოდებენ შეცდომით ამ სახელს, ან უბრალოდ აღნიშნავენ, რომ ჩაწერილი აქვს ეს სახელწოდება შორეთთან დაკავშირებით.

იმ მთის ჩრდილოეთით, რომელზედაც დგას შორეთის ციხე, ინთორისწყლით (მას მიუყვება ტამალის გზა კოხტასთავისაკენ), გამოყოფილია მეორე კლდე, რომელზედაც არის აღმართული ზემო ინთორის ციხე. როგორც ჩანს მისი დანიშნულება სწორედ ამ გზის კონტროლია; ციხის მოპირდაპირე მხარეს, წყალგადმა როგორც აღვნიშნეთ ნასოფლარია, გარკვევითა სჩანან ნაგებობათა ნაშთები. ხიზაბავრელების გადმოცემით კოხტასთავის გზის გაყოლებით კიდევ უნდა იყოს ერთი ეკლესია.

ზემო ინთორის გალავანი აგრეთვე მკვიდრად, დუღაბით ნაშენი უხეშად გათლილი მოწითალო ქვიშაქვის კვადრებით არის ნაგები. გალავნის სიმაღლე ზოგან ოთხ მეტრზე მეტია. შემადგებულ ადგილას დგას იმავე მასალით ნაშენი აღმოსავლეთისაკენ მომრგვალებული ნაგებობა, რომელსაც არც სარკმელი ეტყობა და არც კარები, სახურავი ჩაქცეული არ არის და ალბათ არქეოლოგიური დაზვერვების შემდეგ გაირკვევა საკულტო ნაგებობაა თუ საომარი გოდოლი (გარეგნული ფორმებით შორეთისციხის ეკლესიასაც ჰგავს და კოშკსაც).

ამ პერიოდის ნაგებობას წარმოადგენდა ალბათ ყიზილ-დერესას და ასპინძას შორის (უფრო ეკლესიის მახლობლად), ნასოფლარი, რომელიც ან აგარა უნდა ყოფილიყო, ან ოთარაშენი. კლდოვან ბორცვზე აქ ციხე უნდა მდგარიყო წითელი ქვიშაქვის კვადრებით ნაშენი, კედლის ნაშთები ამჟამად ძლივსღა შეინიშნება, სულ რამდენიმე ქვის წყობაა დარჩენილი. ნაციხარი ასპინძისწყლის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს, ყიზილ-დერესას ეკლესიის (“ყიზილ-დერე, წითელ ხევს ნიშნავს ქართულად) დასაცავად, შეასაძლოა ციხე ეკლესიის აშენებამდეც ყოფილიყო ამ ადგილას.

უფიქრობთ, რომ ეს ნანგრევები უფრო აგარისა უნდა ყოფილიყო, ასპინძამდე სხვა ნასოფლარი არსად შეინიშნება და ამასვე მეტყველებს ვახუშტის მიერ ლოკალიზებული ასპინძის ციხის ადგილმდებარეობა „ასპინძის თავს და აგარის ბოლოს,,

ვახტანგ გორგასლის შემდგომ მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა ქართლში. უაღრესად გააქტიურდა სპარსეთი, მაზდაკის სოციალური

თანასწორობისა და მშვიდობის მქადაგებელმა მოძღვრებამ მცირე ხნით არია ირანის საშინაო ვითარება, მაგრამ 532 წლის „საუკუნო ზავმა„ საშუალება მისცა სპარსელებს საბოლოოდ გაეუქმებინათ მეფობა ქართლში. იბერიის მეფენი „უმცირესი ბოროტები არჩევის გზით, ბიზანტიისაგან ითხოვდნენ მფარველობას, მაგრამ ბიზანტია მდუმარედ შეხვდა ირანის ანტიქართულ აქციებს. ამრიგად, პოლიტიკურად განადგურებული აღმოჩნდა ქართლი, ცხადია მაზდეანობაც აიშვებდა თავს, მძაფრი ბრძოლა მიმდინარეობდა ეკლესიაშიც მონოფიზიტობასა და ქალკედონიანობას შორის, რომელიც თანდათან გადაიზარდა ბრძოლად ქართულენოვან და სომხურენოვან ეკლესიებს შორის (ეს ყოველივე კარგად ჩანს განხეთქილების მიზეზის, ცურტავის საეპისკოპოსოს მაგალითზეც), მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეროვნული აღმშენებლობის მატარებელ მთავარ ძალად მაინც ეკლესია გადაიქცა; მონოფიზიტიზმი ამ ეტაპზე, ისევე, როგორც ქრისტიანობამდელ ხანაში მაზდეანობა მნათობთა თაყვანისცემასთან შედარებით, ირანისადმი კომპრომისზე წასვლასა და ანტირომაულ განწყობილებას გამოხატავდა. ქრისტიანობა დაპყრობილ ქვეყანაში გამათავისუფლებელ მოძრაობას ნიშნავდა, რომლის ლიდერებადაც მოგვევლინენ მეექვსე საუკუნეში ასურელი მამები. მათმა მოღვაწეობამ განამტკიცა ქართულენოვანი სასულიერო წოდების საძირკველი, შეადუღაბა ეროვნული თვითშეგნება, გაიშალა ფართო აღმშენებლობითი საქმიანობა და თუ გავიხსენებთ, რომ ეს ყოველივე დაპყრობილ, ბიზანტია-ირანის საომარ ასპარეზად ქცეულ ქვეყანაში ხდება, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს თუ რა ტიტანური გარჯის ფასად ხდებოდა ეს საოცარი მეტაფორმოზა ქართლის სულიერი ცხოვრებისა. ქალკედონისტობა კი ბიზნტიურ ორიენტაციასა და პოლიტიკურ არჩევანს ნიშნავდა, არჩევანს მსოფლიო რელიგიასთან თანაზიარობასა და მხოლოდ ირანისთვის მისაღებ კულტურულ თვითიზოლაციას შორის.

ამასთანავე ბუნებრივია, რომ მეტად მწვავედ დაისმებოდა სამწყსოთა კონფესიური კუთვნილების საკითხი, განსაკუთრებით კი სამცხე-ჯავახეთში, რომლის გარკვეულ ნაწილზეც სომხეთს საუკუნეთა მანძილზე ჰქონდა პრეტენზიები, მცირეოდენი სომხური მოსახლეობაც სახლობდა და გავლენაც ჰქონდა შენარჩუნებული.

მეექვსე საუკუნის ბოლოს იბერიის დასავლეთ ნაწილზე, შესაბამისად სამცხე-ჯავახეთზეც გარკვეული უფლებები მოიპოვა ბიზანტიამ. მეშვიდე საუკუნის დასაწყისში კეისარი ჰერაკლე შემოიჭრა და ხაზართა დახმარებით

დაიპყრო მთელი იბერია. ქართლის ცხოვრება მოგვითხრობს, თუ რაოდენი რადიკალური ზომები იქნა მიღებული მაზდეანობის წინააღმდეგ მრავალი ცეცხლთაყვანისმცემელი დაუხოცავს და ან ძალით გაუქრისტიანებია

მაგრამ მეშვიდე საუკუნე არ ყოფილა ბოლომდე ქრისტიანთათვის სასურველი მოვლენებით სავსე. სამხრეთიდან წამოვიდა მესამე ძალა - არაბობა, ურიცხვი ძღვევამოსილი მხედრობითა და აგრესიული ისლამური რელიგიით. საუკუნის ბოლომდე თანდათან მოიკიდეს იბერიაში ფეხი, ჰაბიბოს იბნ მასლამას „დაცვის სიგელი“ დამპყრობთა განუკითხავმა პარპაშმა შეცვალა საუკუნის ბოლოს. ისლამმა კი ფაქტიურად მაზდეანობის ადგილი დაიჭირა და გასარყენელად მიადგა „წერილ ერს“, თუმცა აშკარად ჯერ არ ებრძვის ქრისტიანობას. ქვეყანა ნადგურდება ხაზართა შემოსევებისაგან, მაგრამ ნერსე ერისთავისა და იოანე საბანისძის მოღვაწეობა (ფაქტი, რომ გრიგოლ ხანძთელი ნერსეს ოჯახში იზრდებოდა), არაბულ არტახებში მოქცეულ, მაგრამ განუხრელად მზარდ ეროვნულ ენერჯიაზე მეტყველებს. ამ პერიოდშივე აიგო კლასიკური ხუროთმოძღვრების ძეგლი ჯვარი...

მურგან ყრუ საშინლად აოხრებს ქართლს, ამას ზედ ერთვის ხაზართა შემოსევაც, მაგრამ ქვეყანა მთლიანად მაინც არ ემონა დამპყრობს, სამეფოს ცენტრმა სამხრეთ დასავლეთით გადაინაცვლა. მერვე საუკუნის მიწურულს შეიქმნა საქართველოს საკურაპალატო. მეცხრე საუკუნეში ზედი-ზედ შემოდინა არაბები, აოხრებენ ქვეყანას, ბიზანტია აფხაზეთის სამეფოდან თავის მხრივ ამღვრევს წყალს, ბუღა თურქი ისევ აოხრებს თბილისს...

მაგრამ, საქართველო ამ ძნელბედობის უამს იხსნა არა იმდენად მამფალთა, კურაპალატთა და ერისთავთა თავდაუზოგავმა, მაგრამ შინაომებითა და მომხედურთან არაპროპორციული ძალთა თანაფარდობისაგან სისხლისგან დაცლილმა ნაღვაწმა, არამედ ქართულმა ეკლესიამ, რომელიც სახელმწიფო იყო სახელმწიფოში, რომელზედაც დაშენდა საქართველოს სამეფო. ხანძთელის სიტყვით: „ჭეშმარიტი მონაზონნი ქუეყანასა ზედა არავისსა ხელმწიფებასა ქუეშე არიანო. (84; 105) უგასაოცარი მოვლენა – კი არის, მაგრამ ნამდვილი ამბავია, რომ სწორედ ეს ქვეყნისაგან ლტოლვილი, ცოდვილი ცხოვრების უარისმყოფელნი ბერები „უდაბნოთა ქალაქ მყოფელნი“ იყვნენ, ერისკაცთათვის გზის მაჩვენებელნი და ახალ მოშენეთა თავგანწირულნი წინამორბედნი. (36; 117). – ამბობს ივანე ჯავახიშვილი. აქედან მოყოლებული ჩაეყარა საფუძველი საქართველოს გაერთიანებასა და განთავისუფლებას.

აღნიშნულ პერიოდს VIII-IX სკ. უნდა მივაკუთვნოთ აგარის ეკლესია-„ყიზილ-დერესა“, რომელიც ასპინძასა და ოთას შორის მდებარეობს ასპინძისწყლის მარცხენა ნაპირზე. აგრესიული ძეგლი ამჟამად რესტავრირებულია არქიტექტორ თამარ ნემსაძის მიერ. როდესაც საგეოგრაფიო სახელ „აგარას“ იკვლევს, ივ.ჯავახიშვილი ფიქრობს (36; 12), რომ აგარა სოფელზე ყოფილა დაკავშირებული: „ვიყიდე სოფ. ზედკარეკი ხუთითა აგარათა“, „ვიყიდე სოფ. ორთა სამითა აგარათა“ (31; 33) (მელქისედეკ კათალიკოსის 1020 წლის სიგელი). აგარა ადრეფეოდალურ ხანაში შესაძლოა მართლაც ამა თუ იმ სოფლის საზაფხულო სადგომს, სახნავ-სავენახე სადგომს და ა.შ. წარმოადგენდა, მაგრამ საბას დროს იგი უკვე დაბის მნიშვნელობითაც იხმარება (ლექსიკონი). შესაძლოა აგარა სამონასტრო მეურნეობის გასაძღვლად დაარსებული დასახლებაც იყოს. ასპინძის ხევის აგარა სწორედ „ყიზილ-დერესას“ ხეობის (აქ მომცრო შენაკადი, აგარის წყალი ჩამოედინება), შესავალში მდებარეობს შენობათა ნაშთების მიხედვით და აგარის ეკლესიის (მონასტრის) კუთვნილი უნდა ყოფილიყო.

გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის შედგენის დროს ე.ი. მეთექვსმეტე საუკუნის მიწურულს შემდგენაირად არის მოხსენიებული: სოფელი აგარა ოთარაშენ ჩაირითურთ. ამ სოფელს ახსენებს სწორედ ვახუშტი<sup>1</sup>, და მარი ბროსესაც დატანილი აქვს „ესკრიპტიონ“-ისადმი დართულ №1 რუკაზე (იხ. დანართი).

აგარა დავთრის მიხედვით დიდ, 31 კომლიან სოფელს წაროადგენს (6; 146-146). ასპინძის ხევში მცხოვრებთა რაოდენობა უდიდესია, მაგრამ 16 ათას 600 ახჩას იხდის, როცა ოთა, სადაც სულ ექვსი კომლია, ხუთი ათასი ახჩით მეტ გადასახადს იხდის<sup>2</sup>. ს.ჯიქიას ცნობით XIXსკ-ის არც სამხედრო და არც სხვა დანიშნულების რუკებზე აღარ არის აღნიშნული (6; 145). შესაძლოა სოფლის განადგურება ან აყრა-გადასახლება რუს-ქართველთა იმ სამხედრო ოპერაციებთან იყოს დაკავშირებული, რაზეც გვექონდა საუბარი წინამდებარე ნამუშევრის პირველ თავში. ან მუჰაჯირობით უნდა სჩანდნენ გარდახვეწილნი.

რას უნდა წარმოადგენდეს ჩაირი ოთარაშენი? „ხუთვერსიან რუკაზე ოთა-ასპინძის ზონაში აღნიშნულია Г[ора] Отрошан. ეს „ოთროშან“-ი „ოთარაშენის“ დამახინჯებული ფორმა უნდა იყოს. ამ მთის სახელის უფრო სწორი ფორმაა მოცემული ერთ საბუთში—Отрашен (75: 25) და თუ მთა ოთარაშენი არის მის კალთებზე სადმე არსებულ სათიბს /ჩაირ/ ოთარაშენი ერქმეოდა.(62; 200-

201) შეგვიძლია მხოლოდ დაეძინოთ, რომ საეჭვოა სათიბს რქმეოდა ოთარაშენი, რადგან ეს სახელი შედგენილია და „შენ“ ფუძე რისამე (სოფლის, დაბის აგარის) მშენებლობას უნდა გულისხმობდეს. (შეადარე სოფ. ოთარაშენი ქართლში). თავად „ყიზილ დერესა“ წითელი ქვიშაქვის უხეშად დამუშავებული კვადრებით ნაგებ ბაზილიკას წარმოადგენს. საუკუნის დასაწყისში იგი უნახავს ე.თაყაიშვილს და აღუწერია.<sup>5</sup>

სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარებამდე ძველი არქეოლოგიურად არ ყოფილა შესწავლილი, და ამჟამად არქეოლოგიური ფენა განადგურებულია.

VIII-IX სკ. საუკუნეების ძველი უნდა იყოს აგრეთვე ასპინძის ხევში ღართისწყლის შუაწელზედ მდებარე დარბაზული ეკლესია ღართა. ე.თაყაიშვილი აღნიშნავს, რომ იგი სოფელ ოთადან 2 ვერსის დაშორებით მდებარეობს. (41; 13-14) უწოდებს Карта-ს, დავთრის შედგენის დროს აქ 6 კომლიანი სოფელი ყოფილა. ერთ გვიანდელ საბუთში ნათქვამია, რომ, იქ საქონელს აძოვებენ, რადგანაც ხვნა-თესვა შეუძლებელია და სახნავ სათესი ადგილი ცოტა არისო“ (41; 10) ს.ჯიქია ამ გარემოებას მიიჩნევს სოფლის გაუკაცრიელების მიზეზად (57: 37) რაც საეჭვოდ გეგონია. მისივე ვარაუდით სოფლის ნამდვილი სახელწოდებაა „ყართა“ და არა „ღართა“, თუმცა ადგილობრივი ტრადიცია, ე.თაყაიშვილი, ზოგიერთი საარქივო საბუთი რომელთაც თავადვე ასახელებს, ყართას თურქიზირებულ ფორმას წარმოადგენენ, ხოლო ზუსტი უნდა იყოს დავთრის ყართა და სხვა, არქივში დაცული მასალების Карта. (სცია, ფ.1491, ს.487, გვ.7,11). რუკებზე აღნიშნულია Р.Д. Карта, Ур[очище] Карта და სხვა.<sup>4</sup> ჩვენ ვფიქრობთ, რომ ღართა ქართულ მეტყველებაში საკმაოდ ფუძეძველი სახელი უნდა ყოფილიყო (შეად. ქართლის „ღართა“, „ღართისკარი“) და გაუგებარია რატომ უნდა მივიჩნიოთ უფრო ძველ ფორმად „ყართა“.

საინტერესოა სახელის წარმოების გზა. თუ იგი „ღარ“-იდან არის ნაწარმოები, ანალოგიური წარმოშობის სახელები ძველი დროიდანვე მრავლად გვხვდება (რუისპირი, რუსთავი, ღრმაღელე და ა.შ.) და მასთან დაკავშირებით ახალს ვერაფერს ვიტყვით, მაგრამ თუ სახელის ფუძედ მივიჩნევთ „ართ“-ს, საინტერესო პარალელების გავლება შეიძლება. პავლე ინგოროყვა დავით სასუნცის ეპოსის ქართული გამოცემის წინასიტყვაობაში იხსენიებს მუშ-სასუნცის ტერიტორიაზე შერჩენილ მესხური კლანის ერთ საშუალო საუკუნეებამდე შემორჩენილ თემს-რომელიც ხოით-ად იწოდება და ერთი



არაბული წყაროს თანახმად არტაანის ენაზე ლაპარაკობს. შემდეგ ყურადღებას ამახვილებს „არტ“ ფუძეზე „ურ-არტ“ /ლურსმულ დამწერლობაში/, „ურ-ქაშდ“ /ბიბლიაში/ და სამცხის არტაანს უკავშირებს.

არტ-აანი იგივე შემადგენლობის სახელია როგორც გურჯ-აანი, ოზაანი, მირზაანი და ა.შ. ლეონტის მიხედვით არტაანის მეორე სახელია ური, ან ჰური. ე.ი. მთლიანობაში „ურ-არტ-უ“ (76; XXXI-XXXII). ვფიქრობთ, რომ ზემოაღნიშნული მსჯელობა ლოგიკურია და „არტ“ ფუძე ეროვნების აღმნიშვნელი უნდა იყოს. ადვილია მისი მსგავსების დანახვაც „ქართ“ ფორმასთან. ჯაბიეთის (ჭაბიეთის) ხევში არის ბეთლემის ეკლესია<sup>2</sup>, მაგრამ აქ ჯაბიეთის ხევეს არ განვიხილავთ და ამიტომ თავს შევიკავებთ მასზე მსჯელობისაგან.

ღართა თუ მაინც უნდა იქნას განხილული რუსული ტრანსკლიპციის მიხედვით - Ур[очище] Карта, შესაძლოა აგრეთვე ვივარაუდოთ ტოპონიმის ხანდაზმულობა და მივაკითვნოთ პერიოდს, როცა ასპინძისხევში უპირატესად ზანური მოსახლეობა იყო (ზანურ-ჭანური ტოპონიმები აქ მრავლადაა: ოშორა, ოლდანი, ჭორატი, ჭაბიეთი, შესაძლოა ბოქთაც მათ რიგს მივაკუთვნოთ) ქართა და არა ყართა იყოს ტოპონიმის პირველსახე, მისი ორივე მნიშვნელობით: შემოსახლერული გალაგნინი ადგილი ან ქართველთა სოფელი, ასეთი ახალშენები ქართული ეკლესიის ინიციატივით როგორც წესი იშვიათობა არ უნდა ყოფილიყო ეკლესიის კუთვნილ მიწებზე.

ღართის თანამედროვე უნდა იყოს აგრეთვე შორეთის მონასტრის ერთი ნაწილი, რომელიც შემდეგ არაერთგზის გადაუკეთებიათ (იხ.თავი №3).

მდ. სანისლოს სათავეში არის ერთი სოფლის ნაშთი ეკლესიით: მას სანისლო ჰქვია. შესაძლოა ამ სოფლის სახელიდანაც მომდინარეობდეს მდინარის სახელწოდება. ნასოფლარის შესწავლა მოხერხდა 1988 წელს ოთა, შორეთი, აზაერეთი, თეთრობი, სანისლო, ვარაზას ციხე, ზემო ინთორა-ღართის საცხენოსნო ექსპედიციის მიერ (მალხაზ დათუკიშვილის და ზაზა ლეჟავას მონაწილეობით, ადგილობრივი მოსახლის სერგო ხმალაძის მეგზურობით) და არც საისტორიო წყაროები ამბობენ მის შესახებ რაიმეს. შეიძლება მხოლოდ ის ითქვას, რომ სოფელი სანისლო თეთრობში გადასასვლელი გზის პირას მდებარეობს.

ასპინძის ხევის უმნიშვნელოვანესი სოფელია ოთა. აგრეთვე ქართლის ცხოვრების ცნობა საბოტარელთა შესახებ, რომელიც დავით კუროპალატის

ზეობის წლებს ეხება. (Xსკ.)<sup>3</sup> განვითარებულ ფეოდალიზმის ხანაში აქ უკვე საციხისუფლო უნდა დაარსებულიყო.

ოთა საკათალიკოსო მამულს წარმოადგენდა, მაგრამ ციხისუფალი ერისთავს ემორჩილებოდა. მეთე-მეთერთმეტე საუკუნეებში იგი ალბათ ხელიდან-ხელში გადადიოდა. მეთერთმეტე საუკუნეში აბუსერ ერისთავი და ძე მისი გრიგოლ არიან არტანუჯის, ხიხათისა და ციხისჯვრის გამგებლები, მაგრამ ლიპარიტ ბაღვაში ხან ერთს იგდებს ტყვედ, ხან მეორეს, გრიგოლ აბუსერის ძეს არტანუჯსაც კი წაართმევს (82; 187-188) და ამ დროს შესაძლოა თავისი მფლობელობა ასპინძის ხევზეც განეწირო, როგორც მნიშვნელოვან სტრატეგიულ ხევზე. ლიპარიტის ტყვეობის ჟამს შესაძლოა დაებრუნებინა იგი უკან ბაგრატს და მის ერისთავებს, მაგრამ ტყვეობიდან გათავისუფლებულ ლიპარიტს ბაგრატი როგორც ცნობილია „ვერ წინ აღუდგა“. მანამდე, 1046-1047წწ. ლიპარიტთან ომის დროს ბაგრატი ქართლიდან მოვიდა და ღრტილაში დადგა (17; 100,101). შესაძლოა ასპინძისხევით ესარგებლა. გამარჯვების შემდეგ, შეპყრობის მომენტშიც ლიპარიტი ზემო ჯავახეთში იმყოფება. იგი შეიპყრეს მესხმა დიდებულებმა. თუმცა მშვიდობა დიდი ხნით არ დამყარებულა და საქართველოს აღფარსლანი შემოესია. ილაშქრა სწორედ ჯავახეთში და ცხადია უომრად არც ასპინძის ხევი გადარჩებოდა.

ამ დროს ისევ გამოჩნდება გამრეკლის გვარი, კერძოდ მეფესთან დაახლოებული ფეოდალი ვარაზ-ბაკური (82: 191) სწორედ ამ დროიდან უნდა მომხდარიყო თორელთა საგვარეულოს მიერ ასპინძის ხევზე გავლენის გავრცელება, მით უმეტეს, რომ საერისთავოს ცენტრი - დაბა თორი სწორედ ციხისჯვრის გზით უკავშირდება სამცხეს. (აქვე უნდა ითქვას, რომ სოფ. ოთის ჩრდილოეთით მდებარე „ყიზილ-ყალა“, იგივე ვარაზის ციხეა და საისტორიო წყაროებიდან ორი ვარაზა ვიციტ მხოლოდ, ვისი სახელიც შეიძლება ჰკუთვნებოდეს მას:

1. ზემოხსენებული ვარაზ-ბაკურ გამრეკელი
2. XVI სკ. ვარაზა შალიკაშვილი.

მეთერთმეტე საუკუნის ბოლო მეოთხედში დიდმა თურქობამ წარდუნასავით გადაუარა საქართველოს. ამას ზედ დაერთო 1088-1089 წელს საშინელი მიწისძვრა, რომლის ეპიცენტრიც ჯავახეთში უნდა ყოფილიყო „არ დამცხრალა განსრულებამდე წელიწადისა“ (36; 163) შესაძლოა ამ მიწისძვრამ, ან მტერმა დაანგრია შორეთის დარბაზული ეკლესია და ხელახლა საშენებელი გაეხადა.

საინტერესოა გურამ მამულიას აზრი „საყდრისშვილობისა“ და „პატრონყმობის“ ჩამოყალიბების შესახებ ქართლში. „მეათე საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს სამეფოს წარმოქმნა ქრონოლოგიურად, ვასალურ ურთიერთობათა სფეროში პატრონყმობის ჩამოყალიბებას ემთხვევა, ხოლო თავისუფალთა და არათავისუფალთა სოციალური დამოკიდებულების სფეროში ვასალთაგან ეკონომიურად დამოკიდებულ გლეხთა წოდების ჩამოყალიბებას.“ (8; 179, ეს პროცესი ცხადია ასპინძის ხევისა და უნდა შეხებოდეს, მაგრამ იგი გარკვეული თვალსაზრისით ეკონომიკურად ჩაკეტილ რეგიონს და მთას წარმოადგენდა, სადაც საუღელტეხილო გზის დაცვა იღებოდა პირველ პრობლემად და შესაძლოა ცენტრალური ხელისუფლების ჩარევით „საყდრისშვილობის“ ინსტიტუტიც არსებულებოდა. ამ მიზნით იქნებოდა აგებული შორეთის მონასტერიც, რომელიც საკათალიკოსო სამწყსოში შედიოდა.

„XIII ს.-ის მეორე ნახევრიდან ჯავახეთის საუფლისწულო დომენის გამგებლებად ერისთავებად თორელები ჩანან.“ (17; 103) რასიკვირველია თორსა და ჯავახეთს, თორელები ასპინძის ხევის საშუალებით შეაერთებდნენ. მონღოლების დროს გამრეკელ-თორელის ხელქვეით აღმოჩნდება „ჯავახეთი, სამცხე და აღმართ ვიდრე კარნუქალაქამდე.“ (80/1; 208)

მეთორმეტე საუკუნეში არაუგვიანეს მეცამეტეს პირველი ნახევრისა უნდა იყოს აშენებული ოთის ციხე კარის ეკლესიითა, თუმცა კარის ეკლესია შესაძლოა მეცამეტე-მეთოთხმეტე საუკუნეთა მიჯნაზე იყოს აგებული. ვათარიღებთ იმ მოსაზრებით, რომ ძლიერი ფეოდალის მიერ ხევის დაპატრონება გამოიწვევდა ვასალური წესით მისდამი დაქვემდებარებული საციხისთავოს დაარსებას.

საციხისთავოს (ან საციხისუფლოს) მნიშვნელობა გაიზარდებოდა მას შემდეგ რაც უფრო გაღრმავდებოდა კონფლიქტი თორელებსა და ჯაყელებს შორის შემდგომ კი ჯაყელ ათაბაგებსა და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის.

სოფელ ოთაში, შემადლებულ ადგილას, რომელიც სამი ბორცვისაგან შედგება, შემორჩენილია ციხის ნანგრევები. ერთ ადგილას შემორჩენილია საპირე ქვები, საიდანაც ირკვევა, რომ ციხე ნაგები ყოფილა დამუშავებული ქვის კვადრებით.



ციხე იმდენად არის დანგრეული, რომ უაღრესად ძნელდება გეგმის დადგენა. ძეგლთა დაცვის მთავარი სამართველოს თანამშრომელი ბ. კუპრეიშვილი თვლის, რომ იგი აგებულია „განვითარებულ შუასაუკუნეებში“.

ოთას ციხის დასაფლეთით, სასფლაო ყოფილა, იქვე იდგა კარის ეკლესია. ნათალი ქვებისა და გადარჩენილი ჩუქურთმის მიხედვით XIII-XIV სკ-ის უნდა იყოს. 1987 წელს ეკლესია ოთელი კოლმეურნის ნოდარ კაკოჩაშვილის ეზოში იდგა და ზამთრობით ბოსლის მაგივრობას სწევდა. 1988 წელს ასპინძისხევის ექსპედიციის ძალებით სამედიცინო ინსტიტუტეს სტუდენტთა რაზმის მიერ გაიწმინდა და შემოიღობა. ეკლესია ბაზილიკური უნდა ყოფილიყო, მინაშენი სამხრეთიდან გზის გაყვანის დროს დაუნგრევიათ, ამჟამად მხოლოდ საკურთხეველისა და ცენტრალური ნაწილის კონტურები ჩანს, მიწით სავსეა აღმისაფლეთის სარკმლის პირამდე, მოითხოვს ფადაუდებელ არქეოლოგიურ შესწავლას, ძეგლი განვითარებულ შუა საუკუნეებს მიეკუთვნება, დეკორის მიხედვით XII-XII სკ-ებს, ეს უნდა იყოდ ოთართა კარის ეკლესია, გარშემო შეინიშნება საფლაავები, როგორც ჩანს ეკლესიის გარშემო სასაფლაო იყო.

მეცამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან მეთოთხმეტე საუკუნის ჯავახეთი ღობიარ თორელთა შტოზე გადადის (17;103) მაშასადამე ოთის სიუზერენობაც. მეცამეტე საუკუნის მიწურულს უკვე ჩანს ღობიართა და ჯაყელთა მტრული ურთიერთდამოკიდებულება (17; 911, 106), რაც ცხადია სამამულო ნიადაგზე აღმოცენდებოდა. XIV საუკუნეში ღობიარები კარგავენ ერისთავობას და მათი

მამული ჯაყელთა სამთავროში შევიდა, სადაც შემდგომში დიასამიძენი გაბატონდნენ.

წყაროთა სიმცირის გამო ძნელი სათქმელია თუ რა ვითარება იყო შექმნილი ასპინძის ხევში მეთოთხმეტე საუკუნეში, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ ხევის მნიშვნელობა გაიზრდებოდა როგორც სასაზღვრო რეგიონისა ორ მტრულად განწყობილ ფეოდალურ ერთეულს შორის.

აღბათ არც ლანგ თემურის უგლიმი დუმანები დააკლებდნენ ნგრევასა და ჟღეტვას ასპინძის ხევს, თუნდაც მხოლოდ მისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო.

ოთა როგორც უკვე ვთქვით იხსენიება 1418 წლის სომხურ ჰისტორიულ ძეგლში „(სახარება დაიწერა)... ქართველთა გაგარში, სოფელში რომელსაც ჰქვია ოთა“ (79:36) ვინმე მკრტიჩის მიერ. ა. აბდალაძე განმარტავს, რომ „გაგარი“ მცირე ადმინისტრაციული ერთეულია, ანდა ქვეყნის ერთ ნაწილს აღნიშნავს (1; 112).

ოთა მოხსენიებულია 1516 წლის ერთ მნიშვნელოვან დოკუმენტში: „... მცხეთისა ეკლესიისა ძველთაგან საქონებელნი და სამწყსონი სამცხეს თავადნი და სოფელნი“. იქ ამგვარ ცნობას ვხვდებით: „ოთარი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა შალიკაშიელთა აქუს“ (78; 34)

„მესხურ მატიანეს“ კი შემდეგი ცნობა შემოუნახავს: „ამავე თუესა, (ქორონიკონსა ს.დ-1576 წ.)... შალიკაშიელის ზემბადის შვილმა მათივ ნაქონები ოთის ციხე წაართუა და ჩ-ნ, თათარნი შუა შემოვიდეს, გამოვუდექით, წამოვედით მგელციხეს, შერანშიანთ წყაროზე დავდეგით და მერმე აწყურს წავედით“ (78;44)

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქცხ-ის ახალი ქართლის ცხოვრების მესამე ტექსტში ვკითხულობთ: „შალიკაშიელის ზემბადის შვილმან მათივ ნაქონები ოლთის ციხე წაართუა...“ (80/1; 159.) შესაძლოა აქ გადამწერის შეცდომაა და უნდა იყოს “ოთის ციხე”.

„ოთარი“ დოკუმენტში იგივე მნიშვნელობის უნდა იყოს, როგორც ღობიარი, სამიძიარი და ხერთვისარია.

გვაქვს კიდევ ერთი დოკუმენტი, სადაც მოიხსენიება ოთა, ოღონდ დაუთარიღებელი, სადაც ოთის საციხისუფლოს სიუზერენებად ოლიდაშიელნი, ან ოლადაშიელნი გვევლინებიან შალიკაშიელთა ნაცვლად. „...კათოლიკე სამოციქულოსა საპატრიარქოსა ძუელითგან საქონელნი სამწყსონი სამცხეს თავადნი და სოფელნი:

„ოლიდაშვილთა აქუს ოთარა სასფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა.“ (81; 80) დ.ბაქრაძე აღნიშნავს, რომ „Акт этот был найден в двух манускриптах“. პირველი გადაწერილია 1822წ., ხოლო მეორე 1816წელს (16, 78) შემდეგ დ.ბაქრაძე ამბობს: „Замечательно, что наш акт в своемъ перечислении епископских кафедр въ порядок иерархического значения согласутся съ гудсаромъ Мцхетского собора, появившимся при царе Арчилъ, неизвестно впрочемъ котором, и католикось Михаил“ (16;79) შემდეგ აღნიშნავს, რომ ეს გუჯარი მითითებული აქვს მარი ბროსეს, მოვიყვანო ამ ადგილს: `Les plus anciens document sont, sans contredit, le # 286 de l'inventaire de Mtskhetha, au ligurent le roi Artchil et le catholicos Mikhail-... contre histoire de S'Nino par de catholicos Mikhail, et liturgie de la benediction du myron: tous deux sans date ni signature” (45; IV, 4)

იგი რუსულად თარგმნილი დაუბეჭდავს პლატონ იოსელიანს, მაგრამ „с некоторими важными погрешностями“ (16;79), როგორც აღნიშნავს დ. ბაქრაძე. სრული სახით დოკუმენტი ეთაყაიშვილმა გამოაქვეყნა (23; 82,83) აღნიშნავდა, რომ ხელნაწერი მე-18 საუკუნის იყო. პლატონ იოსელიანი გუჯარში მოხსენებულ არჩილ მეფედ წმინდანად შერაცხულ არჩილ მეფეს მიიჩნევს (მე-8 სკ.) თუმცა მის დროს კათალიკოსი დებორა იყო, იგი ადრე გარდაიცვალაო, ამტკიცებს პ.იოსელიანი და მისი შემცველების სახელი კი უცნობია. „очень возможно, что в продолжении долгого его царствованоя был католикось под именем Михаила“ (59; 59)

ვფიქრობთ შეუძლებელია VIII სკ. არჩილ მეფის მიჩნევა დოკუმენტში ნახსენებ არჩილად, რადგან გუჯარის მირონის კურთხევაში ათაბაგი მონაწილეობას და თავად მიორონის კურთხევაც არჩილ მოწამის შემდგომ, გრიგოლ ხანძთელის მოწაფე „დიდი ეფრემის“ მიერ IX საუკუნეში იქნა ქართველში განწესებული (36; 120)

დოკუმენტში ნათქვამია: „დიდნი შფოთნი და ამბოხებანი იქმნებოდეს ეპისკოპოსთა ცილობისათვის და ღვთივ გვირგვინოსანმან მეფემან არჩილ არა სათნო ირინა ამათ შფოთთა ქმნა და გვიბრძანა განაჩენად, ვითა ნიშანთა შეეტყობოდა, და ხელყვავით მე, გლახაკმან მიქაელ ქართლისა კათალიკოზმან და ვაკურთხე წმ.მირონი. ოდეს მეფე, ათაბაგი, ქართლის ერისთავი, სპასალარი და ყოველნი მღვდელ-მოძღვარნი შემოკრბნენ მცხეთას დიდ ხუთშაბათსა...“ (82; 83)

იგივე დოკუმენტის „მოქცევაი ქართლის“ ეპიზოდში შემთხვევით არ უნდა იყოს ნათქვამი: „ამან (ვახტანგ გორგასალმა) აღმატებულმან ყოველთა მეფეთა ზედან, აღაშენა ცათა მობაძავი დიდი ესე საყდარი კათოლიკე ეკლესია (სვეტიცხოველი) და დაადგინა კათალიკოზი მთავრად ყოველისა ქრისტიანობისა, მთავარ და უფალ ყოველთა ეპისკოპოზთა, და ჰგიეს დასასრულამდე ჟამთა“.(23; 84)

ნათელი სურათია დახატული XV საუკუნისა, როცა აპოგეას მიაღწია ცენტრიდანული ძალების განზიდულობამ და ფეოდალურმა დაპირისპირებულობამ ეკლესიაშიც იჩინა თავი, თუმცა რასაკვირველია საქმე აქ შეტაკებებამდე არ მისულა და მშვიდობიანი გზით მოინახა გამოსავალი. ეკლესიაში შეჭრილი უგუნური სეპარატისტული მოძრაობის დასათრგუნავად არგუმენტაციის მოყვანა სჭირდება კათალიკოსს ეს მოვლენა მანამდე არ შეინიშნებოდა, პირიქით როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერთსულოვნებამ და ერთიანობამ ქართული ეკლესიისამ ითამაშა სწორედ უპირველესი როლი საქართველოს გაერთიანების საქმეში.

გარდა ამისა დოკუმენტში არაერთხელ მოხსენიებულია, როგორც უკვე ვთქვით ათაბაგი, (83; 63) ათაბაგობა კი გვიანდელი მოვლენაა არჩილ მოწამის მეფობის წლებთან შედარებით. კათალიკოსი მიქაელი (1420-1426) აღექსანდრე დიდის (84;723) დროს იყო და ვფიქრობთ, რომ სწორედ ის უნდა იყოს გუჯარში მოხსენიებული კათალიკოსი მიქაელი.

ეთაყაიშვილთან მოყვანილი (დავით რექტორის მიერ 1813 წელს „დიად ძველი წერილიდან“) ტექსტის ვარიანტი დ.ბაქრაძის ზემოხსენებული გუჯარის ტექსტის ანალოგიურია. სვეტიცხოველის სამწყსოში დასახელებულია: „ოლადასშვილთა აქვს ოთარაი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა“ (59;75)

დ.ბაქრაძე ამბობდა ამ დოკუმენტებთან დაკავშირებით: „Хотя актъ этотъ не имеетъ короникона, но древностьъ его по нашему убеждению должно быть признана происхождение акта должна относиться къ темъ эпохамъ, когда нынешняя Турецкая Грузія носила общее название Мцхети или верхней Картли и когда кажется, одинъ мцхетскій католикосъ завидывалъ всею Грузіею“ (16;85)

როგორც თავად ბაქრაძე აღნიშნავს, იგი ბევრ რამეში ეთანხმება და ერთ დროს უნდა იყოს წარმოშობილი მცხეთურ გუჯართან.

გავიხსენოთ, რომ 1415წ. კოხტასთავს ივანე ათაბაგის დამარცხების შემდეგ ალექსანდრე I დიდი „შევიდა სამცხეს და დაიპყრნა ყოველნი ციხენი და ექსორია ჰყვნა ურჩნი და რომელნიმე უმკვიდრო ჰყვნა და დასხნა ერისთავნი თვისნი“ (82; 279)

შესაძლოა ამ დროს დაუმორჩილა მეფემ ოთარნი ოლადაშვილთ (ოლიდაშვილნი), „ციხითა, მონასტრითა, კარის ეკლესიითა და სასაფლაოთა“.

ცნობია, თუ რომელ მონასტერს გულისხმობს დოკუმენტი: ბეთლემის მონასტერს თუ შორეთის მონასტერს. ბეთლემის მონასტრობას ცხადყოფს მისი XIII საუკუნის შესანიშნავი სამრეკლოს ნაშთი.

1462 წლიდან კი, როცა უზუნ ჰასანის დახმარებით ყვარყვარე ათაბაგი იმარჯვებს გიორგი VII-ზე, 1465 წელს აპატიმრებს კიდევ, საგულგებელია, რომ ქართლის მეფის მომხრე ფეოდალს გააძევებდა და მის ნაცვლად თავის ვასალს დაუქვემდებარებდა ასპინძის ხევს, თუმცა შესაძლოა საკათალიკოსო მამულებს არ შეხებოდა. (მხოლოდ ციხეები დაეპყრო). შესაძლოა ოთა ამ დროიდან გადადის შალიკაშვილების ან თუ ოლიდაშვილებს შალიკაშვილთა ნათესავებად მივიჩნევთ, შალიკაშვილთა პატრიარქალური სახლის მეორე, ჯაყელთა მომხრე შტოს ხელში, რადგან როგორც ვნახეთ 1516 წლის გუჯარში ოთის სიუზერენებად შალიკაშვილნი არიან დასახელებულნი, ღობიეთი კი დიასამიძეთ უჭირავთ. 1483წ. მეფის წინააღმდეგ ომში მარცხებთან ერთაბრძოლაში თავს გამოიჩინეს „რომელნიმე შალიკაშვილი“ (33; 134) -არადეთის შეტაკებაში.

1535წ. იმერეთის მეფე ბაგრატ ყვარყვარე ათაბაგს ამარცხებს მურჯახეთის ომში და იპყრობს „სრულიად საათაბაგოს“ (17; 110) „გარნა ლუარსაბ მეფემან დაიპყრო ჯავახეთი და კერძონი მისნი“ (17; 110)

შესაძლოა ამ „კერძონი მისნი“-ში ასპინძის ხევიც იგულისხმებოდეს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამცხის შინაომებში შალიკაშვილთა ორი განშტოება ჩანს: ვარაზას შვილნი-კოკოლა, ლაშქარა და მათი ბიძა გუგარქ, აგრეთვე ზემბედის ძენი. მურჯახეთის ომში ვარაზა შალიკაშვილი ათაბაგთა მხარეზეა და მერე მესხეთის „პრინციპსობასაც მოივარგებს“, მაგრამ ვინ იყო ზემბედი?

1545 წელს ქაიხოსრო ათაბაგი ვარაზას შალიკაშვილის შემწევობით და

თურქეთის დახმარებით გაათაბაგდა, მაგრამ ვარაზა დედისიმედმა (მუხრანბატონის შვილმა და ჯაყელთა რძალმა, ქაიხოსროს მეუღლემ) მოაკვლევინა და შალიკაშვილნიც საბოლოოდ გადაიმტერა. 1552 საქართველოს



კათალიკოსია „ღირსი ზებადე“ შესაძლოა დაკავშირებული იყოს შალიკაშვილთა საგვარეულოსთან. აქვე ჩანან მესხთა ეპისკოპოზნიც. (33; 249)

შესაძლოა „ზებადე“ და „ზემბადი“ ერთი და იგივე შტოს საგვარეულო



სახელები იყოს, რომელთაც კარგი ურთიერთობა ჰქონდათ ქართლის მეფეებთან ვარაზა შალიკაშვილის განდგომილების უამსაც.

1590 წლის 21 მარტის ზავით ოსმალეთმა ხელში ჩაიგდო მთელი ამიერკავკასია; 1595 წელს მოხდინა ქვეყნის აღწერა და დახარკვა. ამ დროს არის შედგენილი „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ (62; 8)

დავთარის მიხედვით ოთა 6 კომლიანი, პატარა სოფელია (6; 145-146) საინტერესოა ერთი შეუსაბამობა, რომელიც დავთრის მასალებიდან ჩანს; კერძოდ შეუსაბამობა კომლთა რაოდენობასა და გადასახადის რაოდენობას შორის. ასე მაგ.: 31 კომლიანა აგარა 16000 ახჩად შეაფასებულ ხარკს იხდის, 6 კომლიანი ოთა კი 22188 ახჩას იხდის ე.ი. ერთ კომლზე შვიდჯერ მეტს. ასეთი დიდი თანხის გადახდა მთელ ნაჰიეში მხოლოდ ასპინძის ციხის რაბათს ჰქონდა დაკისრებული.–25000 ახჩა, რაბათში კი 50 კომლი ცხოვრობდა. (6; 145-146) ე.ი.

კომლზე საშუალოდ 500 ახჩა გამოდიოდა, აგარაში 516, ოთაში კი 3698. ჩანს აქ ან რაიმე შეცდომასა აქეს ადგილი ან განსაკუთრებულ ადმინისტრაციულ ზომას, ურჩი მოსახლეობის დასასჯელად. შოთა ლომსაძე წერს, რომ „თუ წიგნში ან დავთარში ჩაწერილი იყო 10000 ახჩა, ეს იმას ნიშნავდა, რომ აღნიშნული ადგილიდან საერთო შემოსავალი უდრიდა 50000 ახჩას, რადგან გადასახადი მთელი შემოსავლის მეხუთედ ნაწილს შეადგენდა“ (83;399) რადგანაც ერთ კომლზე გადასახადი საშუალოდ 500 ახჩა გამოდიოდა, ერთი კომლის შემოსავალი 2500 იქნებოდა, შესაბამისად ოთელი 6 კომლის საერთო შემოსავალი დაახლოვებით 15000 ახჩა იქნებოდა, ისინი კი დაბეგრდნენ იყვნენ 22188 ახჩით. მეთექვსმეტე საუკუნეში ოთა აღარსად იხსენიება წყაროებში. იოსებ თბილელის დიდმოურავიანის მიხედვით ასპინძის პატრონები დიასამიძენი სჩანან:

„თანუნა დიასამიძე...

მან მითხრა თრიალეთისკენ ასპინძა ახლოს არია,

ხმა და ამბავი მოგწვდების ავი თუ გასახარია...” (61; № 86)

ასპინძის შესახებ ერთი ცნობაა ვახუშტისთან დაცული: „მოურავი მთებში ნადირობდა, „მუნდან იხილა ასპინძა მოცული (1625წ.) უკუეთა და აოტნა ყიზილბაშნი და მოსწყვიტა იგინი და მცირედნი ივლტოდნენ“ (61; № 87) როგორც ჩანს ირანი ისევ ცდილობს დაკარგული პოზიციების აღდგენას.

ამ ეპიზოდით ჩანს, რომ ოთას სავსებით დაუკარგავს სტრატეგიული მნიშვნელობა, მოურავი (იგულისხმება გიორგი სააკაძე) მთებში თუ ნადირობდა, სწორედ ოთის ჩრდილოეთით კოდინის მთაზე, კოხტა-დამაღას სანახებში უნდა ყოფილიყო, შორეთიდან დასავლეთით.

1870 წელს ოთაში 20 კომლი მოსახლე ყოფილა (64; 23)

მარი ბროსე „თათრების პატარა სოფელს უწოდებს“. (45; 177)

ეთაყაიშვილი კი ასე აღწერს მას: „Въ 6 верстахъ отъ Верхней Ошоры, на берегу Аспиндзи-цкали расположено селение Ота, въ которомъ теперь около 60 домовъ мусульманъ. Посреди села на возвышенной сохранилась развалины старинной крѣпости, довольно большихъ размеровъ.“ (41; 9)

არქივში ოთის შესახებ შემდეგი ცნობაა: „Ота, древня помещичья, при речке Санисло, на косогоре по ушелю отинскаго дара /თურქ. დერე-ხევი/, окружена горами под названием Отрашен и каменными [скалами] под названием Бокта-баши ” (65; 25)

ხეობაში არის ფეოდალური ხანის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ძეგლი-ვარაზის ციხე. ვახუშტი ამბობს: “ასპინძის ზეით, ჩრდილოთ კერძოდ, არს მგელ-ციხე, მაგარი, დიდშენი.” (82, 667)

რ. ბერიძე მიიჩნევს, რომ მგელციხეში ვახუშტი ასპინძის ციხეს გულისხმობს, (61) რაც არ არის სწორი. ასპინძის ციხე ვახუშტის ზუსტად აქვს ლოკალიზებული: „ასპინძის თავსა და აგარის ბოლოს არის ერთი ციხე, კლდესა ზედა შენი, მაგარი. .” (82, 667) სწორედ ეს არის ასპინძის ციხე. მგელციხე კი „ზეით“, „ჩრდილოთ კერძოდ“ მდებარეობს. ვახუშტი ვარაზის ციხეს უწოდებს მგელციხეს. აქვე გავიხსენოთ „მესხური მატიანის“ ცნობა, რომ „ შალიკაშვილის ზემბადის შვილმა ოთის ციხე წაართუა და ჩ-ნ, თათარნი შუა შემოვიდეს, გამოუდგეით, წამოვედით მგელციხეს, შერანშაიანთ წყაროზე დაგდგეით და მერე აწყურს წავედით” (78; 44) აქაც ვარაზას ციხეზე ხომ არ არის ლაპარაკი? როგორც ჩანს ოთის ციხის აღებით შალიკაშვილებმა გზა გადაუკეტეს სამხრეთიდან და ჩრდილო-აღმისაველეთისაკენ დაიხიეს ჯაყელებმა, მგელციხის (ვარაზას ციხისკენ დაიხიეს). ჯაყელთა მემკვიდრე ვარაზა შალიკაშვილს (მას უნდა უკავშირდებოდეს მშენებლობის მეორე ფენა) როგორც ჩანს შეგნებულად არ ახსენებს და მგელციხეს უწოდებს. იგივე სახელწოდებას იმეორებს ვახუშტი. (იხ. აღწერა...). წინააღმდეგ შემთხვევაში მთხრობელს მეტად უცნაური მარშრუტი გამოუდის. შერანშაიანთ წყაროც გაურკვეველია თუ რას ნიშნავს. ციხისჯვრის გზა შერვაშეთის ქედზე გადადის და ამ გზაზე არის სწორედ ცნობილი ბუნებრივი ცხელი წყარო. (იქ ახლა მოქმედი აბანოა) (17; 12), საცხენოსნო ექსპედიციისას პირადად ვყოფილვარ, გოგირდოვანი წყაროა, შესანიშნავია ცხენოსნისთვის დასასვენებლად. ოლთისიდან და ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზე მდებრე მგელციხიდან კი აწყურამდე საკმაოდ შორია. აწყურისკენ კოდიანის გავლით (აღნიშნული შერანშაიანთ წყარო ციხისჯვრის ციხის მახლობლად ცხრაწყაროს თანამედროვე ურელტეხილამდე მდებარეობს, აქედან ცხენით აწყურამდე არც თუ ისე შორია, კარგი მხედრისთვის ნახევარი დღის გზაა, კოდიანიდან ზემო ოშორის გავლით რუსთავში ცხენის გამოსაცვლელად ნამყოფი ვარ 1989 წელს, რამდენიმე საათი დამჭირდა მსუბუქი ჩორთით.

ვარზას ციხე (იგივე ასპინძისხევის მგელციხე), გვიან შუასაუკუნეებში უნდა იყოს აგებული (თუ არ ჩავთვლით ძველ გოდოლს, რომელზეც უკვე გამოვთქვით ჩვენი აზრი), ნაგებია ყორექვით, სოფ. ოთადან 8-9კმ-ზე მდებარეობს. ციხის გეგმის ღერძი განვითარებულია სამხრეთ დასავლეთიდან ჩრდილო-

დასავლეთისკენ, თავსა და ბოლოს როგორც ხერთვისს, ჩადგმული აქვს ორი მძლავრი კოშკი, ოთხკუთხა ფორმისა. სამხრეთ დასავლეთის კოშკი შედარებით მცირეა, კოშკის მხოლოდ ორი სართულია. ჩრდილო-აღმოსავლეთის კოშკი უფრო დიდი ზომისაა, მისი რამდენიმე სართულია შემორჩენილი. (ციხის გეგმა იხ. დანართში). ციხის დასავლეთით, 50 მ-ზე მრგვალი, როგორც ჩანს უფრო ადრინდელი სათვალთვალო კოშკის ნანგრევია შემორჩენილი. თავად ციხეში წყობა ზოგან წითელი ქვიშაქვის კვადრებით არის ამოყვანილი რაც მის მეორედ შენებაზე მეტყველებს.

ციხის დასავლეთით, სანისლოს გაღმა მხარეს, უნდა ყოფილიყო ნასოფლარი მამაწმინდა. (ამ ფაქტს პირველმა ყურადღება მიაქცია ექსპედიციის წევრმა ოთარ მაისურაძემ). იგი იხსენიება „დიდ დავთარში“ და საარქივო საბუთებშიც (62; 203-204)

მამაწმიდის ნასოფლარი არქეოლოგიურად შეუსწავლელია, ზედაპირული დაზვერვით ჩანს სოფლის კონტურები და შესაძლებელია მათ შორის ეკლესიის ნაშთების ამოცნობაც.



## 6. შორეთის მონასტერი და სამონასტრო კომპლექსის არქეოლოგიურ-არქიტექტურული კვლევა.

შორეთის სამონასტრო კომპლექსი - VI-XV საუკუნეების ფეოდალური კულტურული მემკვიდრეობის შესანიშნავი ძეგლი, კედლის მოზაიკით შემკული სამონასტრო ორსართულიანი ლავრა, სამრეკლოთი, სკრიპტორიუმით, მცირე სამლოცველოიანი ციხით და კლდეში ნაკვეთი სენაკებით.

მდებარეობს ასპინძის რაიონში, ასპინძისხევში, სოფ. ოთის სამხრეთ-აღმოსავლეთით 5-6 კმ-ში, ჯავახეთის ზეგანის მსაზღვრავ კოდიანის მთის ტყიან და კლდოვან ფერდობზე, შორეთისწყლის სათავეში, კოხტასციხისა და ზედაველას გასწვრივ წარმოშობილ ბუნებრივ, კლდოვან ქვაბულში.

მე-5 კატეგორიის სამანქანო გზა სოფელ ოთიდან ექსპედიციისა და სატყეო მეურნეობის სახსრებით მიყვანილია 1991 წლიდან და დღემდე ფუნქციონირებს.

ძეგლი წარმოადგენს მრავალჯერ გადაკეთებულ რთულ არქიტექტურულ ნაგებობას. მთავარი ეკლესია, სავარაუდოდ VI-VII საუკუნის საკულტო ნაგებობის (ქრისტიანული სამლოცველოს) ნაშთებზეა აშენებული რასაც მოწმობს ამჟამინდელი სატრაპეზოს კედლების წყობა და საკურთხეველის ქვეშ კარებში ჩაშენებული მენძილის (ქვის სვეტი სტილიზებული ჯვრით) ორი ფრაგმენტი. მთავარი ეკლესია - ორეკლესიანი ბაზილიკა საკმაოდ ძველია, ფოროვანი ბაზალტითაა აგებული და შესაძლოა არაუგვიანეს IX-X საუკუნით დავათარიდოთ. XII-XIII საუკუნეში უნდა მომხდარიყო მისი ფუნდამენტური გადაკეთება და გაფართოება მონასტრად, სამხრეთიდან და დასავლეთიდან მცირე ეკლესიისა და სკრიპტორიუმის მიშენება. XIV-XV საუკუნეში მიუშენდა კარიბჭე, საძვალის ეკლესია და სამრეკლო.

ძეგლის სახურავი მრავალ ადგილას არის ჩამოქცეული, ნადგურდება ფრესკები და უნიკალური მოზაიკა, კედლები გაბზარულია, სამრეკლო ჩამოქცეულია და თუ არ გამაგრდა დარჩენილი ნაწილიც დაინგრევა.

არქეოლოგიური მეთვალყურეობის ქვეშ 1987-2008 წწ. ჩატარებულია წმინდითი სამუშაოების 80% და პირველი სართულის გასამაგრებლად ნაწილობრივ მიღებულია პირველადი ზომები, კირის ტრადიციული დუდაბის გამოყენებით შევსებული და კონსერვირებულია საძირკვლის ყველაზე ავარიული მონაკვეთები

და დაზიანებულ მონაკვეთებში ეკლესია და ეკვდერები დროებით ხის ფიცრებით არის გადახურული.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის 1986 წლის ექსპედიციამ მესხეთის სხვა ძეგლებთან ერთად შეამოწმა შორეთის მონასტრის მდგომარეობა. მათი შეფასებისა და დასკვნის თანახმად აუცილებელია საკონსერვაციო-გამაგრებითი სამუშაოების ჩატარება. დასკვნას თან ერთვის ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსის, პროფ. ი. ციციშვილის რეცენზია სადაც აღნიშნულია, რომ აუცილებელია ძეგლის სარესტავრაციო პროექტის შედგენა და ძეგლის კონსერვაცია.

ძეგლის აზომვა და გაწმენდა-კონსერვაცია დაევალა ძეგლთა დაცვის სპეციალურ სამეცნიერო-სარესტავრაციო საწარმოო გაერთიანებას. ძეგლზე 1986 წელს მივლინებულ იქნა არქიტექტორ-რესტავრატორთა ჯგუფი თამარ ნემსაძის ხელმძღვანელობით, 1987 წლიდან ძეგლზე მუშაობა დაიწყო საქართველოს საისტორიო საზოგადოების (თავ-რე აკად. ა. აფაქიძე, კომპლექსურმა ექსპედიციამ, ხოლო 1989 წლიდან თსუ კომპლექსურმა ექსპედიციამ (თსუ რექტორი აკად. რ. მეტრეველი), ექსპედიციის ხელმძღვანელი მალხაზ დათუკიშვილი.

შორეთის სამონასტრო კომპლექსი მდებარეობს ისტორიულ ასპინძისხევში. ვახუშტი სამცხე-საათაბაგოს “საჩინო ადგილების” აღწერისას ხეობის მდებარეობას ასე განსაზღვრავს: “მტკვარს აღმოსავლეთიდან ერთვის ასპინძისხევი, გამოსდის კოდიანისას, ანუ ჯავახეთის მთას...” 821; 666-667) საისტორიო გეოგრაფია ტრადიციულად სამცხეში განიხილავს ასპინძისხევს; “შეიპყრეს და მოჰკლეს ნასრა ხევისა სამცხისასსა, სოფელსა ასპინძას ქსა რ-ე” (76) თუმცა სიუხერენტა ცვალებადობის გამო, განსაკუთრებით თორელი-გამრეკელის ზეობის წლებში არა თუ ასპინძისხევი, ზოგჯერ ოშორის ხევიც ჯავახეთში იგულისხმებოდა (17, 105) მომატიანეთა მიერ.

სამცხე-ჯავახეთის ბუნებრივ საზღვარს ასპინძისხევის (მდ. სანისლოს) მარცხენა სანაპირო – ციცაბო, კლდოვანი მთები წარმოადგენენ, თრიალეთში ბილიკები შავი კლდის მიმართულებით გადის, ხოლო კლდეკარს ციხისჯვარისკენ (თორი) მიყვავართ. გზა აქ კოდიანზე (შარვაშეთის ქედზე) გადადის. ”ცხრაწყაროს უღელტეხილი გვიან გატანილი გზაა, ამიტომ ჯავახეთიდან თორში გადასვლა უმეტესად ციხისჯვრით ხდებოდა, რომელიც გაცილებით დაბალია და ადვილად

გადასალახი” (17; 99) გზის სიძველეს ადრეფეოდალური მენჭილები და ქვაჯვარები მოწმობენ, რომლის არსებობა შორეთშიც - როგორც ჯავახეთში (აზავრეთში) გადასასვლელ საურმე გზაზე მდებარე პუნქტში) დადასტურებულია ძველის არქეოლოგიური კვლევის დროს.

ხეობის უძველესი სათემო სახელწოდება საბოთარი (საბოტარი) უნდა ყოფილიყო: “შეეუბნეს ნაქორდეველთა და საბოტარელთა, მოიყვანეს ლაშქარნი კახეთით და გასცეს უფლისციხე...” (82, 173) იგივე სახელწოდება მეორდება ვანის ოთხთავის მინაწერში: “...შემოსწირა... ჩვენ, საბოთარსა და შორათელთა, პირველ ხატსა მაცხოვრისასა და წმინდასა გიორგი შოროთისასა და წმინდასა ნიკოლოზს” (23; 80) შესაძლოა საბოთარიდან იქნა მიღებული გვიანფეოდალური ოთარი, ოთარაი, ოთა. “ოთარი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა შალიკაშიელთა აქეს” (78; 34) ”ოლიდაშიელთა აქუს ოთარა სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა” 78; 80)

”შალიკაშიელის ზემბადის შვილმა მითივ ნაქონები ოთის ციხე წარუღო” (78; 34)“(სახარება დაიწერა)... ქართველთა გავარში, სოფელში, რომელსაც ჰქვია ოთა” (1; 86).

ასპინძისხევი ძველთაგან საეკლესიო, მცხეთის საკათალიკოსო მამული იყო. როგორც ვიცით, უკვე XI საუკუნიდან ჯავახეთის უკიდურესი ჩრდილო აღმოსავლეთ ნაწილი სამეფო დომენად ითვლებოდა მნიშვნელოვანი სტრატეგიული მდებარეობის გამო; არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა ასპინძისხევს, რომელიც გზაჯვარედინზე მდებარეობდა თორელთა, ჯაყელთა და ”ალასტნელთა” მამულებს შორის. საურმე-საუღელტეხილო გზა ციხესიმაგრეთა მძლავრი სისტემით იყო დაცული: უღელტეხილი თორის მხრიდან ციხისჯვრის ციხით ხოლო სამცხის მხრივ კლდეკართან მდებარე ვარაზას ციხით იყო გამაგრებული, ჯავახეთში აზავრეთისკენ მიმავალი საურმე გზა ინთორისწყალს მიუყვება აღმა ხეობაში. ინთორისწყლისა და სანისლოს ხერთვისში მაღალ კლდეზე დგას ზემო ანთორის ციხე, უფრო მაღლა, მთის კალთაზე, ბუნებრივ ტაფობზე, სადაც აზავრეთის გზას ოთიდან და ტამალიდან მომავალი საურმე გზები უერთდებიან, შორეთის ციხე დგას.

ასპინძისკენ მიმავალი გზა სოფელ ოთაზე გადის, სადაც ოთართა საციხისთავო რეზიდენცია – ოთის ციხე მდებარეობს, საფორტიფიკაციო ნაგებობების ნაშთები შეინიშნება აგარის ნასოფლართან, ასპინძას კი საკუთრივ ასპინძისციხე იცავდა.

ციხე-სიმაგრეთა ეს მძლავრი სისტემა უშუალოდ და სათვალთაჲო კოშკების მეშვეობით უკავშირდებოდნენ ერთმანეთს.

ხევი განსაკუთრებით მდიდარია ეკლესია-მონასტრებით: აგარის ეკლესია (ყიზილ-დერესა), ღართის, სანისლოს, ოთის მარიამ წმინდის, მამა წმიდის, ქვემო ინთორის ეკლესიები, ბეთლემისა და შორეთის მონასტრები.

ხეობის მცენარეული საფარი ანალოგიურია ბორჯომის ხეობისა, სჭარბობს წიწვოვანი, თუმცა საკმაოდ არის ფოთლოვანი ტყის მასივები, ძალზედ დიდია სასმელი წყლის რესურსები.

ჯავახეთის ზეგანი კლდოვან ტერასებად იშლება ასპინძისხევში, ერწყმის მტკვრის ხეობას და სამცხის ქვაბულის უზარმაზარ სივრცეს უერთდება, რაც ვარაზას და შორეთის ციხეებიდან ულამაზეს თვალსაწიერს ქმნის.



შორეთის მონასტერი ასპინძისხევის სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდობზე მდებარეობს, სოფ. ოთადან 4-5 კმ-ის მოშორებით. სამანქანო გზა რესტავრაციის დასაწყებად 1991 წელს იქნა ძეგლამდე მიყვანილი, მანამდე კი მხოლოდ სანისლოსა და შოლოთის წყლის ხერთვისთან იწყებოდა ციცაბო, ტყიან კლდეებზე, შოლოთისწყალამა მიმავალი ვიწრო საცხენოსნო ბილიკი.

მდინარის სათავესთან, სამი მხრიდან მაღალი მთებით, ნაკადულებით დიდრონი ფიჭვნარითა და მშვენიერი



ფოთლოვანი ტყით გარშემორტყმულ ჰაეროვან მდელოზე დგას შორეთის სამონასტრო კომპლექსი, მოჩუქურთმებული თლილი ქვის პერანგით, იშვიათი დეკორით, მოზაიკით შემკული, არქიტექტურულად თავისთავად საინტერესო ძეგლი. ჩრდილოეთიდან მაღალი, მიუდგომელი ციხეკოშკითა და მერცხლის ბუდეზავით სამლოცველოთი დაგვირგვინებული ფრიალო კლდე გადმოჰყურებს. ძეგლიდან დასავლეთით, განსაკუთრებით დაისის ფერისცვალების ეამს, საოცრად მომხიბვლელი, მიმზიდველი ხედი იშლება.

მონასტერი მდებარეობს აზავერეთ-ციხისჯვარ-ოთა-ტამალის საურმე გზების გზაჯვარედინზე. ადრეფეოდალურ ხანაში და შესაძლოა უფრო ადრეც აქ სასაზღვრო ქვის სვეტი – ჭორტი (ჭორატი) მდგარა (88; 406) “ქეაკაცა აგებული, ჭორტი არს ქვა აგებული უკიროდ, კაცთა უმაღლესად, ნიშნად, რათამე დასანიშნელად”, - VI-VII საუკუნეების მენძილი (ზემოსხენებული შორეთის სვეტი) მოკვლეულია შორეთში 1987 წ. სატრაპეზოში წმენდითი სამუშაოების წარმოებისას. სვეტი ორად არის გაჭრილი და ჩაშენებულია საკურთხეველის ქვეშ, პირველ სართულზე სატრაპეზოდან გამავალი აღმოსავლეთის კარებში. ქვის სვეტს საკულტო მნიშვნელობაც ჰქონდა, რაც ცალკე მსჯელობის საგანია და ამ წერილში მას არ შევეხებით, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ შესაძლოა სწორედ ამ ქვის სვეტს უკავშირდებოდეს მონასტრის სახელწოდება (ჭორატი, ჩორატი, შორათი, შოროთა, შორეთი და ა.შ. აქვე შეიძლება პარალელის გატარება ზემომოყვანილ ფოთლოვან ნიშნთან: “ჭორატს ჭანმგლებს გარდვეყარე...” შესაძლოა შორეულ გამოძახილთან, მესხ-ჯავახურ ახალმოშენების დაპირისპირებისა ადგილობრივ ზანურ-ჭანური მოსახლეობის და ამასთანავე ზანური ტოპონიმის ქართლურ კილოზე გადაყვანისა. რაღა თქმა უნდა ჭორატიდან შორეთის ან შორათის წარმომავლობა მხოლოდ რიგითი, მაგრამ შესაძლებელი ჰიპოთეტური ვერსიაა მასალის სამომავლო შეჯერებისთვის მოხმობილი.

აქვე უნდა ითქვას, რომ საინტერესოა, თუ როგორია “ჭორატი”-ს ლაზურ-ზანური ფორმა, აქვს თუ არა “ო” პრეფიქსი

შორეთის შესახებ მეცნიერთაგან ყველაზე ძველი ცნობა ვახუშტი ბაგრატიონს ეკუთვნის: „ასპინძის ხევის სათავეზედ, მთის ძირში, არს შორაპანს მონასტერი უგუნბათო, შუენიერს ადგილს, დიდშენი, სრულიად სოფიის კენჭით და აწ ცალიერი” (82; 677)

1847 წელს აკად. მარი ბროსემ იმოგზაურა სამცხე-ჯავახეთში. „Не имея времени для полных изъездованой. Я избрал преимущественно те мьста, котория по мненюю моему и богаче древностями и меньше доступны путешественникам” (44; №40)

ბროსეს მართლაც გაბედულება გამოუჩენია და ნოემბრის 16-ს, სანადიროდ გამოსულ მაჰმადიან ქართველ ქიამალ-ბეგთან ერთად, ოთელი



მეგზურის თანხლებით მუხლამდე თოვლში უვლია. მონასტერში სანადირო ბილიკებით ასულან (სხვა გზა არც უკანასკნელ წლებში იყო – მ.დ.) და დილისთვის მიულწევიათ მხოლოდ მიზნისათვის. საინტერესოა ბროსეს მიერ ქიამალ-ბეგის დახასიათება: „ჯერ ახალგაზრდა, მაგრამ სამშობლოს დაცემისაგან

განადგურებული...“, ასევე ბროსეს მხოლოდ დაუნახავს „შოლოთას“ და „ვარაზას“ ციხე სიმაგრეები. შემდეგ მოკლედ ახასიათებს მონასტერს „შემდგარს სხვადასხვაგვარი ეზოებისაგან და საიმედოდ აშენებული შენობებისაგან, რომელიც მიწაში ჩაფლულს წააგავს.“ მიუთითებს გარეულ ცხოველებზე ნადირობის სცენების ამსახველ ლავგარდანზე.” (45, 178) აღმოუჩენია ლამაზი შრიფტით შესრულებული ორი წარწერა. (იხ. ქვემოთ)



შენობას ბროსე არ აღწერს „სიცივისა და უდროობის გამო“. საინტერესოა ის ფაქტი, რომ თოვლის სიმაღლეს დაუფარავს შესასვლელთან მდებარე ნიკოლოზ ორბისძის ცნობილ-წარწერიანი, კედელში ჩატანებული ქვა და

ბროსეს იგი არ უნახავს, ხოლო ბროსეს მიერ ნახული წარწერები დ.ბაქრაძისა და ე.თაყაიშვილის დროს უკვე დაკარგული იყვნენ. ბროსე ძეგლს ათარიღებს XIV სკ-ის ბოლო და XV სკ-ის დასაწყისით. ალბათ უფრო სამრეკლოთი მსჯელობს. აღნიშნავს, რომ იქვე მახლობლად საოცრად გემრიელი წყარო გამოდიოდა, ამ აზრს მთელი ჩვენი ექსპედიცია ერთსულოვნად ვიზიარებთ. წრეში ჩახაზულ ჯვრებს ბერძნულად ნაქანდაკევს უწოდებს. შორეთს მოიხსენიებს როგორც: Taiji ან Crolothan. (45, 178)

1867 წელს მონასტერი უნახავს დ. ბაქრაძეს, მაგრამ ჩანაწერების რვეული დაუკარგავს. განსაკუთრებით ყურადღებას ამახვილებს მონასტრის მშენებელ

ადგილმდებარეობაზე, გადასახედზე ასპინძის ხევისაკენ. «Бывший со мною благочинный православных церквей в Ахалцихском уезде протерей Гамрекеловъ, назваль «Шоретскую церковью или Бетлеми». (церковь) снабжен скульптурными изображениями и сколько помнится даже живописью внутри. мозаичной работа я не заметил. Изъ над писей его я запомнил одну надъ входом въ церковь. «Николай Цховрибиедзе, глава каменщиков». Можно судить по остаткам ограды съ сторожевою башнею и зданий внутри (შორეთი) былъ монастаремъ” (16; 151).

1881 წელს ივანე გვარამაძე “ვინმე მესხის” ფსევდონიმით სწერდა გაზეთ დროებაში შორეთის შესახებ (აქ იგი რატომღაც ჭაიტას უწოდებს შერეთს): “ნიზაბავრის ტყეში ყოფილი ჭაიტას ეკლესიის მცირედი ზედწარწერაც ვიღაცას წაუღია, ამაზედ ეწერა: ნიკოლოს ორბელის ძე ხუცესთ-ხუცესი. ეს ადრე მონასტრად ყოფილა კოდიანისა და ნახევარჯავახეთის მცხოვრებთა: ქვეშ ეკლესიისა არის ორი სართული სენაკები ქვითკირით ამოტანილნი 8 თუ 9 და ზედა მესამე სართულად ერთ გვერდზედ ეკლესია; იატაკი სრულ მინაქარის მწვანე ჩინური ნაგები, აღსავლის კარს შუა სრულ ლიბრი მარმარილოს ძეგლები და ოთხი ყურე კედელი სრულ მუზაიტის კენჭით ჩაწყობილი ხატები. ამ ათის წლის წინ ეს ნაშთი ჩვენ წინაპართა დიდებისა კიდევ დამხვდა; ახლა სრულ გატიალებულა:...” (28)

1902 წელს შორეთში ჩასულა ე. თაყაიშვილი. საინტერესოა მისი მოსაზრებანი მონასტრის სახელწოდების ირგვლივ: «Шорети буквально значит отдельное место, но Шоретский Монастырь не столько отдалень от сель Оты, сколько трудень подъемъ къ нему, вследствие (бездорожия) и крутизны скатов горъ, сплош покрытыхъ хвоинимъ льсомъ. Шорети древнее название монастыря, тепер переделанное в Шолота. (იქვე სქოლიოში აღნიშნავს): Впрочем это название, пожалуй, вѣрные, обо въ древнихъ рукописяхъ как увидимъ ниже, монастырь извъстенъ подъ названіемъ Шорота. Некоторые называютъ этотъ монастырь Таичскимъ». <sup>1</sup> ე. თაყაიშვილი აღფრთოვანებულია შორეთით, განიხილავს მას როგორც «въ высшей степени привлекательнымъ и живописнымъ». მონასტრის დასავლეთით «Возвышается высокій скалистый пикъ, увьнчанный еще более высокою башнею. Это крепость Шолота, или

Шоретие Цихе». <sup>2</sup> შემდეგ მოიხსენიებს ვარაზის ციხეს. «Между этими двумя твердынями приютился Шоретский монастырь» (10;10) ყურადღებას ამახვილებს იმ უცნაურ გარემოებაზე, რომ გეგმა მთავარი ეკლესიისა ჯვრის ტიპისაა, დასავლეთისაკენ წაგრძელებული, თითქოს ყველა პირობაა გუმბათის დასადგმელად შექმნილი, მაგრამ გუმბათი მაინც არ დაუდგამთ. აღნიშნავს, რომ შორეთი მკვეთრად მკვეთრად განსხვავდება სხვა ეკლესიებისაგან. სემდეგ აღწერს სამრეკლოსა და სენაკებს. უთითებს რომ მთავარი ეკლესიის ქვეშ მდებარე ოთახის ქვეშ კიდევ უნდა ყოფილიყო სარდაფი. თაყაიშვილს თავისებურად ამოუკითხავს კედელში ჩასმული წარწერა: (იხ. დანართი) «Боже, упокой николая, главу каменщиков, аминь». რატომღაც ნუსხურად წარმოგვიდგენს ასომთავრულ წარწერას (41;11) აქვეა მოყვანილი ბროსეს მიერ წაკითხული წარწერები, მაგრამ რატომღაც დამახინჯებით, ქარაგმის გარეშე და ნუსხურით, თუმცა ისინი ასომთავრულად იყვნენ შესრულებული.

ე. თაყაიშვილი აღნიშნავს: «Но эту надпись я не могь разыскать, может быть потому, что Броссе говорит, что этот надпись он сташил съ ея первоначального места». (41;13) ვფიქრობთ, რომ აქ ბროსე არ უნდა იყოს დამნაშავე. ბროსე აღნიშნავდა, რომ სამრეკლო მცირედ იყო დაზიანებული, ფოტოების მიხედვით კი სამრეკლოს დიდი ნაწილი ჩამოქცეულია თაყაიშვილის დროს. დანგრევის დროს დაახლოებით მიუთითებს ივ. გვარამაძის ზემოხსენებული წერილი, არ ვიცით მხოლოდ დანგრევის მიზეზი. წარწერა სამრეკლოს ნანგრევებშია მოყოლილი, როგორც ეს ცხადყო 1987 წლის კომპლექსური ექსპედიციის გათხრებმა (იხ. ქვემოთ). ე.თაყაიშვილი მიუთითებს მოზაიკის ნაკვალევზე: «Нашли несколько стеклянных кубиков, которые должны были служить материалом для мозайки». (41;13)

თაყაიშვილის მიხედვით შორეთი მოხსენებული ყოფილა სამი ხელნაწერი პერგამენტის მინაწერში. ერთი არის ვანის ოთხთავის მინაწერი: “მე-274 კაბადონის პირველ გვერდზე მხედრულის ხელით სწერია /XIII-XIV ს. /” წ. შემოსწირა: წმინდა: ესე ოთხთავი: პატრონმან ნათამან ჩვენ: საბოთარსა: და შორეთელთა: პირველ ხატსა მაცხოვრისასა: და წ-ისა გ-ი შორათისასა და წ-ისა ნკზ-ს” 23(82; 21, 86; №1335)), ამ მინაწერზე დაყრდნობით ე. თაყაიშვილი ასკვნის, რომ მთავარი ხატი მაცხოვრის სახელობისა.

მეორე და მესამე შემოწირულობანი ვინმე კოზმან და პავლე არსენის ძე უგრესელიძეთა გვარებს იხსენიებენ ანდერძებში. სწირავენ “შოროთას”, ან “წმ. გიორგის შოროთისასა”.(62, 203)



ხელნაწერთა ანდერძებს დაემატა ე. თაყაიშვილის მიერ 1917 წელს შიომღვიმის მონასტრიდან ჩამოტანილი თეოფილე ხუცეს-მონაზონის მიერ თარგმნილი ასკეტური კრებული “მამათა ცხოვრების” მინაწერი: “ითარგმნა ... სახელითა და მეოხებითა... და წმიდის გიორგისი შოროთისაითა ... ნუ ვინ გამოაჰუბს ხატსა ღვთაებისასა და წმიდასა გიორგის შოროთოსასა” (87, №1342). შორეთთან მიმართებაში ამ ანდერძს ყურადღება პირველად ექსპედიციის წევრმა ო. მაისურაძემ მიაქცია.

ე. თაყაიშვილი შორეთის მონასტერს XII-XIV საუკუნეებით ათარიღებს, ანუ არაუადრეს XII და არაუგვიანეს XIV.(41;13)

სურათზეა არაუგვიანეს VII საუკუნის ჭორტის (ქვის სვეტის ფოტო, რომელიც ორად არის გაჭრილი და ჩატანებულია მეორადიგამოყენების ქვად საკურთხეველის ქვეშ ჩატანებულ პირველი სართულის სენაკიდან სატრაპეზოში

გამომავალ კარში. შემკულია ადრეფეოდალური ხანისთვის დამახასიათებელი ჯვრის გამოსახულებით.

შორეთის შესასვლელთან არსებული წარწერის პირველი სრული და სწორი წაკითხვა ეკუთვნის გიორგი ბოჭორიძეს, გამოქვეყნება ვ. ბერიძეს. იქ სწერია: „ორბისძეს ნიკოლოზს, გალატოზთ უხუცესს შეუნდვენ ღმერთმან, ამინ.“ (იხ.ქვემოთ). ეკლესიის შესახებ ბერიძე ამბობს: „ვარჩიეთ ეკლესია არ განგვეხილა, რადგანაც მის შესახებ ზუსტი და საბოლოო დასკვნის გამოსატანად, მისი შრეების გასარჩევად, ძეგლის საფუძვლიანი გაწმენდა და თვით გათხრაც კი იქნებოდა საჭირო, მით უფრო, რომ შენობა თავისი ტიპითაც მეტად თავისებურია.“ (25; 214) სქოლიოში საკითხის დასმისთვის განიხილავს ე.თაყაიშვილის აზრს, რომ შიგნიდან ჯვრის ტიპის ტაძრებისათვის დამახასიათებელი სივრცის გამო თითქოს გადაკეთებული ყოფილიყოს შენების პროცესშივე და თავიდან გუმბათი უნდა ყოფილიყო ჩაფიქრებული. „ამ აზრის დასადასტურებლად ძეგლის დაკვირვება არაფერს გვაძლევს, თანაც, სხვა, ანალოგიურ ძეგლთა არსებობაც დიდად დამაფიქრებელია: ვგულისხმობ უპირველეს ყოვლისა XIII-XIV სკ. მიჯნაზე შექმნილ ხობის ცნობილ ტაძარს, რომელსაც აქ არ შეიძლება არ გაეწიოს ანგარიში. შესაძლებელია საქმე გექონდეს გარკვეულ ხუროთმოძღვრულ თემასთან, რომელიც ამ ეპოქაში გავრცელდა.“ (25; 214)

როგორც ზემოთ აღვნიშნე, აკად. ვახტანგ ბერიძე რამდენიმე წელი ჩემი სადისერტაციო თემის ხელმძღვანელი იყო პროფ. გ. ლორთქიფანიძესთან ერთად, მქონდა პატივი მესაუბრა აღნიშნულ საკითხზე, გავაცანი ჩემი მოსაზრება, რომ თაყაიშვილი შესაძლოა პრიმიტიულ კუპელჰალეს (52, 132) გულისხმობდა და არა ჯვარგუმბათოვან კლასიკურ ტაძარს, ჯვრის ტიპის სივრცე შორეთის ინტერიერში მხოლოდ იმიტაციას იძლევა ჯვარგუმბათოვანი გეგმარებისა, მაგრამ გუმბათის სიმბიომის გაძლევას უსაძირკველი თხელი კედლის კუთხეები ცხადია ვერ შესძლებდნენ.

ვ. ბერიძე სამრეკლოს ეკლესიის თანამედროვედ არ სთვლის, განსაკუთრებით თვალში საცემია მისი მსგავსება ხეოთთან. „შორეთის სამრეკლო ჩვენი აზრით XV სკ.-ზე ადრინდელი არ უნდა იყოს.“ (25; 215)

გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში მოხსენიებულია „სათესველი შოროთა, შორეთა, შოროთა“. აღწერილია მხოლოდ სათესველად ან შოროთის

ეკლესიად. დაბეგრულია 600 ახრით. /შესაძლოა ამავე ეკლესიის ტექნიკური პერსონალი ამუშავებდა მიწას. (6, 148)

ტერასების კვალი მონასტრის მიდამოებში დღესაც შესამჩნევია, ოღონდ მცირედ. შესაძლოა ტყეში ახლები იყო გამოჭრილი, ამჟამად კი ტყე ყველგან, თვით ტაძარზეც იყო გამოსული.

საყურადღებოა მოსაზრებები მონასტრის სახელწოდების შესახებ. სერგი ჯიქია დავთარში კითხულობს „შოროთას“<sup>1</sup>, თუმცა შეიძლება წაგვეკითხა როგორც “შორეთა”, ასეა თარგმნილი მეორე ტომში<sup>2</sup>. გამოკვლევაში ეყრდნობა რა ე. თაყაიშვილის მიერ დასახელებულ სამ ხელნაწერს, ამბობს: “ამ მონასტრის სწორი სახელია შოროთა” ეს “ჩანს იმ სამი ხელნაწერის მინაწერებიდან, რომლებსაც ე. თაყაიშვილი ასახელებს.”



ხელნაწერთა ინსტიტუტში, გადავამოწმე ს. ჯიქიას ცნობები, მოვიძიეთ აღნიშნული ანდერძები, ყველგან შოროთის წმიდა გიორგი იხსენიება, დამატებით ბაციკაისძეთა ანდერძიც ვნახეთ. ყველგან შოროთაა, ვანის ოთხტაგის “შორათის” გამოკლებით, მაგრამ რაც შეეხება მონასტრის დამკვიდრებული სახელწოდების “შორეთის” სისწორეს ანუ მართებულობას, მიმაჩნია, რომ შორეთი და ო-შორ-ა “შორ” ძირის მქონე ქართლურ-ზანური სინონიმებია შესაბამისი გრამატიკულად გამართული თავსართ-ბოლოსართებით, ამასთანავე შორეთი



ოშორადან უნდა მომდინარეობდეს. “შურ” იგივე “შორ” მეგრულ-ჭანურში სულს ნიშნავს და შესაძლოა რომელიმე საკულტო ადგილს ან ობიექტს უკავშირდებოდეს. შორეთი სრულიად ჩვეულებრივი და ფართოდ გავრცელებული ფორმის ტოპონიმია: ასე მაგ, ბიეთი, ჭაბიეთი, ტბეთი, გველეთი, ზორვეთი და ა.შ. სრულიადაც არ ნიშნავს დაშორებულ, შორეულ ადგილს, ეს მხოლოდ სიტყვათა დამთხვევაა, არამედ ზანურ ძირზე აგებული მესხური ტოპონიმია. ძალზედ ძნელია ტოპონიმის ეტიმოლოგიაზე კატეგორიული მსჯელობა, მით უმეტეს როცა საარქივო მასალებში ნათლად არის წარმოდგენილი სახელწოდება შორთა, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენი არგუმენტაცია ფაქტების ანალიზს ემყარება.

ჩვენთვის ცნობილი ანდერძ-მინაწერები ძირითადად გვიანდელია, არაუადრეს XIII საუკუნისა ვიდრე XV-XVI საუკუნეებამდე. ოშორა და საბოთარი (ბოქთა) კი



ადრექრისტიანული პერიოდიდან მომდინარე, ტოპონიმები უნდა იყოს, როცა ჯერ კიდევ ჭანური მოსახლეობა და ჭანური ენა დომინირებდა რეგიონში.

არ გვაქვს ცნობები VIII-IX საუკუნის დარბაზული ეკლესიის შესახებ, არც იმდროინდელი ტოპონიმების შესახებ თუ არ ჩავთვლით ზემოთ განხილულ იგივეობას საბოტარელთა და არტანუჯელთა ანდერძის “საბოთარს” შორის. (აქვე საგულისხმოა პარხალის 17 სტრიქონიანი მხედრული, XIII საუკუნის პალეოგრაფიული ხასიათის მქონე წარწერა (94; 94-95) სადაც ასევე იხსენიება

საბა მღვდელმთავართ უხუცესი, პატრონი კათალიკოზი ნიკოლოზი რომელიც თაყაიშვილის ვარაუდით უნდა იყოს 1240-1273 წლებში მოღვაწე ნიკოლოზ კათალიკოზი, რომელიც დაახლოებით 1246 წელს ყარაყორუმში გაემგზავრა მონღოლებთან და სასულიერო წოდების ყველა სახელმწიფო ვალდებულებისაგან გამათავისუფლებელი “იარლიყი” ჩამოიტანა (91; 541-542.) და საბადრი შვილი. ვინ შეიძლება იყოს კათალიკოსზე ადრე მოხსენებული სასულიერო პირი? ამასთანავე ვინ უნდა იყოს საბადრის შვილი, რომ ესოდენ მაღალი რანგის სასულიერო პირებთან ერთად ბრძანებას იძლევა პარხალში და წარწერაში მღვდელმთავართუხუცესისა და კათალიკოზის შემდეგ იხსენიება?

“ 5. მღვდელთ მოძღუა ... (ქ)ალწულთაითა: ესე დაწერილი: მე საბა: მღვდელ მთრ

6. თ უხუცესმა ... (პა)ტრონმა წმნ: ქ კ-ზმნ: ნკ-ზ: და საბადრის შვილმა

7. მიბრძანეს ...” (94; 94-95)

ქცხოვრების საბოტარელთა, ვანის ოთხთავის საბოთარისა და პარხალში მოხსენებულ საბადრი შვილის ურთიერთკავშირი საკმაოდ საინტერესოა, მით უმეტეს, რომ შორეთის რელიეფურ წარწერაში მოხსენებული კათალიკოსის სახელი თუ სწორად არა აქვს მარი ბროსეს წაკითხული შესაძლოა ნიკოლოზი იყოს. (ძნელი შესამოწმებელია, რადგან მხოლოდ ასოთა ქვედა ნაწილებია შემორჩენილი და ძალზედ ძნელია განსახილველად, შესაძლოა იყოს “მქლ”, აგრეთვე “ნკზ”, არსებული ნაშთები რელიეფური ასომთავრულისა ვერც ადასტურებს და ვერც უარყოფს ბროსესეულ წაკითხვას).

მონასტრად შორეთი XIII საუკუნეში ჩანს გადაკეთებული. ძნელი სათქმელია, ყოფილი დარბაზული ეკლესია მოქმედი იყო თუ იავარქმნილი და მიტოვებული მის მონასტრად ქცევამდე, მაგრამ გამომდინარე შორეთის ადგილმდებარეობიდან, იგი საურმე გზების გზაჯვარედინზე მდებარეობდა საუფლისწულოს, დიდ და მცირე კოხტასციხეთა, ოთასა და ზემო ინთორავარაზა-მამაწმიდას შორის.

საბოთარი შესაძლოა გეოგრაფიული პუნქტის მფლობელობიდან მომდინარე სიუხერენული წოდება იყოს სახელად ქცეული, როგორც ოთარი. ღოგორც ჩანს ბოქთა ჯერ კიდევ ძირითადი ცენტრია ხეობისა და საბოთარი-საბოთარელნიც ბოთა-ბოთა-ბოქთა-დან უნდა მოდიოდეს. ასოფლარის ქართულ

ზუსტ სახელწოდებას სამწუხაროსდ არ ვიცნობთ, რადგან მისი არსებობა მხოლოდ რუსული ტრანსკლიპციით რუსულ წყაროებში მოვიძიეთ, მით უმეტეს ბერძნულენოვან ხიზანთა მეტყველებიდან ჩაწერილი.

არტანუჯელთა ანდერძში პირველ რიგში “საბოთარსა” იხსენიება და შემდეგ “შოროთელთა” წმიდა ხატების ჩამონათვალით. დიდია ცდუნება გვევარაუდა, რომ “საბოთარი” იგივე საბა ოთარია, ანუ შორეთის წარწერაში მოხსენებული საბა, ძე ვარაზ ბაკურ ოთარისა და ცხადია თვითონაც ოთარი - ოთის ციხის, მონასტრისა და სასაფლაოს მფლობელი, რომელმაც ალაპების მიხედვით როგორც ჩანს მაწყვერლობას მიაღწია... მაგრამ ქართლის ცხოვრების “საბოტარელნი” შეუძლებელს ხდიან ამგვარ დამთხვევას.

გამომდინარე ხელოვნური გამოქვაბულების აშკარა ნაშთების არსებობის ფაქტიდან ეკლესიის მიმდებარე კლდეზე და კლდის ძირში, რომელზეც შორეთის ციხეა მერცხლის ბუდესავით დაშენებული, ზედგვა ნახევრად კლდეში ნაკვეთი ეკლესია, აგრეთვე არაუგვიანეს VI-VII საუკუნეების მენჭილის-ჭორტის აღმოჩენისა მეორადი გამოყენების სამშენებლო მასალაში, შეგვიძლია ვივარაუდოთ ადრექრისტიანულ პერიოდში ვიდრე VI საუკუნემდე მეუდაბნოობის სახით შორეთში სამონასტრო ცხოვრების არსებობა, მით უმეტეს, რომ ვახუშტიც იხსენიებს “დიდ-დიდ ქუაბ-სახიზრებს”. სამწუხაროდ არ შემორჩენილა იმდროინდელი სახელწოდება მონასტრისა, მაგრამ შესაძლებელია, რომ შორეთი ერქვა როგორც ოშორას ქართიზებული ფორმა.

ვახუშტის შორაპანი ( “არს შორაპანს მონასტერი...”) პროფ. გურამ გრიგოლიას აზრით სრულიადაც არ არის შემთხვევით ნახმარი, ანტიკურ ხანაში მაგისტრალურ გზებზე მოწყობილი იყო დასასვენებელი შორაპნები, უმეტესწილად განვითარებული ინფრასტრუქტურით და საკულტო ნაგებობებით, ასეთი პუნქტი ასპინძისხევში იყო ასპინძა, საუფლისწულოს მიმართულებით კი შორეთი, რომელიც როგორც ტოპონიმი “შორაპანის” შემოკლებულ ფორმას წარმოადგენს ისევე როგორც ოშორა აწყურისკენ მომავალ გზაზე.

შოროთა როგორც ტოპონიმი ასპინძისხევში დარბაზული ეკლესიის კუპელძალედ გადაკეთებამდე არ ჩანს, არის მხოლოდ საბოთარი კრებითი სახელი და საგარაუდოდ რეგიონის ადრექრისტიანული წარმოშობის ტოპონიმები: ბოქთა, ინთორა (ზანური ფორმა უნდა იყოს ონთორა), ოშორა, კოხტა, ოლდანი, ჭობიეთი, იღუმალა (ძველი ფორმა – ოღუმალა) და ა.შ.

საბოთარი XIII საუკუნისთვის უკვე არა სათემო ან გეოგრაფიული სახელწოდებაა, მით უმეტეს, რომ ბოქთა პრაქტიკულად დაიმცრობოდა როგორც დასახლებული პუნქტი ან რეზიდენცია მთავარი გზისაგან მოწყვეტილობის გამო, არამედ რეგიონალური მნიშვნელობის მსხვილი ფეოდალური სახლის პირველკაცის წოდებად იქცა, რომელსაც საკათალიკოზო კანდიდატურის წამოყენება ძალუძს, ოშორა-ოშორეთი-შორეთი კი მიკრო”ქუეყანაა”, ალბათ აპინძისხევი ზემო და ქვემო ოშორითა და კოდიანით. სერგი მაკალათიას მიერ ჩაწერილ ლეგენდაშიც კოდიანის მებატონის მამულები ხომ წალკამდე სწვდება ანუ ჯავახეთ-თრიალეთზეც ვრცელდება და საკმაოდ შორს სცილდება თუნდაც ამ ერთი – აღმოსავლეთის მიმართულებით კოდიანს.

როგორ გაჩნდა ანდერძებში ტოპონიმი “შოროთა”?

შოროთა როგორც ტოპონიმი ასპინძისხევში დარბაზული ეკლესიის გადაკეთებამდე არ ჩანს, არის მხოლოდ საბოთარი კრებითი სახელი და სავარაუდოდ რეგიონის ადრექრისტანული წარმოშობის ტოპონიმები: ბოქთა, ინთორა, იღუმალა (ზანური ფორმები უნდა იყოს ონთორა, ოღუმალა), ოშორა, კოხტა, ოლდანი, ჭობიეთი და ა.შ.

გვაქვს კიდევ სამი ვერსია:

1. ადგილობრივი ტოპონიმია, შესაძლოა “შორაპანიდან” მომდინარე, ან ზანური წარმომავლობის, სხვაგანაც გვხვდება სამცხე-ჯავახეთის ტოპონიმიკაში, შორატბა (აწყვიტა-დადეში), შორადები (ურაველი-ტობა), შორახლუხი (დამალა), შორადები (აწყვიტა-როკეთი) (63; 131-166).

2. თანდათან დაიმცრო მადლობზე მდებარე ბოქთა, ადმინისტრაციულ ცენტრად იქცა მდინარისპირა, საულელტეხილო გზაზე მდებარე ოთა, კარგად ნაშენი ახალი ციხით, რაბათით, შესაძლოა ზანური ელერადობის სახელწოდებაც “ბოქთა” გამარტივდა და “ოთა”-დ იქცა, შემორჩა მხოლოდ საბოთარის სიუზერენული წოდება, რომელიც დროთა განმავლობაში აგრეთვე “ოთარად” გადაიქცა.

კათალიკოსისა და მაწყვერელის მზრუნველობის ქვეშ მოქცეული მოზაიკითა და ჭიქურით შემკული, მოხატული შორეთის ტაძარი, რომელიც კოდიანისა და ნახევარჯავახეთის მცხოვრებთა მონასტრად მოიაზრებოდა, ცხადია უწინარეს ყოვლისა ცნობილი

ოშორა-შორეთისა და ახალშენი ოთის მონასტრად მოიაზრებოდა აქედან შესაძლოა წარმოდგა და დამკვიდრდა მისი ხალხური სახელწოდებაც “შოროთა”, ანუ ოშორ-ოთის მონასტერი. ამ შემთხვევაში თავსართი “ო” ბუნებრივია უნდა დაკარგულიყო და გავრცელდა შოროთა, რომელიც შემდგომ დამახინჯდა “შოლორთად”, “შორათად” და ა. შ.

3. მეორე ვერსიაა საქართველოს სამეფოს სამხრეთ რეგიონებიდან მტრის მოძალების შედეგად ქვეყნის შიგნით მართლმადიდებელი მოსახლეობის მიგრაცია და სახელგანთქმულ ხატებთან ერთად ტოპონიმის გადმონაცვლებაც.

სავსებით მისაღებია სერგი ჯიქიას მოსაზრება, რომ “შორ” “სიტყვისაგან იშვიათად წარმოდგება სახელწოდება გეგრაფიული პუნქტისა”. სიტყვა “შორ” გეგრაფიული პუნქტების სახელწოდებებში გვხვდება კავკასიის სხვა რეგიონებშიც: შორ-გელ (26; 15) (სომხეთში) და შორ-დაგ (დაღესტანში). (13; 826)

საყურადღებო ცნობებს გვაწვდის აგრეთვე 1867 წელს გამოცემული „რუსეთის იმპერიის გეოგრაფიულ-სატატისტკური ლექსიკონი“. (13)

შორეთის შესახებ თხრობისას პ. სემიონოვი მიუთითებს ბროსეს რაპორტებს და წერს: „Таиджи (Шолотань) оставленный монастырь, Судя по надписи, найденной на одномъ изъ камней церковь монастыря построена в концъ XIV или нач. XV стол. (Brosset, Rapports...RII. 177.)“

შოროთა (Шороть) კი სულ სხვა გეოგრაფიულ ადგილად გვევლინება კავკასიაში, თუმცა ისიც ნიშანდობლივია, რომ სახელი გამოუცვლია და ეტყობა მეორე ფორმით უფრო იხმარება (Шуруть).

Шурут (Шороть), армяно-татарское селение Эриванской губернии, нахичеванского уезда при рч. Жаржур-чай, прит.Аракса. Монастырь григориан Люсаворечь(Анапатья), древняя церков во имя св.Якова, хорошо сохранившаяся. В окрестностяхъ селенья есть весьма замечательныя древня зданоя, докаывающая, что мьсто это былo нькогда одно изъ самихъ населенныхъ

селеной в области. Къ, въ. Ів. находится укрепленный монастырь св. Григория, к ю. хорошо сохранившаяся церковь св. Стефана. (13; 827)

შოროთა როგორც ვხედავთ ტოპონომია არაქსის პირას, რომელიც განსახილველ პერიოდში საქართველოს სამხრეთ საზღვარს წარმოადგენდა სხვა მონასტრებთან ერთად, “კარგად გამაგრებული წმ. გრიგორის ან შესაძლოა წმ. გიორგის ქალკედონური მონასტერიც იყო). თითოეულ ანდერძში ხაზი აქვს გასმული შესაწირავს შოროთის წმინდა გიორგის მიმართ, შესაძლოა იგი გადმოტანილი იყო სხვა რომელიმე უფრო ცნობილი ეკლესიიდან და გადმოჰყვა სახელი. ხატებს ცნობილია, რომ ძველი სახელი უნარჩუნდებოდათ ცნობადობის გამო: ”აწყურის ღვთისშობელი”, “ანჩის ხატი”, “ივირონის ღვთისმშობელი”, და ა.შ. მიუხედავად ახალ ადგილზე გადმოსვენებისა. თუ ხატი სასწაულმოქმედი იყო ცნობილი და სახელგანსმენილი იყო, შესაძლოა მონასტრის ძველი სახელწოდებას შორეთს თანდათან ჩაენაცვლა ახალი, მაგრამ ზოგადად უფრო ცნობილი შოროთა.

როგორც ვნახეთ წინა თავებში, მეცამეტე საუკუნიდან ადგილი ჰქონდა სომხეთიდან მოსახლეობის მასობრივ მიგრაციას საქართველოსაკენ, რომელიც იმდენად საშიში გამხდარა, რომ ხელიც კი შეუშლია ამ პროცესისთვის საქართველოს სამეფო კარს. მაგრამ შიშინაობის შედეგად პირველ რიგში საქართველოს მეფეთა ექსპანსიონისტური პოლიტიკის წყალობით სამხრეთის ახალშემოერთებულ მამულებში დამკვიდრებული ქართველობა დაბრუნდებოდა ცენტრალურ რეგიონებში.

შესაძლოა ასპინძის ხევში შემოვიდა სომეხ ლტოლვილთა მცირე ნაკადი, რომელიც შემდეგ მალევე იქნა ასიმილირებული ქართველ მოსახლეობაში (აქვე გავიხსენოთ ოთაში მყოფი გადამწერი მკრტიჩი (იხ. თავი 11), მაგრამ ამ გადმოსახლებას ორგანიზებული ხასიათი არ ჰქონდა, სტიქიურად კი უფრო ლოგიკური იქნება თუ სამეფოს შიგნით მშობლიურ მხარეებში დაბრუნებულ ქართველობას თუ გამოყვებოდნენ ზემოხსენებული ხიზნები. იმ პერიოდში, კერძოდ XII-XIII საუკუნეებში, ქართული ეკლესია იმდენად მძლავრი იყო, რომ მონოფიზიტები ხშირად აღიარებდნენ ქალკედონისტურ დოგმებს, ქართველდებოდნენ და იწყებდნენ სწრაფ ადაპტაციასა და ინტეგრაციას, გადმოსახლებისას რასაკვირველია სასულიერო წოდებაც გადაადგილდებოდა და წამოასვენებდნენ სასწაულმოქმედ ხატებსაც. თვით არტანუჯელთა სახლის მიერ შორეთისადმი დიდი თამარ მეფის ნაქონი, ე.წ. ვანის უძვირფასესი ოთხთავის

შეწირვა მეტყველებს არტანუჯელთა სახლის მიერ შორეთის წმინდა გიორგისადმი განსაკუთრებულ, გამორჩეულ თაყვანისცემაზე.

საქართველოში მოსახლეობა მკვეთრად იყო შემცირებული ჭირიანობისა და ხვარაზმელ-მონღოლთა მათხარი შემოსევების შედეგად და ცენტრალური ხელისუფლება დაინტერესებულ იქნებოდა დაცარიელებული რეგიონების მოსახლეობით შევსებით და მუშახელის მომატებით. საქართველოს ეკლესია საკმაოდ ძლიერი იყო იმ ხანებში და ლტოლვილთა ქალკედონისტურ-ქრისტიანულ მიმართულებაზე მოქცევას ალბათ ხშირ შემთხვევაში ახერხებდა, სხვაგვარად საკათალიკოსო მამულებში არ ჩაასახლებდა მათ კათალოკოზი.

ხიზანთა მეორე ნაკადი ლანგ-თემურის შემოსევებს მოჰყვა, ისტორიული გუგარენეს გარდა, ჯავახეთიც იმთავითვე სომეხთა სამიზნე იყო და თუ თავშესაფარს მისცემდათ საქართველო გადარჩენის ამ შანსს უეჭველად გამოიყენებდნენ.

აქვე მოვიყვანო პავლე ინგოროყვას ცნობას სომხეთში მესხური მოსახლეობის ნაშთის-«ხოითის» თემის შესახებ, რომელთაც საშუალ საუკუნეებამდე შეინახეს ენა (არტანის ენაზე ლაპარაკობდნენ) (76), მესხეთში და სამაჩაბლოში გვხდება ტოპონიმები: ხეოთი, ხეითი, ხავეთი; აჭარაში ხეთა და ა. შ. ვ. ბერიძე როგორც ენახეთ მეტად ამსგავსებს ერთმანეთს ხეოთის და შორეთის სამრეკლოებს.

შესაძლოა საქართველოს სამეფო კარს სცოდნოდა ხოითის თემის ქართველებთან მონათესავეობა და ეზრუნა მათი გადმოსახლებისათვის. ძნელბედობის უამს რასაკვირველია სომხეთის დანარჩენი მოსახლეობაც ეცდებოდა საქართველოსათვის თავის შეფარებას, მაგრამ რადგანაც ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალი ვერ გასწვდებოდა ამდენი ლტოლვილის მიღებას, ადმინისტრაციულ ზომებს მომართავს ხელისუფლება და აჩერებს მიგრაციის პროცესს.

საინტერესოა თვით ფაქტი, რომ წარწერაში მოხსენებული ნიკოლოზ ორბისძე «გალატოზთ უხუცესს» წარმოადგენს. ე. ი. ხუროთმოძღვართ-ხუროთმოძღვრის გვერდით საქართველოში «გალატოზთ უხუცესის» სახელოც არსებობდა.

რადგანაც კვლავ დაუპუბრუნდი არტანის ენას, ხოითს და შესაბამისად “ჰურებს”, თვალსაზრისის უფრო ნათლად წარმოსაჩენად გამოვთქვამ ვარაუდს, რომ “შორ” ფუძის ეტიმოლოგია შესაძლოა “ჰორ”-“ჰურ” სატომო სახელიდან

მომდინარეობდეს, ისევე როგორც არტანის ძველი სახელწოდება, სოფ “ოთა”-ც აგრეთვე შესაძლოა ეტიმოლოგიურ კვლევას ითხოვდეს “ჰურ”-თან მიმართებაში.



**პირველი ექსპედიციის დღიური:**

1987 წლის ივლის-აგვისტოში ძველთა დაცვის სარესტავრაციო, საწარმოო, სამეცნიერო გაერთიანებასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე შორეთის სამონასტრო კომპლექსის წმენდით სამუშაოებს ატარებდა საქართველოს საისტორიო საზოგადოების ახალგაზრდული კომპლექსური ექსპედიცია.

ექსპედიციის სამეცნიერო კონსულტანტობა ეთხოვა მესხეთის არქეოლოგიურ ექსპედიციას (ხელმძღვ. ო.ღამბაშიძე), ექსპედიციაში ძველთა დაცვის გაერთიანებიდან მივლინებით იმყოფებოდნენ არქიტექტორ რესტავრატორები თ.ნემსაძე და თ.გურამიშვილი. ექსპედიციის ხელმძღვანელი იყო საისტორიო საზოგადოების პრეზიდენტის ინსპექტორი მ.დათუკიშვილი. ექსპედიცია შედგებოდა თორმეტი წევრისგან.

მუშაობა მიმდინარეობდა მეტად რთულ პირობებში, ვცხოვრობდით მონასტრიდან ასიოდე მეტრის მოშორებით კარვებში. ზურგით მოგვიწია საცხოვრებელი საველე ინვენტარის, სამუშაო იარაღებისა და სურსათის ატანა,



ბეგლი კი გზიდან ოთხი კილომეტრით არის მოშორებული, სავალი აღმართი ძლიერ დამრეცია და ზოგან ბილიკი პირდაპირ ღელეს მიუყვება.



27 ივლისს შეფუდექით მიწის ფენის აღებას სამხრ. დას. ნაწილიდან. მონასტრის დასავლეთით მდებარეობს /თითქმის გადაბმულია/ კარგად დამუშავებული ქვიშაქვის კვადრებისაგან ნაგები მართკუთხა შენობის /უცნობი დანიშნულების/ ნანგრევები საგულისხმოა რომ ქვის დამუშავების ხარისხი აღნიშნული ნაგებობის კვადრებს უფრო მაღალი აქვთ, ვიდრე ეკლესიის გვიანდელ მინაშენებს.

ნაგებობა ყორექვით აშენებულ კედელს ეყრდნობა, ისეთივეს, როგორც აქვს შორეთის მაცხოვრის სახელობის ეკლესიისა ან წუნდის ეკლესიას, ოღონდ უფრო მცირე ზომისაა. მიწის ფენას ვიღებდით სწორედ ამ ნაგებობის სამხრ. კედელსა და ეკლესიის დას. კედელს შორის (ეს ორი ნაგებობა კუთხეებით უდგება ერთმანეთს და მართკუთხედს ქმნიან).

მიწის ფენის აღებისას ბევრი გათლილი ქვა ამოვიდეთ, მათ უკეთებოდა ნუმერაცია, აღინიშნებოდა სქემზე და გადაგვეკონდა სქემაზე ამის შემდეგ

თავისუფალ ადგილზე. ქვის ლორწინებს არ ენომრავდით და ცალკე ვალაგებდით. ძირითადად ეკლესიის დარღვეული კარნიზის ქვები გვხვდებოდა, რაც იმის მანიშნებელია, რომ მართკუთხა ნაგებობა აღდგენილი აღარ ყოფილა გვიანდელ ხანაში და მისი კვადრები მეორეულ გამოყენებაში მოჰყვებოდნენ.

2 აგვისტოს გამოჩნდა სამარხი. აღნიშნული ადგილი დაეყავით ექვს კვადრატად. სამარხი მდებარეობდა №4 კვადრატში, გადადიოდა №5 კვადრატში. მიწის ზედაპირიდან სამი ბარისპირის სიღრმეზე, ნაშალ მიწაში მდებარეობდა. დაკრძალვის წესი ინჰუმაციურია, სამარხს მივეციტო ნომერი 1. სამარხის სიგრძივი ღერძი დამხრობილი იყო დას.აღმ. მიმართულებით, მიცვალებული გულაღმა განრთხმული იწვა თავით აღმოსავლეთისაკენ. სამარხის ზომებია: 2მ. 0, 5მ-ზე სამარხი ხელუხლებელია. პრეპარაციის შედეგად ნივთები, ინვენტარი არ აღმოჩენილა. სამარხი №2 მდებარეობს ოდნავ ზემოთ მე-6 მე-3 კვადრატებს შორის. ზომები და გარეგანი ნიშნები №1 სამარხის ანალოგიურია, განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ მეორადი გამოყენებისაა, მიცვალებულზე დაკრძალულია მეორე მიცვალებულიც. არქეოლოგიური მასალა არც ამ სამარხში აღმოჩნდა. №3 სამარხი ეკლესიის სარდაფის სარკმლის დონიდან /ორივე სამარხი ამ დონის ქვემოთ, ერთი ბარის პირის სიღრმეზე მდებარეობდა/ ორი ბარისპირით მაღლა მდებარეობდა. მიწა აქ ფერდობს ქმნის და დონეთა შეუსაბამობა ამით არის გამოწვეული. სამარხი №1 1 კვადრატში იწყება და გადადის მე-2 კვადრატში. გარეგნული ნიშნები იგივეა, ჩონჩხი მეტად დაზიანებულია, ბარძაყის ძვლები და თავისქალა დაჩეხილია, ინვენტარი არ არის.

№4 და №5 სამარხები ერთმანეთზეა გვერდიგვერდ მიბმული. აქ რამდენიმე მიცვალებული ერთად არის დაკრძალული და პრეპარაციის შემდეგაც ძნელი აღმოჩნდა ერთმანეთში არეული ძვლების დაცალკეება. აღნიშნული სამარხები სამხრ. აღმ. მიმართულებით არიან განლაგებულნი. №5 სამარხში გამოიკვეთა ბავშვის ჩონჩხი, რომელიც უფრო ადრე უნდა ყოფილიყო დაკრძალული, ხოლო სხვა დანარჩენი ჩონჩხები სამარხის მეორედ გამოყენების შედეგად უნდა გაჩენილიყო სამარხში. აღნიშნული ჩონჩხების ძვლები ისეა მიმოფანტული, რომ შესაძლოა საშინლად აჩეხილი გვამების ერთად დაკრძალვასთან გვექონდეს საქმე. №5 სამარხში დაკრძალული ბავშვის დაკარძალვის წესი მცირედ განსხვავდება სხვა დანარჩენთაგან. ჩონჩხი თიხნარ მიწაში იყო ჩადებული, სხვა შემთხვევაში ნაშალი მიწაა.<sup>1</sup>

პრეპარაციის დროს გადაღებულია სლაიდები.

ჩონჩხები ავალაგეთ და რიგის მიხედვით გადავიტანეთ ეკლესიის საძეგლეში.

ვფიქრობთ სამარხები მეტად გვიანდელი პერიოდის უნდა ყოფილიყო, რადგან ნაშალ მიწაში იყო გაჭრილი. ამ ფენის გაჩენა მხოლოდ მართკუთხა შენობის (სავარაუდოდ “მამათმთავრის” რეზიდენცია) დანგრევის მერე მოხდებოდა, შენობა კი განვითარებულ შუასაუკუნეებს უნდა მივაკუთვნოთ ქვის დამუშავების ტექნიკის მიხედვით. გარდა ამისა, ძნელი წარმოსადგენია ინტენსიური სამონასტრო ცხოვრების დროს ბერებს ესოდენ დაუდევრად დაეკრძალათ მიცვალებულნი.

სამარხებს შორის, თითქმის ერთ დონეზე მიცვალებულებისა, აღმოჩნდა ლორფინების ნატეხები, რაც აგრეთვე მეტყველებს სამარხთა გვიანდელობაზე.

გათხრებს ნაწილობრივ დაესწრო არქეოლოგი ლ.ხელაია.

11 აგვისტოს მიწის ფენის აღებისას ეკლესიის სამხ. მინაშენის სამხრ. დას. კუთხესთან შევნიშნეთ, რომ მიწაში გარეული იყო ბათქაშის ნაფხვენი რამაც გამოიწვია ჩვენი ეჭვი, ზ.ქუქჩიშვილმა ამოიტანა მესხური საცერი (მსხვილთვალიანი)

და გაეცერით მიწა. მიწაში დიდი რაოდენობით აღმოჩნდა მოზაიკური კენჭები, მეტად ფერადოვანი. ალბათ ეს იყო ვახუშტის „სოფიის კენჭი“, ივ. გვარამაძის „მუზაიტის კენჭი“ ან ე.თაყაიშვილის „Секлянные кубики“ რამდენიმე ცალი რომ უპოვია მოგზაურობისას.

გვარამაძე კიდევ ამბობდა (იხ. ზემომოყვანილი ციტატა), რომ “იატაკი სრულ მინაქარის მწვანე ჩინურით” არის ნაგებიო. ეტყოფა მას მერე გაუძარცავთ და არც ბაქრაძეს, არც თაყაიშვილს აღარ შეუნიშნავთ, მაგრამ ეკლესიის დასავლეთ კედელთან, სარდაფის სარკმლის მახლობლად ვიპოვეთ მოჭიქური თიხის ფილები, რომლებიც სწორედ იატაკზე იქნებოდა დაგებული, თუმცა შესაძლოა ლორფინებით გადახურვამდე მოჭიქური კრამიტითაც იყო ეკლესია გადახურული.

ხევში იყო ჩაგორებული ეკლესიის ქიმზე დასადები მაკეტი, ამოვიტანეთ ზემოთ. (აქვე უნდა ითქვას, რომ ეკლესიის გარშემო მიდამოში კაცზე მაღალი გაუვალი შამბნარი იზრდება და ქვების პოვნა საკმაოდ რთულ საქმეს წარმოადგენს).

ეკლესიიდან დასავლეთით, მთის ფერდობზე, შორეთის ციხისკენ მიმავალ გზაზე უცნობი დანიშნულების ნაგებობის ნაშთებს მივაკვლიეთ. შესაძლოა სამეურნეო დანიშნულება ჰქონდა.

17 აგვისტოს საძვალე სენაკის კარებთან მიწის ნაშალი ფენის აღებისას აღმოჩნდა ასომთავრულ წარწერიანი კარნიზის ქვა:

“იესო ქრისტე შეიწყალე კათალიკოზი მიქაელ” ეს სწორედ ის წარწერა უნდა იყოს, რომელსაც მიუთითებდა მარი ბროსე. ბოლო სამი ასო თითქმის აღარ იკითხება, მაგრამ მარი ბროსეს მიერ წაკითხული სავსებით ემთხვევა ასოთა ნარჩენების მოხაზულობას (კუთხე ჩამომტვრეული აქვს)



ფიქრობთ, რომ წარწერაში მოხსენებული კათალიკოსი მიქაელი უნდა იყოს ალექსანდრე პირველის დროინდელი მოღვაწე კ-სი მიქაელი /1420-1426/.<sup>1</sup> ამ დროით უნდა უნდა დავათარილოთ შორეთის სამრეკლოს მშენებლობაც. ამ წარწერით დასტურდება აგრეთვე, რომ მონასტერი მაცხოვრის სახელობისაა.

თავად ეკლესია ნაგებია კარგად გათლილი ნაცრისფერი ქვით. სამრეკლო და სამლოცველო ეკლესიის სამხრეთ კედელზეა მიშენებული. სამრეკლო სამლოცველო სამსაფეხურიან ცოკოლზე დგას.

ეკლესიის ძირითადი ნაწილი შიგნით ჯვაროვან სივრცეს ქმნის. სამხრეთ და ჩრდილოეთ მხარეს გაკეთებულია უბეები ჯვრის მკლავებით, რომლებიც გადახურულია მთავარი კამარის პარალელური კამარებით. საკურთხევლის

მარჯვნივ და მარცხნივ მოთავსებულია სამკვეთლო, სადიაკონე და სხვა დამატებითი სათავსები, რომელთაგან ერთ-ერთი უკავშირდებოდა ეკლესიის ქვედა დარბაზს. შეინიშნება მხატვრობის ფრაგმენტები კონქში და კამარის საბრჯენ თაღზე. კონქში გამოსახული იყვნენ შუაში ქრისტე და მის აქეთ წმ. მირიანი და იოანე ნათლისმცემელი. ფრაგმენტების საერთო გამა მოცისფრო-მოყავისფროა. <sup>2</sup>

აქ აღარ შევუდგებით არქიტექტურული დეტალების დაწვრილებით აღწერასა და განხილვას, რადგან ძეგლის უმეტესი ნაწილია მიწაშია ჩაფლული და ა. წ. ექსპედიციამ მოგვცემს ამის საშუალებას.

თხოვნით გავთხარეთ შურპი პირველი სართულის შესასვლელის ზღურბლის დონის გამოსარკვევად, გაცრილ მიწაში იქაც აღმოჩნდა მოზაიკის კენჭები, როგორც ჩანს ეკლესიის სამხრეთ უბნის მორღვეული კედლიდან ჩამოცვენილი. მეორე სართულზე იატაკიდან ამორებულია მიწის გაცრამ დაადანსტურა ამ ადგილას კედელზე მოზაიკის არსებობა. “ოთხი ყურე-კედელი გვარამაძის მიერ მოხსენებული მუზაიკის კენჭით ჩაწყობილი” სწორედ ამ უბეებს ნიშნავდა. კედელში შეჭრილ უბეების მახლობლად გამოკვეთილ სახატეებში შემორჩენილია მოზაიკის კენჭების ბუდეები.

ეკლესიის იატაკს სასწრაფოდ უნდა ჩაუტარდეს პრეპარაცია, რადგან შესაძლოა კედლიდან ჩამოცვენილი მოზაიკის შედარებით მთელი ნაწილებიც აღმოჩნდეს.

ეკლესიის პირველ სართულზე, კონქის ქვეშა სათავსის შესასვლელში ჩატანებულია უძველესი სტელის ორი ფრაგმენტი, რომლებიც გარკვეულ მსგავსებას იჩენენ დეტალებში მურჯახეთის სტელასთან.<sup>1</sup> /იხ.დანართი/ რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს სალოცავის სიძველეს.


ექსპედიციამ თავისი მუშაობას დროს გამოავლინა შემდეგი ძეგლები: ზემო ინთორა, აგარის ნასოფლარი, შოლორთის ეკლესია (გგულისხმობთ შორეთის ციხის ეკლესიას), საკირე სანისლოს მარცხენა ნაპირზე შორეთის გზის პირას, „სახიზარი ქვაბნი“ სოფ. ოთას ჩრდილოეთით, სოფ. მამაწმინდის ადგილმდებარეობა სოფ. ინთორის ნაშთები (სანისლოს მარჯვენა ნაპირზე, მეტყვევ ს. ხმალაძის მითითებით), ოთის ციხისუფალთა კარის ეკლესია სოფ. ოთაში (სოფლის მკვიდრ გ. ტივაძის მითითებით).

აწლის ივლის-აგვისტოს ექსპედიცია მიზნად ისახავს გამოიკვლიოს ასპინძის ხევის ნაკლებად შესწავლილი რეგიონებიც: ჯაბიეთის ხევი და სოფ. სანისლოს მიმდებარე ადგილები.



შორეთის საძვალის ეკუდერის 2001 წელს აღდგენილი კარიბჭე.

## 7. შორეთის ლაპიდარული წარწერები



1849 წელს აკად. მარი ბროსემ იმოგზაურა სამცხე-ჯავახეთში. მიუხედავად “სიცივისა და უდროობისა”, სხვა საყურადღებო ცნობებთან ერთად ძეგლის ლაპიდარული წარწერების აღწერილობაც დაგვიტოვა. მათგან ყველაზე საყურადღებოა კათალიკოზ მიქაელის რელიეფური წარწერა:

როგორც მ. ბროსე მოგვითხრობს (45, 177) მას თავის ადგილზე დადებული უნახავს და წასაკითხად ჩამოუღია რელიეფური წარწერა:

”ქე ქე ძეო ღვისათ შე კზ ქელ ”

“იესუ ქრისტე, ძეო ღვთისაი შეიწყალე კათალიკოზი მიქელ”.

ბროსე მიუთითებს, რომ ”თუ ზუსტად წაიკითხა საკუთარი სახელი, ძეგლი XIV-XV სკ-ის უნდა იყოს”, ე.ი. კათალიკოზ მიქაელის (1411-26 წწ) მოღვაწეობის დროინდელი.

აღნიშნული წარწერა ბაქრაძის, თაყაიშვილის, ბოჭორიძისა და ბერიძის სამეცნიერო ექსკურსიების დროს დაკარგულად ითვლებოდა, რასაც საგანგებოდ

აღნიშნავს ე. თაყაიშვილი, მაგრამ 1987 წელს ჩვენი ექსპედიციის მიერ იქნა მოძიებული გვიანდელ ხანაში ეკვედრად გადაკეთებული მცირე სამლოცველოს – მონასტრის საძვალის კარიბჭესთან, ნაშალი მიწის ფენის აღებისას. წარწერა კაპიტელის ან კარნიზის ფრაგმენტზეა ამოკვეთილი, ორ მხარეს. ცალ მხარეს ძლიერ დაზიანებულია და საკუთარი სახელი ადარ იკითხება, თუმცა დარჩენილ ასოთა ფრაგმენტების მიხედვით შესაძლოა იყოს **კზ ქლ** თუმცა არ

გამოვრიცხავ, რომ შესაძლოა იკითხებოდეს ” **ქქ - მელქისედეკ**”. წარწერის

ძირითადი ნაწილი კარგად არის შენახული. განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს ასო ”ვიე”, რომელიც თითქმის თავშეკრულია, თუმცა წარწერა პალეოგრაფიულად შედარებით გვიანდელია თავსეკრულე ”ვიე“-სთვის. წარწერა თავისი რელიეფურობითაც გამოირჩევა (სამხრეთ ფასადის მეორე სართულის დას. კარის არქიტრავისა და ტიმპანის რელიეფურ წარწერას ჰგავს), პალეოგრაფიულადაც საკმაოდ განსხვავდება და შინაარსობრივი დატვირთვითაც. მონასტრის ნაგებობები სხვადასხვა დროს არის ნაშენი და ვფიქრობთ თუ წარწერა სწორად არის წაკითხული უფრო ადრინდელი უნდა იყოს სხვა დანარჩენ წარწერებზე.

მ. ბროსეს ეკუთვნის კიდევ ერთი ფრაგმენტული წარწერის აღმოჩენა:

” ... **ქცა ღთისქთ ... ნეთ**

**წმიდქ ესე ეკლესიქ ”**

“სახელითა ღვთისაითა აღვაშენეთ წმიდა ესე ეკლესიაი”

1995 წ. სატრაპეზოს გათხრებისას მიკვლეულ ფრაგმენტებზე შესაძლოა ამ წარწერის კვალი იყოს შემონახული, შესაძლოა ბროსემ ზუსტი წაკითხვა არ მოგვცა, ან ფრაგმენტები დაზიანებულია და ადარ იკითხება სათანადოდ. ზემოხსენებული ფრაგმენტები მონასტრის ქვის კანკელს ეკუთვნის და შევეცდებით მის რეკონსტრუქციას.

1867 წ. მონასტერი მოინახულა დ. ბაქრაძემ, ახალციხის ”უეზდის” ეკლესიათა ”ბლადოჩინ” გამრეკელოვთან (გამრეკელი) ერთად. სამწუხაროდ დ.



ბაქრაძეს ჩანაწერებიანი რვეული დაუკარგავს, მაგრამ დაუმახსოვრებია წარწერა, სადაც მოხსენებულია "Николай Цховребадзе глава каменщиков" (78; 81) წარწერა მდებარეობს მთავარი ტაძრის გვიანდელი კარიბჭის სამხრეთ ფასადზე, კიბის თავზე. როგორც ჩანს ბროსემ დიდთოვლობის გამო ვერ შენიშნა.

1881 წ. ივ. გვარამაძე ("ვინმე მესხი") გაზეთ "დროებაში" წერდა: "ხიზაბავრის ტყეში ყოფილი ჭაიტას (შორეთს ხიზაბავრელები დღესაც ჭაიტას უწოდებენ, ბროსემ ჩაიწერა ოთის მკვიდრთ მუსულმანებისაგან თაიჯი-"თაიჯი" – მ.დ.) ეკლესიის მცირედი ზედწარწერაც ვიღაცას წაუღია, ამაზედ ეწერა: ნიკოლოზ ორბელის ძე ხუცესთ ხუცესი..." (28)

საბედნიეროდ აღნიშნული წარწერა არავის წაუღია, (ივ. გვარამაძეს გადმოცემით სცოდნია წარწერის დაკარგვის შესახებ, რადგან ძეგლი ადრე, 1870-71 წწ. უნახავს),

ე. თაყაიშვილს საიმედოდ ჩაკირული დახვდა კედელში, მაგრამ კვლავ არასრულად იქნა წაკითხული: "Боже упокой Николая, главу каменщиков" სხვა წარწერები ე. თაყაიშვილმა ვერ ნახა, რადგან მ. ბროსემ ადგილი შეუცვალა მათ. წარწერის პირველი სწორი წაკითხვა ეკუთვნის გიორგი ბოჭორიძეს, რომელმაც 1932-33 წ.წ. მოინახულა შორეთი: "ქ. ორბისძეს გალატოზთ უხუცესს, შეუნდვენ ღმერთმან. ამინ".

ქ ორბისძეს : ნკჴს : გ

ზგოზ-თ ; ონც-ეს

უნ : ღნ : ან : (5; 26).

გ. ბოჭორიძე მიუთითებს აღმოსავლეთ კედელზე სარკმლის მარცხნივ, ჩრდილოეთით გამოსახულ ნიშანს:

სტილიზებული წრესი ჩახატული ჯვარი ქვემოდან ასო "ჯან"-ით

40-იან წლებში შორეთში იმყოფებოდა აკად. ვ. ბერიძე, აღნიშნული წარწერა პირველად მან გამოაქვეყნა სწორი წაკითხვით და დაგვიტოვა საყურადღებო მოსაზრება შორეთისა და ხეოთის სამრეკლოთა მსგავსების შესახებ (18), რაც შეეხება ხეოთის სამრეკლოს წარწერას გ. ბოჭორიძის წაკითხვა უფრო სწორი უნდა იყოს, რადგან წარწერა ვნახე და ვეთანხმები გ. ბოჭორიძისეულ წაკითხვას

”ქრისტე ადიდე ოპიზაი ხუცთაი მათ აშენეს ” (ბერიძისეული წაკითხვა ”ოლიმპიაი” შეცდომა უნდა იყოს, ხუცთა გადმოღებულ აქვს, მაგრამ კომენტარს არ ურთავს). საყურადღებოა ბოჭორიძისეული წაკითხვა იმით, რომ ჩვენი მოსაზრებით ხეოთის და შორეთის სამრეკლოთა მშენებლობა ტაო-კლარჯეთიდან მესხეთის შიდა რეგიონებში მოსახლეობის მიგრაციის ხანას და ალექსანდრე დიდის მეფობას უნდა ემთხვეოდეს.

1988 წელს ჩვენი ექსპედიციის მიერ აღმოჩნდა სრულიად უცნობი წარწერა სამრეკლოს სამხრეთ დასავლეთ კედლის გათხრისას, ნაშალი მიწის ფენაში, ზედაპირთან ახლოს. ეს არის ჩამომტვრეული კუთხის კარნიზის ფრაგმენტი სამრეკლოს პირველი სართულის კარნიზიდან.

თთ შუწუ ნკ

”უფალო შეეწიე ნიკოლოზს”,



თუ პირველად ასო კ-ს წავიკითხავთ შესაძლოა იყოს კონსტანტინე-მაგრამ უფრო ნიკოლოზი უნდა იყოს (ასოები ერთმანეთშია ჩახაზული).

1989 წელს ექსპედიციის მსვლელობისას, სატრაპეზოს არქიტექტურული ანალიზისას გაჩნდა ეჭვი, რომ დასავლეთის მხრიდან მშრალი წყობით ამოქოლილი კედელი კარი უნდა ყოფილიყო. არის კონტური სჩანდა სევეროვის

ანაზომშიც. მიწის არცთუ დიდი ფენის აღებამ მოსაზრების სისწორეში დაგვარწმუნა, გამოჩნდა მარჯვენა იმპოსტის ქვა ჩამოტეხილი ფასადით, მარცხენა იმპოსტის ქვაზე კი აღმოჩნდა მშვენიერი ასომთავრული წარწერა მცირედ დაზიანებული, თუმცა სრულიად იკითხება:

ქე შე ნკზ ცღ

ქე შ-ე ნკზ ცღ. (ქრისტე, შეიწყალე ნიკოლოზ ცოდვილი).



1995 წ. ექსპელოციის მიერ სატრაპეზოს წმინდითი სამუშაოების წარმოებისას აღმოჩნდა მარანი, სატრაპეზოს სიღრმეში კი ქვის კანკელის დღემდე უცნობი ფრაგმენტები. კანკელზე შესრულებულია ნუსხა – ხუცური წარწერა. შესაძლოა ეს იყოს ერთი ნაწილი მარი ბროსეს მიერ მიკვლეული ფრაგმენტებისა, რადგან სატრაპეზოს დიდი ნაწილი, რამდენიმე სენაკი გამოუკვლეველია და ნაშალი მიწით სავსე.

რაც ამ წარწერიდან ჩანს, უმთავრესია კანკელის წარწერის თარიღი: ქკს : ტ – ქორონიკონს ტ (300) სამწუხაროდ თარიღის დანარჩენი ნაწილი ჩამოტეხილია, მაგრამ კანკელის წარწერა თარიღდება არაუადარეს 1081 არაუგვიანეს 1180 წლით (ე. ი. მეცამეტე მოქცევის მესამე ასწლეულით).

აქვე შეიძლება დავძინოთ, რომ პალეოგრაფიული ანალიზი XI-XII საუკუნეების წარწერას ძნელი სათქმელია რომ ადასტურებს, უფრო გვიანდელს ჰგავს, მაგრამ ქორონიკონს თუ ვენდობით XVI-XVII საუკუნეებში, მეთოთხმეტე მოქცევაში გადმოვდივართ და ისმება კითხვა, უკვე საუკუნეზე მეტი ხნის

დაპყრობილ მხარეს შესწევდა კი მონასტერზე ზრუნვის უნარი, კანკელის შენება მონასტერზე, რომელიც ვახუშტის დროს უკვე ცარიელია.

პირვანდელი დარბაზული ეკლესია VIII-IX საუკუნეებით თარიღდება. რაც შეეხება წარწერის დანარჩენ ფრაგმენტებს, იმდენად დაზიანებულია წარწერა, რომ ძნელად იკითხება. აღსანიშნავია ერთი ფრაგმენტი:

...ვანში - ტნ

“...ვანშისაგან” შესაძლოა იყოს “შარვანშისაგან”, რადგან აღნიშნულ პერიოდში 1116 წ. ცოტათი ადრე, დავით აღმაშენებელმა ასული თამარ მიათხოვა შარვანშას, და საქართველოს მეფის სიძეს ან მის ძეს სამეფო დომენის მონასტრისთვის (ი. გვარამაძე კოდიანის და ნახევარ ჯავახეთის მონასტრად იხსენიებს შორეთს ჭაიტას) ძალუძდა შემოწირულობის გაღება. ტრადიციული დამოკიდებულების თანახმად შარვანშას ძე აღმაშენებლის სამეფო კარზე უნდა აღზრდილიყო როგორც მძევალი ვასალისა. დემნას აჯანყების შემდეგ სრულიად კანონზომიერად გამოჩნდა დიდებულთა შორის დოღოთო შარვაშიძე, რომელიც შესაძლოა იყო შარვანშას ძე, დემეტრე მეფის დისწული. აქვე აღსანიშნავია გეოგრაფიული სახელწოდება “შარვაშეთი”. შარვანშათა საგვარეულო ქართულ მატანებში (70), იხსენიება როგორც ”სახლი შარვაშეთისა”.

შარვაშეთის ქედი შორეთის მონასტრის მახლობლად მდებარეობს, მასზე გადადის ციხისჯვარის საულელტეხილო გზა. აქვე უნდა იყოს “შერანშაიანთ წყარო” (მესხური მატიაწე), “შერანშაიანთ წყარო” (ვახუშტი).

წაკითხვა (შარ)ვანშისაგან ემთხვევა ვახუშტისეულ “შარვანში მოხარკედ აქუნდა გიორგი V-I”. რა თქმა უნდა ეს მხოლოდ სავარაუდოა.

ექსპედიციის მუშაობა გაგრძელდება. იმედი გვაქვს მივაკვლევთ დანარჩენ ფრაგმენტებსაც და გაადვილდება წარწერის წაკითხვა.

შორეთის ლაპიდარული წარწერების ქრონოლოგიური თანამიმდევრობით განხილვამდე მიზანშეწონილად მიგვაჩნია აქვე განვიხილოთ, შორეთის მონასტრის სამხრეთ ფასადზე მეორე სართულის კარების არქიტრავსა და ტიმპანზე 1998 წელს აღმოჩენილი რელიეფური სამშენებლო წარწერა (რომლის კალკირებაც არ ხერხდება, რადგან სამრეკლოა ზედ მიშენებული და მხოლოდ ნაწილობრივ იკითხება ნაპრალიდან).

სამონასტრო კომპლექსის გაწმენდისას გამოირკვა, რომ ინტერიერიც მდიდარია ლაპიდარული წარწერებით.

მოზაიკის ნაშალი ფენის ქვეშ, ინტერიერის ჩრდილოეთ კედლის თაღოვან ნიშაში იკითხება ასომთავრული წარწერა ...”ԷԷԽԷԼԸ” ჩვენი სავარაუდო წაკითხვით: ”შეეწიე მხატვარ ხარებასა”... ამ წარწერით დასტურდება ფაქტი, მოზაიკის ოსტატის ქართველობისა. ჩანს, ქართული ასომთავრულით ის ავსებდა მოზაიკურ დეკორს, ე.ი. ადგილი აქვს გარკვეულ ტრადიციას. მიუხედავად იმისა, რომ მოზაიკის ფრაგმენტები დღესაც შემორჩენილია კამარაზე, თაღებზე და ნაწილობრივ კედლებზე მკლევართა უმეტესობას შორეთის მოზაიკა არ შეუმჩნეველია (მარი ბროსე, დიმიტრი ბაქრაძე, ე. თაყაიშვილი, ვ. ბერიძე). ჩვენს მიერ შორეთში მოზაიკის გამოვლენა და დაფიქსირება რამდენიმე კენჭის პოვნით დაიწყო; წყაროებში შემონახული ინფორმაციიდან გამომდინარე სერიოზული ყურადღება მიექცა ტაძრიდან გატანილი მიწის გულდასმით გაჩხრეკას-გაცრას. ამ მიზნით შორეთის მოზაიკის დეტალები ისეთი რაოდენობით შეგროვდა, რომ ამჟამად რეალურია წმ. გიორგის ეკლესიის მოზაიკური ”ყურე-კედლის” რესტავრაცია.

საინტერესოა კიდევ ერთი ახალი, გამოუქვეყნებელი ასომთავრული წარწერა: ԺԺԸԺԸԻԸԺ (მამათმთავარი) ინტერიერში, საკუროთხველიდან რიგით მესამე თაღზე სამხრეთ მხარეს მოთავსებულ ფრესკაზე.

ჯერ კიდევ 1995 წელს რესტავრატორმა ქნმა რუსუდან გურამიშვილმა მიგვანიშნა ლიპიდარულ წარწერაზე, რომლის წაკითხვა ჯერ-ჯერობით გაძნელებულია. ამ წარწერიან კედელზე XIV-XV საუკუნეებში მიუშენებიათ სამრეკლო. მიწისძვრისაგან გაჩენილ ბზარიდან (სამრეკლოსა და მთავარ ტაძარს შორის) შესაძლებელია ამ წარწერის პირველი სტრიქონის დანახვა. ის მოთავსებულია მთავარი ტაძრის სამხრეთ ფასადის პირველი სართულის კარის არქიტრავს ზევით, ყოფილ ტიმპანში სადაც კარის ზომის სარკმელია გაჭრილი, (ეს ”ფანჯარა” შესაძლოა ინტერიერიდან სამრეკლოში გამომავალ კარის ფუნქციას ასრულებდა) ფაქტიურად წარწერა ამ სარკმლის არქიტრავზე სრულდება, ნაწილი მოჭრილი და დაზიანებულია, დასაწყისი არქიტრავის ზედა წყობაში იწყება, სცილდება სარკმლის ზომებს მარცხნივაც და მარჯვნივაც და პერანგის რამდენიმე ნათალ ქვას მოიცავს.

წარწერა რელიეფურია ზომით ვერტიკლურად 8-10 სმ..

წარწერის ზემოხსენებული ფრაგმენტი არქიტრავზე, ანუ წარწერის ქვედა ნაწილი, ქვემოდან პირველი ბუკარი, სარკმლის გამოყენებით ასე წავიკითხეთ.

”... შენითა სახელითა შეიწყალე საბა ნიკოლოზი ძე ვარაზ ბაკურ ოთარისა ძალითა შენითა”...

”... ჟესათა ჟე სხა ნკ“ზ :: ძე: კანა“კუნი ოთარის

“ :: ძა“ქე...”

მეგვებოდა ასო ”ზ“ ” ოთარის“ წაკითხვის დროს, მართლაც თითქოს

იკითხება ”ძ“, რადგან ასომთავრული ”ზ“ და ”ძ“ ჰგვანან ერთმანეთს, მაგრამ

თუ გავითვალისწინებთ, რომ კირის ფენა უშუალოდ ეხებოდა წარწერის ამ ადგილს, ხოლო წარწერის გაწმენდა შეუძლებელია, შეგვიძლია დავუშვიოთ, რომ

ეს არის ასო ”ზ“ და იკითხება ”ოთარი“, აგრეთვე ”საბა“-ს წაკითხვისას

ქარაგმის ”““ ქვეშ ასო ზ უნდა იკითხებოდეს, მაგრამ კარგად არ ჩანს,

ქვედაბოლო თითქოს შეკრულია.

ამ წარწერაში მოხსენებული ოთარი ბუნებრივია დავუკავშიროთ ოთის ციხის მფლობელს – ოთარს (ციხის მფლობელობიდან გამომდინარე, შედარებისთვის: ხერთვისარი, სამძივარი, ღობიარი და ა.შ.).

მით უმეტეს, რომ ”ოთარი“ მოხსენებულია 1516 წლით დათარიღებულ ღირსშესანიშნავ დოკუმენტში: “მცხეთის ეკლესიისა ძველთაგან საქონებელნი და სამწყსონი სამცხეს თავადნი და სოფელნი”. იქ ამგვარ ცნობას ვხვდებით: “ოთარი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა შალიკაშიელთა აქუს (78)

მეორე დოკუმენტი გადმოწერილი “ღიაღი ძველი წერილიდან” (დავით რექტორი) “კათოლიკე სამოციქულოსა საპატრიარქოსა ძველთაგან საქონელნი სამწყსონი სამცხეს თავადნი და სოფელნი”, იხსენიება. “ოლიდაშიელთა აქუს ოთარაი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა” (16; 78; 23, 82-83).

ოლიდაშიელთა წარმომავლობა გამოსაკვლევიან, შესაძლოა ოლოდის ქვაბებს უკავშირდებოდეს ეს გვარი, ოლოდიდან კი ისევ შალიკაშიელებს

ენათესავებოდეს, მათი განშტოება იყოს, შესაძლოა კახელ (ქიზიყელ) ალადაშვილთა სათავე სწორედ აქედან მოდიოდეს, ალადაანნი ქიზიყში ძირითადად სასულიერონი და თავისუფალნი, არაუაზნონი, აშკარად არისტოკრატიული წარმოშობისანი, მაგრამ მტერტაგან განადგურებულნი, უმამულოდ დარჩენილნი, როგორც ჩანს ხიზანნი და მოახალშენენი იყვნენ.

მესხურ მატთანეს კი შემდეგი ცნობა შემოუნახავს: ”ამავე თეუსა, (ქკს-სიდ-1576 წ.)... შალიკაშვილის ზემბადის შვილმა მათივ ნაქონები ოთის ციხე წაართუა... (ჯაყელებს მ.დ.)” (80; 44).

საყურადღებო ფაქტია, რომ შალიკაშვილების საგვარეულო სახელებში ხშირად მეორდება ოთარი და ვარაზა, რაც საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ვარაზ-ბაკურ ოთარი მათი უშუალო წინაპარი იყო, რომ შალიკაშვილები ოთართა ფეოდალური სახლის შთამომავლები იყვნენ.

ასევე ჯვრის მონასტრის ალაპებში იხსენიება ოთარი ვარაზა, მეტად საინტერესო კონტექსტში, რაც გარკვეული პარალელის გავლების საშუალებას იძლევა მიკვლეულ წარწერასთან მიმართებაში.

ალაპების ტაბულა № VII-ის აგებულება შემდეგია: მარცხენა ნაწილში მითითებულია: “საბაობასა დღესა ალაპი მაწყვერელისა საბასი, შეუნდვენ ღმერთმან”. მარჯვენა ნაწილში უფრო ვრცლად ”ამასვე დღესა წირვა და ალაპი საუკუნო ოთარისა ვ(ა)რაზასი. შეუნდვენ ღმერთმან”. (89, № 106)

როგორც ელ. მეტრეველი აღნიშნავს შენიშვნებში, საბა მაწყვერელი და ოთარი ვარაზა ჩვენთვის ცნობილ წყაროებში არა სჩანან. ხოლო ორივე ალაპისთვის დამახასიათებელია დაუქარაგმებელ სიტყვებთან ქარაგმების ხმარება.

შესაძლოა მონასტრის წარწერაში მოხსენებული საბა-ნიკოლოზი იგივე საბა მაწყვერელი იყოს, რომელმაც დაუწესა მამამისს ოთარ ვარაზას, (იგივე ვარაზ ბაკურ-ოთარს), "საუკუნო აღაპი" ჯვრის მონასტერში, რადგან სხვაგვარად ძნელი ასახსნელია – ამ ორი პიროვნების ურთიერთკავშირი აღაპებში.

შორეთის არქეოლოგიური კვლევის დროს ნაპოვნია ბაზალტის საპირე ქვის ფრაგმენტი, ადამიანის რელიეფური გამოსახულებით, რომელიც შესაძლოა ქტიტორის გამოსახულებად მივიჩნიოთ. (აღნიშნული ფრაგმენტი შორეთის მონასტრიდან შესანახად ორ წარწერასთან ერთად 1988 წ. გადატანილი იქნა ასპინძის რუსთაველის მუზეუმში, მუზეუმის დანგრევის შემდეგ 1992 წელს ხვილიშის ეკლესიაში, იქიდან კი 1996 წელს ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. მუზეუმში დაცულია და ექსპონირებული ორივე წარწერა, მაგრამ ქტიტორის გამოსახულება ვერსად მოვიძიეთ. ვაქვს მხოლოდ მისი ფოტო. ცალ ხელში ეკლესია უჭირავს, ხოლო მეორეში გონიო. ქტიტორის ამგვარი გამოსახულებანი დამახასიათებელია მხოლოდ უმაღლესი ფეოდალური



არისტოკრატიისთვის, მაგრამ ის ფაქტი, რომ ქტიტორს ამავედროულად გონიო უჭირავს გვაიძულებს დავუბრუნდეთ შორეთის კიდევ ერთ ლაპიდარულ წარწერას, რომელიც დღემდე შემონახულია მონასტრის კარიბჭეზე:



”ქ. ორბისძეს (ან ორბელიძეს) ნიკოლოზს გალატოზთ უხუცესს შეუნდვენ ღმერთმან ამინ”.

საინტერესოა ორი რამ:

1. თავისთავად გვარი “ორბისძე” – ორბ-ელ-ის ძე ( ბ-ს თავზე ქარაგმა შეიმჩნევა მ.დ.),

2. ორბ(ელ)ისძის გალატოზთ უხუცესობა, ტოლფასია ხუროთმოძღვართუხუცესისა და დიდმოხელეს აღნიშნავს, უნდა ვიგულისხმოთ, რომ მეფის ან კათალიკოს-პატრიარქის დაქვემდებარებაში.



ეს წარწერა 2003 წელს აღმოჩნდა სამრეკლოს წმინდითი სამუშაოების დროს, “ დიდსა ეკლესიასა შინა არა ჯერ არს მკუდართა ფლუაი ... “, წარწერა ბოლომდე არ არის გაშიფრული, მაგრამ ეს ფრაზა მეტყველებს, რომ მზიძე წლებში, მოზვავებულ “მამულთა უკანგამომწირველებს” ესოდენ მაღალფარდოვანი შეგონებებით ებრძოდა ეკლესია, რათა მონასტერი საძვალედ არ ექცია ადგილობრივ ფეოდალს შემდგომ ქონებრივი პრეტენზიების წასაყენებლად. ამავე დროს წმინდითმა სამუშაოებმა ცხადყო, რომ დიდ ეკლესიის პირველ სართულზე სავარაუდოდ სატრაპეზო იყო (ქვევრებიც აღმოჩნდა, ხოლო საფლაგების კვალი არ არის, თუმცა გარშემო მრავალ ფენად არის წარმოდგენილი სამაროვანი. აღნიშნული წარწერა არა მარტო შინაარსობრივად, პალეოგრაფიული თვალსაზრისითაც გვიანდელია და გამოკვეთილია არაადგილობრივი წარმოშობის ქვიშაქვაზე.

ცალკე განხილვის საგანია ხომ არ არიან ერთი და იგივე პიროვნება საბა-ნიკოლოზი და ნიკოლოზ ორბისძე, მით უმეტეს, რომ ნიკოლოზის სახელზე კიდევ ვხვდებით წარწერებს მონასტრის კედლებზე, კერძოდ სატრაპეზოს შესასვლელში. “ქ. შეიწყალე ნიკოლოზ ცოდვილი”, შეეწიე ნიკოლოზს”, ქტიტორის გამოსახვა ხელში გონიოთი ეკლესიის რელიეფთან სწორედ ამ აზრისკენ გვიბიძგებს, აქვე არ შეიძლება არ იქნას გათვალისწინებული პარხალის ზემოგანხილული წარწერა, საბას, კათალიკოს ნიკოლოზის, საბადრიშვილისა და საბოთარის ურთიერთმიმართება.

მაგრამ, ცალსახად უნდა ითქვას, რომ ვარაზ-ბაკურ-ოთართა და ორბისძე-ორბელიანთა ურთიერთკავშირს შორეთის სამონასტრო კომპლექსთან მიმართებაში, ცხადყოფს მხოლოდ კომპლექსის სამრეკლოს მიერ დაფარული არქიტრავის სამშენებლო, რელიეფური წარწერის წაკითხვა, რაც მხოლოდ მისი ნაწილობრივი დემონტაჟის გზით შეიძლება. ძეგლის კონსერვაციის პარალელურად წარწერის ამოღება კედლებიდან სპეციალური, ძველი რომაული მეთოდოლოგიით მარტივად არის შესაძლებელი (რაც გამოიყენებოდა გერმანელი რესტავრატორების მიერ ეფესოს კომპლექსის რესტავრაციისას), მაგრამ მაინც გარკვეულ სახსრებს მოითხოვს და პირველ ყოვლისა საკონსერვაციო პროექტის შეთანხმებას.

ვფიქრობთ, რომ შესაძლებელია ფასადზე იქნას გამოტანილი, ან მუზეუმში გადატანილი შორეთის გვიანდელი სამრეკლოთი დაფარული სამშენებლო რელიეფური წარწერა, სადაც იხსენიებიან ვარაზა-ოთარი და საბა-ნიკოლოზი.

ამრიგად, ჩვენი კვლევის შედეგად შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნები:

არქეოლოგიურმა კვლევამ გამოავლინა იერუსალიმისა და ანტიოქიის ქართულ მონასტრებთან მჭიდრო კავშირში მყოფი სამონასტრო ცხოვრებისა და ძლიერი მართლმადიდებლური სასულიერო ძმობის მრავალსაუკუნოვანი არსებობა შორეთში – საქართველოს საუფლისწულოს (საჯავახთუფლოს), გვიანდელ პერიოდში კი ”ალასტნელთა” სამეფოს საზღვარზე, სტრატეგულად უმნიშვნელოვანეს რეგიონში. გამოითქვა ვარაუდი, რომ შორეთი იყო პალესტინის ან ანტიოქიის რომელიმე ცნობილი მონასტრის მეტოქე. ძეგლის მნიშვნელობას ხაზს უსვამს კულტურული საქმიანობა,

სკრიპტორიუმი, ცხადია ბიბლიოთეკაც და ინტერიერში უხვად გამოყენებული მოზაიკური დეკორი. ფაქტი, რომ თამარ მეფის მიერ ბიზანტიაში საგანგებოდ შეკვეთილი ოთხთავი შეწირულ იქნა შორეთისადმი არტანუჯელ დიდ ფეოდალთა მიერ, გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ სწორედ შორეთში იქნა გადაწერილი ვანის ოთხთავის ასლი, რომელიც დღეს ეჩმიაძინში (ან შესაძლოა უკვე მატანადარანში) ინახება.

ლაპიდარულ წარწერებში დასტურდება ჯვრის მონასტრის ალაპებში მოხსენებულ ფეოდალთა სახელები და სადაურობა: საბანიკოლოზი და ოთარი ვარაზა, რომელთაც სავარაუდოდ შალიკაშიელთა ფეოდალური სახლის წინაპრებად მივიჩნევთ.

მონასტრის საძვალის ქვის გარე პერანგისა და არქიტრავის დეკორი აგრეთვე განსაკუთრებულია და საყურადღებო პარალელის გავლება შეიძლება შუასაუკუნეების ევროპულ დეკორთან, ნუმიზმატურ ნიშნებთან.

ხეობაში არსებული ძეგლები, ნასოფლარები, ნაციხარები დ ეკლესია-მონასტერთა ნაშთები ერთმანეთს ქრონოლოგიურად შორდება, მაგრამ მეტყველებს ადრეფეოდალური ხანიდან მიკროქვეყნის, ჯერ სახვეისუფლოს და შემდეგ მაგისტრალური გზების მაკონტროლებელ ციხე-სიმაგრეთა სისტემით კარგად დაცული ფეოდალური ერთეულის არსებობაზე სასულიერო-კულტურული ცხოვრების უწყვეტი განვითარებითა და რეგიონისთვის დამახასიათებელი მეურნეობის ტრადიციული დარგებით.

ნაშრომი წარმოადგენს ასპინძისხევის, როგორც ცალკე აღებული ხეობის (მიკროქვეყნის) პერმანენტული განვითარების დოკუმენტურ მატრიანეს, განხილულს ისტორიულ-ეთნოლოგიურ ჭრილში, თანდართული საველე პირობებში მოპოვებული მრავალფეროვანი უცნობი მასალითა და ხეობაში არსებული მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის ფიქსაცია-კონსერვაციის მეთოდოლოგიური ყველა ასპექტის გათვალისწინებით.



10.  
დამოწმებულ  
ი  
ლიტერატურ  
ა,  
საისტო  
რიო  
წყაროებ  
ი და

## საარქივო მასალები:

1. ა. აბდალაძე. *“სომხურ ხელნაწერთა ანდერძების ცნობები საქართველოს შესახებ”*. თბ. 1978.
2. ალ. ფრონელი. *დიდებული მესხეთი*. გორი. 1914
3. აკაკი შანიძე, *ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი*, თბ. 1971.
4. *Ahmed Acar. Tarichte Hamshigulari. Ankara. 1995.*
5. გ. ბოჭორიძე, *მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში*, თბილისი 1992.
6. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დაგთარი, *ს.ჯიქიას გამოცემა*. ტ.2. თბ. 1941
7. გიორგი ქავთარაძე, *საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარების საკითხები, კავკასიოლოგიური სერია*, 2006 წ.
8. გ. მამულია. *პატრონეობა*. თბ. 1987.
9. გ.ზაზაძე, *ასპინძისხევის ექსპედიციის წევრი, სამაგისტრო ნაშრომი “გზები”, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*, 2006 წ.
10. გეორგიკა, *ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით*, ტ-II, თბილისი, 1965
11. გიულდენშტედტი, *მოგზაურობა საქართველოში*. I. თბ. 1962.
12. *Географическо-статистический словарь Росииской империи т.III. СПб. 1867.*
13. *Географическо-статистический словарь Росиоской империи т.V. СПб. 1869.*
14. დ.კოჯორიძე. *სამცხე-ჯავახეთი – წარსული და დღევანდელი*. თბ.1987.
15. Д. Бакрадзе. *Кавказ в древних памятниках христианства*. Тиф. 1875 г.
16. Д. Бакрадзе. *Археологические путешествия по Гурии и Адчарь*.СПБ. 1878. с.80.
17. დ. ბერძენიშვილი, *ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან*. თბ. 1985.
18. დ. კოჯორიძე. – *სამცხე-ჯავახეთი. წარსული და დღევანდელი*. თბ. 1987წ.

19. დ. ნინიძე, პროვინციის მეფეები XIV-XV საუკუნეების საქართველოში, თბილისი 1995.
20. E. Takaisvili, *Antiquites Georgiennes. Table des Matieres du tome X, Extrait de Bizantion, Bruxelles, 1935.*
21. E.A.Вейденбаум, «Кавказские этюды» Т. 1901
22. ე. თაყაიშვილი 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, თბილისი, 1960.
23. ე.თაყაიშვილი. არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი წ.1. ტფ.1907.
24. ე. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVII სს), თბილისი 1962.
25. ვ. ბერიძე – სამცხის ხუროთმოძღვრება. – თბ. 1956წ.
26. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურის და  
ბ. ბერძენიშვილის რედ. თბ.1941.
27. ვ. გამრეკელი. “თუ როგორ ვიპატივეთ ქართული ენა სრულის გაუქმებისაგან წმინდა მარინეს ეკლესიაში. ახალციხე. 1905
28. ვინმე მესხი (ივანე გვარამაძე) „მესხური ფელტონი“, გაზ.„დროება“ №98. 1881.
29. თოვმა მეწოფეცი, ლანგ თემურის ომების ისტორია. თბ. 1987.
30. თ.ყაუხჩიშვილი, სტარბონის გეოგრაფია. თბ. 1957.
31. თ.ჟორდანიას, ქრონიკები. ტ.2. 1897.
32. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია. ტ.1. თბ. 1960.
33. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია. ტ.4. თბ. 1967.
34. ივ.ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები. ტფ. 1919.
35. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია. ტ.3. თბ. 1966.
36. ივ.ჯავახიშვილი, თხზ. თორმეტ ტომად. ტ.2. თბ.1983.
37. ივ. ჯავახიშვილი. – ქართველი ერის ისტორია. ტ. II. – თბ. 1965 წ.
38. ლ. ჭილაშვილი. კახეთის ქალაქები,(XIV–XVII), თბილისი, 1980
39. ლ. მარუაშვილი. – საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია – თბ. 1970წ.
40. მ. დათუკიშვილი. შორეთის მონასტრის ქტიტორი. ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები, თბილისი 2000.

41. *Материалы по археологии Кавказа. Вып. XII М 1909. Христианские памятники, экспедиция Э. Такаишвили 1902 г.*
43. M. Brosset, *Hist. de la Georgie*, I, 2,
44. *Результаты путешествия г. Акад Броссе по Грузии газ. «Кавказ» №40. 1 октябрь 1849.*
45. M. Brosset, *Rapports sur un Voyage Archeologique dans La Georgie et dans L'Armenie. St-Petersburg 1851*
46. მ. დათუკიშვილი, ასპინძისხევის არქეოლოგიური ძეგლები, თ. თოდუას რეცენზიით. სადიპლომო ნაშრომის ნაბეჭდი ასლი. 1988 წ. ქართულ-კავკასიური ინსტიტუტის არქივი.
- 47 მ. დათუკიშვილი. შორეთის ლაპიდარული წარწერები. თსუ "კულტურის ისტორიის საკითხების" III, თბილისი 1997 წ.
48. *Межкавказские политические и торговые связи вост. Грузии. Тб.1980.*
49. მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები – თბ. 1981 წ
50. ქართლის ცხოვრება. ტ. II – ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით – თბ. 1959წ.
51. ნ. ბერძენიშვილი. – გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში. – თბ. 1971 წ.
52. ნატო გენგიური. კუპელჰალე. თბილისი. 2005
53. Н. Марр. *Основные таблицы к грамматике древнегрузинского языка СПб 1908,*
54. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ.2. თბ. 1965.
55. ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. ტ.2. თბ. 1953.
56. ნ.ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ.1. თბ. 1964.
57. პავლე ინგოროყვას შესავალი სტატია, სომხური ეპოსი, დავით სასუნცი, თბ. 1930
58. ო.ხერხეულიძე, შემოკლებული ისტორია ირაკლი მეორისათვის. ტფ. 1894.
59. П. Иоселиани. *Описание древнего города Тифлиса. Тиф. 1866.*
60. პავლე ინგოროყვა. საქართველოს საზღვრები, კონსტანტინოპ., 1918 წ.
61. რ. ბერიძე, „ასპინძა ისტორიულ წყაროებში“, გაზ. „ასპინძა“ 17,18/06-1987.

62. ს. ჯიქია გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დაეთარი. ტ.3. თბ. 1958
63. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული. ტ-II, 1964, ი. სიხარულიძე, “მასალები სამცხის ისტორიული გეოგრაფიისათვის”.
64. Сборник материалов для описания Тифлисской губернии под ред. К. Л. Зиссермана. т. I вып. I. Тиф. 1870.
65. სცია, ფ-73, ს-158,
66. სულხან-საბა ორბელიანი, “ლექსიკონი ქართული”, II, ილია აბულაძის რედაქციით, თბილისი, 1993
67. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ.3. თბ. 1979.
68. ს. მაკალათია, მესხეთ-ჯავახეთი. თბ. 1938
69. საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ ტერიტორიული დაყოფა. 1966 წ. (თბილისი.)
70. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. I – თბ. 1970წ.
71. საქართველოს ისტორიის ქრონიკები. თბ. 1980
72. სეხნია ჩხეიძე. საქართველოს ცხოვრება
73. ს.ხოსიტაშვილი, ასპინძის ომი. თბ.1972.
74. სცია, ფ-223, ს 37, გვ. 7
75. სცია, ფ.73, ს.158, გვ-25 V/
76. ქართლის ცხოვრება. ტ. I ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით – თბ. 1955 წ
77. ქართლის ცხოვრება, ტ.1. ს.ყაუხჩიშვილის რედ. თბ.1955.
78. ქრ. შარაშიძე. სამხრეთ-საქართველოს ისტორიის მასალები. (XV-XVI სს.) თბ., 1961.
79. ქ. ლორთქიფანიძე, გ. ლორთქიფანიძე ”აჰმედ აჭარი და ხიმშიაშვილების გვარის ისტორია, თბილისი, 2004 წ.
80. ქართული სამართლის ძეგლები, III, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ. 1966.
- 80/1. ქართლის ცხოვრება, ტ II, თბილისი 1959
81. ქართლის ცხოვრება, IV. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა ტექსტი დადგენილი ყველა ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1973.
82. ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა. ს.ყაუხჩიშვილის რედ. თბ. 1942.
83. შოთა ლომსაძე. მესხეთ-ჯავახეთი, თბ. 1975,



84. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია. თბილისი 1956.
85. Хаханаშვილი, М. Этнографическое обозрение, 1891, №3
86. ხელნაწერთა აღწერილობა, I, თბილისი, 1953
87. ხელნაწერთა აღწერილობა, II თბილისი, 1948
88. Халил Умаров-Гозалишвили. Месхетинская трагедия, Самоиздание. 1983.
89. ხალილ უმაროვ-გოზალიშვილი, მესხთა ტრაგედია, "კავკასიური სახლი", თბილისი 2005
90. ხელნაწერთა აღწერილობა, I თბ, 1953.
91. VI საეკლესიო კრების კანონების ქართული თარგმანი, გამ, ა. ხახანაშვილისა.